

3

SN 0132-5981

საბჭოთა სამართალი



178
1988 №5

1988

5

მთავარი რედაქტორი
ლარი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალაქსიძე
ანზი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
გელა ზარქანიანი
(პასუხისმგებელი მდივანი)

ანზორ გაბიანი
ზორბეგ ზორბეგაძე
პაპი პარანაძე
დურმიჯან ლორია
ვახტანგ რაჭმაძე
გრიგოლ რომინოვილი
თამაზ შავგულიძე
ვიქტორ ზარაზანიანი
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორჯანიანი

Главный редактор
Талаквадзе Л. Г.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор)
Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь)

Габiani А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.



საჭმომთა სამართალი

N^o 5

სამთავრობო
ოპორტიონული

1988 წელი

შუბნული გამოცემის 1928 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების,
რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მეცნიერულ-პრაქტიკული შუბნული

შ ი ნ ა ბ რ ს ი

XIX პარტოვნებრიანობა და საზოგადო

გ. ერემოვი — სახალხო დეპუტატთა საბჭოების სტრუქტურისა და საქმიანობის გარდაქმნა 3
წესრიგი უვალგან და უვალგარში!

გ. ცინცაძე — მოძრაობის უსაფრთხოება: პრობლემები, ამოცანები 8
პროფილაქტიკა — მთავარი მიზართულება!

რ. გილიაშვილი — ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა — ძირითადი მოვალეობა 12
რბილული გაზეთების ფურცლებზე

თ. ზაქრაძე — დროის შესაბამისად 16
ახალი ინსტრუქცია

ლ. ზაიჩიკი — ადვოკატთა მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურება 19
დისკუსია

რ. ახალია — იურიდიული სამსახური გარდაქმნის მიღმა 24
გარდაქმნა დროის მოთხოვნა!

დ. დოლიძე — პირადი საკუთრების უფლების ასპექტები 29
გ. გოლოშვილი — პროცესუალური ეკონომია და მისი უზრუნველყოფის საკითხები 35
სამოქალაქო სამართალწარმოებაში

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

ნ. თოდუა — სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ბრალის დასაბუთება 42
ნარკოზაინის — დაუნდობელი გარდაცვალება!

დ. დავითაძე — ჩვენი გადაუდებელი ამოცანა 47
საპროკურატო-სამართლებრივო პრაქტიკა

მ. შამნიაშვილი — საპროკურატო უდამხედველობა სულიერად დაავადებულ და შე- 50
ურაცხად პირთა საქმის გამოძიებისას

ი. შაფაქიძე, ს. სურგულაძე — ფსიქიატრიული დახმარების სამართლებრივი და სამედი- 55
ცინო ასპექტები

მუხრუნველობით დაგაფიქს

ლ. ჩორგოლაშვილი — ისევ საცხოვრებელი სადგომების გაცვლის შესახებ 61
ინფორმაცია 65

სამთავრობო სამართლებრივი სწავლება

ე. ყიფიანი, თ. შავგულიძე — „ქმნა მართლისა სამართლისა...“ 70
პრიმინალისტიკის ისტორიიდან
ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები 77

СОДЕРЖАНИЕ

ХІХ партконференция и Советы

Г. Еремов — Перестройка деятельности и структуры Советов народных депутатов 3

Порядок везде и во всем

Г. Цинцадзе — Безопасность движения: проблемы, задачи 8

Профилактика — главное направление

Р. Гиригашвили — Забота о благе человека — основная обязанность 12

На страницах районных газет

Т. Закрадзе — В соответствии с временем 16

Новая Инструкция

Л. Зайчик — Об оплате юридической помощи, оказываемой адвокатами 19

Дискуссия

Р. Ахалая — Юридическая служба — за пределами перестройки 24

Перестройка — веление времени

Д. Долбадзе — Аспекты права личной собственности 29

Г. Голошвили — Процессуальная экономия и вопросы ее обеспечения в гражданском судопроизводстве 35

Первые шаги в науке

Н. Тодуа — Обоснование вины в преступных деяниях, совершенных в состоянии опьянения 42

Наркомании — беспощадный бой!

Д. Давитадзе — Наша неотложная задача 47

Прокурорско-следственная практика

М. Мамнашвили — Прокурорский надзор за расследованием дел душевнобольных и невменяемых 50

И. Шапакидзе, С. Сургуладзе — Правовые и медицинские аспекты оказания психиатрической помощи 55

Возвращаемся к напечатанному

Л. Чорголашвили — Вновь об обмене жилого помещения 61

Информация

Э. Кипиани, Т. Шавгулидзе — Право для всех 70

Из истории криминалистики

Известные уголовные дела 77



© „საბჭოთა სამართალი“, 1988 წ.

რედაქციის მისამართი. 380110, თბილისი, კლავხანოვის კრ. 108, ტ. 95-85-40, 95-58-87.

გადაეცა წარმოებას 16.09.88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.10.88 წ.,

ფორმატი 70x1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თამაზი 6,5.

შეკვ. № 2376

ტირაჟი 42.000

უე 04799

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

178
1988
საქართველოს
ბიბლიოთეკა
№ 35

XIX პარტიკონფერენცია და საბჭოთა

სახალხო დეპუტატთა საბჭოების სტრუქტურისა და საქმიანობის ბარდაქმნა

პრიბოლ ვარეშვი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით შობილმა საბჭოთა ხელისუფლებამ შვიდ ათეულ წელს გადააბიჯა. ამ ხნის მანძილზე იგი არსებობს როგორც სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, როგორც სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი.

საბჭოთა რესპუბლიკა პროლეტარიატის დიქტატურის, ამჟამად საერთო-სახალხო სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა. იგი ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა და სწორედ საბჭოები მიიჩნია მანამდე არსებულ სხვა სახელმწიფო ორგანოებთან შედარებით ყველაზე დემოკრატიულ ქმნილებად. მიუხედავად ამისა, საბჭოების საქმიანობის რეფორმა თანამედროვე ეტაპზე მაინც აუცილებელი შეიქნა. უამისოდ შეუძლებელიც იქნებოდა ის გარდაქმნა, რომელმაც მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა. ამიტომ დღეს მართლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოების საქმიანობაში საჯაროობისა და დემოკრატიზაციის უამრავ ფორმათა გამოყენებას, მათ მუშაობაში მასების უშუალო მონაწილეობას, საბჭოთა ხალხის უმაღლეს უფლებათა დაცვას.

აქვე ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ საბჭოების მუშაობის გარდაქმნა რეფორმის ცალმხრივად ჩატარება იქნება. მართალია საბჭოები პოლიტიკური სისტემის მთავარი ელემენტია, მაგრამ ამავე დროს საჭიროა გარდაქმნა შეეხოს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტს. პოლიტიკური სისტემის მთლიანად გარდაქმნა კი უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს დემოკრატიული ფაქტორის გააქტიურებას, სახელმწიფო საქმიანობაში ხალხის ფართო მასების ჩაბმას და ა. შ.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე გამოსვლისას, მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა პოლიტიკური სისტემის რეფორმის შვიდი ძირითადი ამოცანა. ეს ამოცანებია: მილიონობით მშრომელთა ჩაბმა ქვეყნის მართვაში; მოქალაქეთა, ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ინიციატივის სრული განვითარება; ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის ინტერესებისა და ნების თავისუფალი გამოვლენა; თითოეული ერისა და ეროვნების შემდგომი განვითარება; სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება; პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ზუსტი გამიჯვნა; ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური დემოკრატიისა და თვითმმართველობის პრინციპების დანერგვა.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის რეფორმა უპირველესად ნიშნავს, მისი მთავარი ელემენტის — საბჭოების სტრუქტურის, ფუნქციებისა და ორ-

განიზაციული მუშაობის ფორმათა თანამედროვეობისადმი შესაბამისობას. ამავე დროს, „პოლიტიკური სისტემის რეფორმა გულისხმობს მისი ისეთი მნიშვნელოვანი რგოლების გარდაქმნას, როგორცაა საზოგადოებრივი ორგანიზაციები: პროფკავშირები, კომკავშირი, კოოპერაცია, ქალთა, ვეტერანთა და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებსა და მისწრაფებებს... რომელშიც ორგანულად იქნება შერწყმული მთელი ჩვენი ხალხის ინტერესები“¹.

ილაპარაკა რა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის რეფორმაზე, მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა იმგვარად განვაახლოთ საბჭოების მუშაობის ორგანიზაცია, რომ ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო გახდეს სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა ყრილობა. იგი მოიწვევა წელიწადში ერთხელ და გადაწყვეტს ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს.

ყრილობამ უნდა შექმნას დღეს არსებულთან შედარებით რიცხობრივად უფრო მცირე შემადგენლობის სსრ კავშირის ორპალატიანი უმაღლესი საბჭო — მუდმივად მომუშავე საკანონმდებლო, განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანო; აქვე ფარული კენჭისყრით აირჩევა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; ახლებურად უნდა მოეწყოს აგრეთვე მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების მუშაობაც.

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეზოლუციაში ჩაწერილია, რომ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად შეტანილ იქნეს საბჭოთა ორგანოების გარდაქმნის შესახებ საკანონმდებლო აქტების პროექტები“. ეს იმას ნიშნავს, რომ გაირკვევა საბჭოების არჩევნების ორგანიზაციის ყოველი დეტალი და შესაძლებელი გახდება მათი (საბჭოების) გარდაქმნა კონფერენციის მოთხოვნათა შესაბამისად.

კონფერენციაზე წამოყენებული იყო მოთხოვნა, რომ გაფართოვდეს იმ საკითხთა წრე, რომლებიც მხოლოდ სესიებზე უნდა გადაწყდეს; საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ დემუტატთა პერიოდული განთავისუფლება სამსახურებრივი და საწარმოო მოვალეობებისაგან საბჭოების მუდმივ კომისიებსა და საარჩევნო ოლქებში მუშაობისათვის.

ბუნებრივია, რომ საკანონმდებლო ფუნქცია რჩებათ ისევ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, ხოლო ადგილობრივი საბჭოები კვლავაც მხოლოდ კანონქვემდებარე აქტებს მიიღებენ.

საყურადღებოა, ის გარემოება რომ კონფერენციის მასალების მიხედვით, საბჭოების ორგანიზაციული მუშაობის ფორმები სტანდარტული არ უნდა იყოს. რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ „...ყოველ საბჭოს კანონის ფარგლებში სრული შესაძლებლობა აქვს აირჩიოს თავისი საქმიანობის ფორმები და მეთოდები ადგილობრივი პირობების შესაბამისად“, ამავე დროს „უნდა მივალწიოთ, რომ ყველა რგოლის საბჭოების მუშაობა მიმდინარეობდეს საჯაროდ და მუდამ ამომრჩეველთა თვალთახედვის არეში იყოს“.

გამომდინარე აქედან, ალბათ, ბევრი შესწორებისა და დამატების შეტა-

¹ სკკ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუცია „საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“, 3 ივლისი, 1988 წ.

ნა მოგვიხდება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში, რისთვისაც დიდი, შრომატევადი მუშაობა მოუწევთ იუ-რისტ მეცნიერებს, დასკვნის გაკეთება დასჭირდება იურიდიულ მეცნიერებებს, საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის, საბჭოთა სახელმწიფო სამართლის, საბჭოთა აღმშენებლობის და სხვა დარგების სპეციალისტებს.

XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ „...რაც უფრო ღრმად ვწვდებით პოლიტიკური პროცესის შინაარსს, მით უფრო ცხადი ხდება, რომ საჭიროა ჩვენი სახელმწიფოებრიობა ავიყვანოთ საერთო-სახალხო მდგომარეობაში ამ ცნების სრული მოცულობით. ამისათვის საჭიროა ხელისუფლებისა და მართვის ისეთი ორგანიზაცია, როცა გადამწყვეტი, უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის ეკუთვნის ხალხს... აქ პრინციპული მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების უფლებამოსილებათა სწორ განაწილებას“.

ესაა პარტიის მოთხოვნა სახალხო დემუტატთა საბჭოების სრულუფლებიანობაზე, რათა მათ გარეშე არ გადაიჭრას სამეურნეო და სოციალური საკითხები, მოთხოვნა იმის შესახებ, რომ პარტიის ავტორიტეტით განვამტკიცოთ საბჭოების, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოების როლი. ეს კი, ცხადია უნდა მოხდეს მხოლოდ კონსტიტუციურ, სამართლებრივ საფუძვლებზე.

კონფერენციამ რეკომენდაცია მისცა იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა რგოლის, როგორც უმაღლესი ისე ადგილობრივი საბჭოების არჩევნები განისაზღვროს ხუთი წლის ვადით. ამასთან სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა ყრილობა უნდა აირჩეს როგორც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და თავისი რწმუნების ვადაში მოწვეული იყოს ხუთჯერ. ეს კი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუშაობის ორგანიზაციის სრულიად ახალი ფორმაა.

სიახლეა ისიც, რომ საკავშირო საბჭოების ყრილობის შემადგენლობა პირდაპირი არჩევნების პრინციპით აირჩეს. მისი მესამედი ნაწილი უნდა შეირჩეს პარტიული, პროფკავშირული, ახალგაზრდული, ქალთა, ვეტერანთა, მეცნიერული, შემოქმედებითი და სხვა ორგანიზაციების ყრილობებზე ან ცენტრალური ორგანოების პლენუმებზე. ნუსხა ამ ორგანოებისა და მათი წარმომადგენლობისა განისაზღვრება სსრ კავშირის კონსტიტუციით.

როგორც უკვე აღინიშნა, ყრილობა აირჩევს აგრეთვე უმაღლესი საბჭოს ორპალატიან შემადგენლობას. პალატების დემუტატთა რაოდენობა კონსტიტუციით დადგინდება. ფარული კენჭისყრით აირჩევა რა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, შემდგომ უმაღლესი საბჭო აირჩევს თავის პრეზიდიუმს, რომლის თავმჯდომარეობასაც გასწევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პრეზიდიუმმა კოორდინაცია უნდა გაუწიოს უმაღლესი საბჭოს კომისიებისა და დემუტატების მუშაობას.

XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე მიღებულმა რეზოლუციებმა და მონაწილეთა გამოსვლებმა, რითაც ბევრ სიახლეს დაედო სათავე, შემდგომში ქმედითი გამომხაურება პპოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმზე. პლენუმზე გამოსვლისას მ. ს. გორბაჩოვმა პოლიტიკური სახელით ვრცლად ილაპარაკა სახალხო დემუტატთა საბჭოებზე, სსრ კავშირის საბჭოების ყრილობის ფუნქციებზე, ადგილობრივ ორგანოებზე და

ა. შ. ამასთან დაკავშირებით პლენუმმა მიიღო კიდევ დადგენილება — „სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის პრაქტიკული მუშაობის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა პარტიის გეზი საკავშირო პარტიული კონფერენციის განხორციელებისათვის.

პლენუმი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ დეპუტატთა შემადგენლობის რეგლამენტაციაზე, პროცენტომაზობაზე. პირიქით, არ უნდა იყოს შეზღუდვა დეპუტატობის კანდიდატურების დასახელების დროს, ამომრჩევლებს უნდა მივანიჭოთ ნამდვილი არჩევანის უფლება როგორც კანდიდატურათა განხილვისა და დასახელების, ისე კენჭისყრის დროს. წესად უნდა იქცეს, რომ საარჩევნო ბიულეტენებში იყოს უფრო მეტი კანდიდატი, ვიდრე მანდატია.

პლენუმზე გამოითქვა აზრი, რომ არჩევნები ჩატარდეს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, მაგრამ მხოლოდ სასოფლო, სადაბო, საოკრუგო, რაიონულ და საქალაქო საბჭოებში „აქ ამომრჩევლები უკეთ იცნობენ თავიანთ კანდიდატებს და შეუძლიათ მოახდინონ სწორი არჩევანი“. რაც შეეხება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო დეპუტატებს, მიზანშეწონილი იქნება ავირჩიოთ ისინი ერთმანდატიან ოლქებში, იმის გათვალისწინებით, რომ აქაც კენჭისყრის დროს უზრუნველყოფილი იყოს შეთავაზებულ კანდიდატურათა არჩევანი.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საბჭოს სესიებზე დეპუტატებმა ფარული კენჭისყრით გადაწყვიტონ საკითხები. ადგილობრივი საბჭოების პრეზიდიუმისა და საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი კონსტიტუციური გზით უნდა დადგინდეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი თავმჯდომარის არჩევის შემდეგ — ითქვა პლენუმზე — უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგენით შეიძლება დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე. მათვე დაევალებათ, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეიტანონ წინადადებანი ამ ორგანოთა შემადგენლობის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას უნდა მიეცეს უფლება აგრეთვე დანიშნოს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, მთავარი სახელმწიფო არბიტრი და შექმნას კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი.

ყრილობისა და უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში უნდა დამკვიდრდეს სოციალისტური პლურალიზმი, რაც სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო საშუალებაა. ესაა კამათი, დისკუსია, შეხედულებათა დაპირისპირება, უკეთესი აზრის შერჩევის შესაძლებლობა და ა. შ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპი საბჭოთა კავშირში უცვლელი დარჩება. ამის შესაბამისად არ შეიცვლება აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სისტემა, რაც სსრ კავშირის კონსტიტუციით (145-ე მუხლი) არის გათვალისწინებული. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებთან ერთად კი კონსტიტუციით გათვალისწინებულია ეროვნულ-ტერიტორიული (ავტონომიური ოლქი, ავტონომიური ოკრუგი) ერთეულები და მათი საბჭოები.



საარჩევხო სისტემით გათვალისწინებული ცვლილებების გარდა აქ სი-
ახლე ის იქნება, რომ სასოფლო და სადაბო საბჭოების გამონაკლისის გათ-
ვალისწინებით, ყველა რგოლის ადგილობრივ საბჭოსთან აირჩევა მუდმივ-
მოქმედი პრეზიდიუმი, ხოლო საბჭო ფარული კენჭისყრით აირჩევს პრეზი-
დიუმის თავმჯდომარეს. როგორც კონფერენციის რეზოლუციაშია ნათქვამი
„წარმომადგენლობითი ორგანოების როლის გაძლიერებას ხელს შეუწყობს
საბჭოების თავმჯდომარეთა თანამდებობაზე, როგორც წესი, შესაბამისი პარ-
ტიული კომიტეტების პირველი მდივნის რეკომენდება“.

ადგილობრივი საბჭოს პრეზიდიუმისა და მისი თავმჯდომარის ძირითადი
ფუნქცია იქნება სესიების მომზადება, მუდმივი კომისიებისა და დებუტატთა
ჯგუფების მუშაობის კოორდინაცია და ხელისუფლების წარმომადგენლობითი
ორგანოს სხვა საქმიანობანი.

თითოეულ ადგილობრივ საბჭოსთან შეიქმნება აღმასრულებელი კომი-
ტეტი თავისი განყოფილებებით და სამმართველოებით. სამსახურების ხელ-
მძღვანელთა დანიშვნისა და დამტკიცების დროს წესად უნდა იქცეს რამდენ-
იმე კანდიდატის დასახელება, ფარული კენჭისყრა, კონკურსების მოწყობა.

აქვე გათვალისწინებულია ისიც, რომ შესაბამის საბჭოს დებუტატთა შე-
მადგენლობაში ვერ შევლენ ყველა საფეხურის ადგილობრივი საბჭოების აღ-
მასრულებელ კომიტეტთა წევრები, აგრეთვე მათი განყოფილებებისა და სამ-
მართველოების ხელმძღვანელები, მოსამართლენი, სახელმწიფო არბიტრები და
პროკურორები. ასეთივე პრინციპი უნდა იყოს დაცული მთავრობის წევრების
და სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უწყებათა
ხელმძღვანელების მიმართაც.


კონფერენციამ მოითხოვა, რომ აღდგეს არჩევითი ორგანოების ხელმძღ-
ვანელობა აღმასრულებელი ორგანოებისა და მათი აპარატის მიმართ, მაგრამ
კვლავაც ძლიერი უნდა იყოს პარტიის ხელმძღვანელი როლი. თუმცა, პარტიამ
ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ასეთ დროს თავის ხელში არ მოიქციოს
სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციები, თავის პოლიტიკურ კურსს საბჭოთა კავ-
შირის კომუნისტური პარტია უნდა ახორციელებდეს საზოგადოების ცხოვ-
რების სხვადასხვა სფეროში მომუშავე კომუნისტების მეშვეობით.

XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ დასახა საზოგადოების პო-
ლიტიკური სისტემის რეფორმის აუცილებლობის ამოცანა და აღნიშნა: „თუ
პოლიტიკური სისტემა უძრავი, შეუცვლელი დარჩა, თავს ვერ გავართმევთ
გარდაქმნის ამოცანებს“. მართლაც, ეკონომიკის გარდაქმნა ქვეყნის პოლიტი-
კური სისტემის გარდაქმნის გარეშე შეუძლებელია, ხოლო პოლიტიკური სის-
ტემის გარდაქმნას ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნის გარეშე მიზანი არ ექ-
ნებოდა.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის მიზნით XIX სა-
კავშირო პარტიულმა კონფერენციამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია
„ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რეფორმის პრაქტიკული განხორციელების
ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ“, რომლის მიხედვითაც დად-
გენილია: „...1989 წლის აპრილში მოეწყოს სახალხო დებუტატთა არჩევნები
და ყრილობა, რომელზედაც შეიქმნას სახელმწიფო ხელისუფლების ახალი
ორგანოები“; „რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და
ამ საფუძველზე ხელმძღვანელი საბჭოთა ორგანოების ჩამოყალიბება რეს-

პუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სოფლად მოეწყო 1989 წლის შემოდგომაზე“.

როგორც ვხედავთ, ამოცანები დასახულია, ქვეყნის გარდაქმნაც უკვე დაიწყო, მაგრამ სიძნელები ჯერ კიდევ მაინც ბევრია. ადამიანთა გააქტიურება, საბჭოების სრულუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის ზრდა, მეტი კომპეტენტურობა და პასუხისმგებლობა — აი რა აუცილებელი პირობები წამოაყენეს XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმმა. ამ ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებას, მართლაც, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღისათვის.



წესრიგი ყველგან და ყველავარში

მოდრობის უსაფრთხოება: პრობლემები, ამოცანები

გიორგი ცინცაძე,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტონსპექციის
სამმართველოს უფროსი

მიმდინარე წლის ცხრა თვეში მომხდარ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა სტატისტიკა შემამოფოთებელი და ფრიად დამაფიქრებელია. ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკის ავტომაგისტრალებზე 1620 ავტოსატრანსპორტო შემთხვევა აღირიცხა, რომელსაც 453 ადამიანი შეეწირა, მძიმედ დაზავდა 1899. მართალია, შარშანდელთან შედარებით შემთხვევების რაოდენობა გარკვეულწილად შემცირდა, მაგრამ სამწუხაროდ 21 ადამიანით მეტი დავკარგეთ, მნიშვნელოვნად იმატა მძიმე შედეგიანმა ავტოავარიებმაც. იმავე პერიოდთან შედარებით ასი პროცენტით იმატა ისეთი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვმა, როცა ერთდროულად სამი ან მეტი ადამიანი დაიღუპა. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი შემთხვევების დროს მძიმე შედეგები გაცილებით ნაკლები იქნებოდა, მანქანაში სხდომთ უსაფრთხოების ღვედები რომ გამოეყენებინათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ სახელმწიფო ავტონსპექციის მთელი რიგი რეგიონალური დანაყოფების საქმიანობაში ჯერაც არ შეიმჩნევა სადღეისო მოთხოვნების შესატყვისი გარდაქმნა, სათანადო დასკვნები არ არის გამოტანილი წინა წლების გამოცდილებიდან. არც ის გვინდა დავივიწყოთ, რომ ხშირად შინაგან საქმეთა რაიონ-

ნული და საქალაქო განყოფილებათა ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, არ აკონტროლებენ დაქვემდებარებული სახელმწიფო ავტონისპექციის აპარატების მუშაობას.

აუცილებელ მოთხოვნად მიგვაჩნია თითოეული ავარიის გამომწვევი მიზეზების საფუძვლიანი შესწავლა, ფართოდ და საჯაროდ განხილვა, რადგან საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი დაინტერესების გარეშე ძალზე ძნელია ამ საქმეში არსებითი გარდატეხის შეტანა.

შარშან რესპუბლიკაში მილიონ რუბლს სამოცდაცამეტი საგზაო მოძრაობის დარღვევა აღირიცხა. მართლაც და შემაშფოთებელი სტატისტიკაა. მაგრამ აღნუსხული დარღვევა, რომ იტყვიან, ნახევარი უბედურებაა, მთავარი და ყველაზე საშიში სწორედ ის დარღვევები განსაკუთრებით, რომელთა აღკვეთას ვერ ახერხებს და ვერც ასწრებს სახელმწიფო ავტონისპექტორი. დაგვეთანხმებით, რომ იშვიათია მძღოლი, რომელიც ზედმიწევნით ასრულებს მოძრაობის უსაფრთხოების წესებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. უმრავლეს შემთხვევაში, მათი დიდი ნაწილი უაზროდ ცდილობს თავის გამართლებას, მერედ, განა ისეთი რა მოხდაო. იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ მათ დაუღევარ მოქმედებას შეიძლება სავალალო შედეგი მოჰყოლოდა.

გავცნოთ რამდენიმე საგზაო შემთხვევას, რომლებიც საჭესთან მსხდომთა მიერ მოძრაობის წესების უხეშად დარღვევამ გამოიწვია...

9 ივნისს, თბილის-რუსთავის გზის მეჩვიდმეტე კილომეტრზე, გარდაბნის მეორე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილი მანქანის „მაზ-5549“ (14-72 გაიუ) მძღოლმა ფ. მამედოვმა დაარღვია მოძრაობის წესები, გადავიდა გზის შემხვედრი მოძრაობის ზოლში და იქიდან მომავალ ტაქსს შეეჯახა. ორი მგზავრი ადგილზე გარდაიცვალა, დაშავებულები კი სავადმყოფოში წაიყვანეს.

26 ივნისს, სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნართან, თბილისის 31-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პედაგოგმა ვ. დოლიძემ მანქანა შემხვედრი მოძრაობის ზოლში გადაიყვანა და იქიდან მომავალ ავტომანქანა „ჟიგულს“ დაეჯახა. შემთხვევის შედეგად ორივე მანქანის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მოგვიანებით სავადმყოფოში გარდაიცვალა ორი მგზავრი, ექვსი სხვა მგზავრი კი მძიმედ დაშავდა.

25 მაისს ზესტაფონის რაიონში, სოფელ ქვედა საქარის რკინიგზის გადასასვლელზე „ზაზ-968“ მარკის ავტომობილი, რომელსაც მძღოლის მოწმობის გარეშე მართავდა სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწე, ზუთი შვილის მამა ტ. კაკაურიძე, დაკეტილი შლაგბაუმის დროს გავიდა ლიანდაგებზე და სამგზავრო მატარებელი შეეჯახა. ავტოკატასტროფის შედეგად მძღოლი და მისი ოთხი მგზავრი შემთხვევის ადგილზე დაიღუპნენ. მძღოლის მიერ საგზაო წესების დარღვევასთან ერთად, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფთაგან, რომელთა თვალწინ ტ. კაკაურიძემ ამდენი დარღვევა ჩაიდინა, არავინ აღკვეთა მისი ამგვარი მოქმედება... წინასწარი მოკვლევით დადგინდა, რომ ტ. კაკაურიძის ავტომობილი სახელმწიფო აღრიცხვაზე არ იმყოფებოდა, არც მძღოლის მოწმობა ჰქონდა და მანქანას უნებართვოდ მართავდა. ზესტაფონის სახელმწიფო ავტონისპექციამ 1980, 1984 და 1986 წლებში იგი სამჯერ დააკავა და სათანადო ზომები მიიღო მოტოციკლის მთვრალ მდგომარეობაში მართვისათვის. თუმცა ტ. კაკაურიძემ არაფრად მიიჩნია ეს

ყველაფერი და ჭიუტად ცდილობდა თავისი გაეყვანა, დამშლელიც არავინ აღმოჩნდა. ასე მომზადდა ყველას თვალწინ უმძიმესი ტრაგედია.

ასეთი ვითარების უშუალო მიზეზია ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებში არსებული დაბალი შრომითი და საწარმოო დისციპლინა, მძღოლების უპასუხისმგებლობა და მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური გაუმართაობა. ბევრგან საქმე თვითღინებაზეა მიშვებული, ზოგიერთ მძღოლს კი სახელმწიფო ავტომანქანა კერძო საკუთრებად მიაჩნია, არავითარ კონტროლს არ ემორჩილება.

ამას წინათ, სახაზრომრეწვის გარდაბნის რაიონის მექანიზაციისა და მიწების დაცვის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საწარმოო გაერთიანების სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საწარმოს სამტრედიის ავტოკოლონის მუშაობა შევამოწმეთ, სადაც უამრავი დარღვევა და ნაკლი გამოვლინდა. სწორედ ამგვარმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ 6 მაისს, ერთ-ერთმა აქაურმა მძღოლმა ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხევთან ავტოავარია მოახდინა. შემთხვევამ ორი ადამიანი შეიწირა, ორი კი მძიმედ დაშავდა.

ბევრს სცოდავენ ფეხით მოსიარულეები, მეტსაც კი, ვიდრე მძღოლები. ქვეითთა დარღვევები კი რატომღაც უმნიშვნელოდ მიაჩნიათ, თუმცა სტატისტიკა ჭიუტად ამტკიცებს, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თითქმის 42 პროცენტი ფეხით მოსიარულეებზე მოდის. წლეულს მათი მიზეზით 225 ავტოავარია მოხდა, რომელსაც 47 ადამიანი ემსხვერპლა, 192 კი — დასახიჩრდა.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს გზების უხარისხობის თაობაზე, მითუმეტეს, რომ ამ მხრივ ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე ვართ კავშირის მასშტაბით. ერთ საგულისხმო გარემოებაზე გვინდა მივანიშნოთ: ცნობილია თუ რა სწრაფად იზრდება რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის პარკი; ცხადია, ავტომობილების ამგვარ მოზღვავენას შესაფერისი ავტომავისტრალეები და ტრასები ესაჭიროება. ამ მხრივ კი, პირდაპირ ვიტყვი, კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს. 1982-87 წლებში ტრანსპორტის რაოდენობამ ოცდათოთხმეტი პროცენტით მოიმატა, გზების მშენებლობისა და სარეკონსტრუქციო-აღდგენითი სამუშაოები კი კუს ნაბიჯით ხორციელდება, მაშინ როცა კარგ გზაზე ნაკლები ავარია რომ ხდება, ყველასათვის ცხადია.

განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა შექმნილი საკავშირო მნიშვნელობის საავტომობილო გზის ნოვოროსიისკი-თბილისი-ბაქოს, გორი-ნატანტრის მონაკვეთზე, სადაც სადღელამისო საშუალო წლიურმა ინტენსივობამ ბევრად გაუსწრო ნორმით გათვალისწინებულს. აქ ერთი ავტომობილის მცირე ხნით შეჩერებაც კი მოძრაობის ხანგრძლივ შეფერხებას და უწყესრიგობას იწვევს. სახელმწიფო ავტოინსპექცია ყველაფერს ცდილობს, მაგრამ საავტომობილო მავისტრალეებზე შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა კვლავ სავალალოა და იგი ქმედითი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. გორი-ნატანტრის საავტომობილო გზის სამოცკილომეტრიან მონაკვეთზე ბოლო სამი წლის განმავლობაში 129 შემთხვევა მოხდა, რომელმაც 94 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 304 კი მძიმედ დაშავდა.

სავალალო მდგომარეობაა შექმნილი თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის გზის 88-100 კილომეტრის მონაკვეთზე. აქ საბურავების ასფალტის საფართან შეჭიდულობის კოეფიციენტი დასაშვებთან (იგი 0,5-0,6-ს უნდა აღემატებო-

დეს) 0,35-0,37-მდე ჩამოვიდა. ამის შესახებ მრავალჯონი ეცნობა რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს, № 1 საგზაო-საექსპლოატაციო უბანს, მაგრამ გაფრთხილება არავინ შეისმინა. მერე თითქოს შეაკეთეს კიდევ აღნიშნული მონაკვეთი, მაგრამ სულ მალე იგივე ვითარება შეიქმნა. ამ მონაკვეთზე რამდენიმე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, თუმცა, ამან არავინ დააფიქრა, არავინ ამოქმედდა, და მოსახდენი მოხდა. 21 ივლისს, დედქალაქიდან ზაქათალას მიმართულებით გაემგზავრა ავტოკოლონა 2661-ის კუთვნილი ავტობუსი ლაზ-695 (31-41 გას). თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის ამ სახიფათო მონაკვეთის 98-ე კილომეტრზე, წვიმისაგან დასველებულ ასფალტზე მძღოლმა ვერ უზრუნველყო უსაფრთხოდ მოძრაობა, ავტობუსი მკვეთრად მოცურდა და 25 მეტრის სიმაღლიდან ხევში გადაეშვა. ცეცხლმოდებულ ავტობუსში მყოფთაგან მძღოლი და ოთხი მგზავრი დაშავდნენ, ორი მგზავრი კი ავტობუსთან ერთად დაიწვა. აი, რა საზარელი ტრაგედია დატრიალდა მოუვლელსა და უყურადღებოდ მიტოვებულ გზაზე. მიზეზი ამ უბედურებისა ცხადია და არც მისი უნებლიე ხელისშემწყობთა ვინაობაა გაურკვეველი. ამ მძიმე მოუშუშებელი ტყვილისა და იარის თავიდან აცილება კი თავისუფლად შეიძლებოდა. უბრალოდ, ყველას თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად და დროულად უნდა შეესრულებინა, ყურად ეღობ მრავალჯონი გაფრთხილება და მითითება. დარღვევები აღმოჩნდა ავტოკოლონა 2661-შიც.

ვფიქრობთ, საგზაო პირობების გაუმჯობესების მხრივ სასიკეთო შედეგს გამოიღებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ახალი ბრძანებულება სატრანსპორტო საშუალებათა და თვითმავალი მანქანა-მექანიზმების მფლობელთა გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც 1989 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში. ამგვარად მიღებული დამატებითი სახსრები საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტს, მათს მოწესრიგებას მოხმარდება.

რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონისპექციის წინაშე დღეს არაერთი მწვავე პრობლემა და გადაუჭრელი საკითხია, მათი გადაწყვეტის გზებიც მრავალგვარი და მრავალმხრივია.

ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ჩვენი რიგების კეთილსინდისიერი, საქმისმოყვარული და განსწავლული თანამშრომლებით შევსება მიგვაჩნია. ამ მიზნით რამდენჯერმე მოგაწყეთსაგზაო-საპატრულო სამსახურის რიგითი ინსპექტორის თანამდებობის დასაკავებლად განკუთვნილი კონკურსი. უნდა ვთქვათ, რომ წამოწყებამ სასურველი შედეგი მოგვიტანა—რამდენიმე ტურად ჩატარებულ ამ სიმბოლურ გამოცდაში 651 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის მხოლოდ ოთხმოცდახუთმა გაიმარჯვა, რომელთაგან ოცდათხუთმეტი თანამდებობაზე დაინიშნა, ორმოცდაათი კი რეზერვში ჩავრიცხეთ. ვფიქრობთ, ამით საგრძნობლად გამოგვიკეთდება მდგომარეობა ამ მიმართებით.

დაბოლოს, ერთი რამ დაბეჯითებით უნდა ითქვას და გამოიკვეთოს: თუ თითოეული ჩვენგანი შემრიგებლური პოზიციისაგან არ განთავისუფლდა, თუ ყველამ ღრმად არ შეიგნო მოქალაქეობრივი ვალი და პასუხისმგებლობა, რომელსაც მას საგზაო მოძრაობის ერთიანი პროცესი აკისრებს, მომავალში კიდევ უფრო გაგვიჭირდება სავალალო მდგომარეობიდან თავის დაღწევა, ვერ შევძლებთ გზებსა და გზაჯვარედინებზე სანიმუშო წესრიგის დამყარებას.

ბუნებრივია, ყველაფერს ვიღონებთ, რათა არსებითად გავაუმჯობესოთ დაძაბული ვითარება. თუმცა, ისევ და ისევ გვინდა გავიმეოროთ, რომ ყოველივე ეს თითოეული მოქალაქის აქტიური მონაწილეობით, მთელი ჩვენი საზოგადოების ერთობლივი დაინტერესებითა და მონდომებით უნდა გაკეთდეს; ეს ხომ ჩვენი საერთო სატკივარი და საწუხარია. მას კი ყველამ ერთად უნდა მოვუაროთ.

პროფილაქტიკა — მთავარი მიზართულება!

ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა — ძირითადი მოვალეობა

როლანდ ვილიგაშვილი,
საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე

ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური გარდაქმნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცება, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განუხრელი დაცვა, ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა.

ახალი ადამიანის აღზრდაში და რეციდიული დანაშაულის შემცირების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ გულისხმიერ და სამართლიან დამოკიდებულებას, რაც მათ მიერ პატიოსანი ცხოვრების დაწყების ძირითადი საწინდარია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1987 წლის 18 ივნისს გამოსცა ბრძანებულება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“. საბჭოთა სახელმწიფოს ამ ჰუმანური აქტის საფუძველზე რესპუბლიკაში ათასზე მეტი ადამიანი დაუბრუნდა ოჯახს, საზოგადოებას, სამსახურს, რომლებიც თავიანთი სანიმუშო ქცევითა და შრომით ცდილობენ გახდნენ ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. საქართველოს სსრ პროკურატურამ ზედამხედველობის წესით შეამოწმა მათი შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის კანონით დადგენილი წესების შესრულების მიმდინარეობა. დადგინდა, რომ მიუხედავად ამ მიმართებით რესპუბლიკის საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაწეული დიდი მუშაობისა, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა მიმართ უსულგულო და ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტი, ყველა მათგანს არა აქვს შექმნილი ცხოვრებისა და შრომის ნორმალური პირობები.

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კანონმდებლობის შესაბამისად

სასჯელისაგან განთავისუფლებული პირნი სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ სამუშაოთი, შეძლებისდაგვარად მათი სპეციალობის გათვალისწინებით, შრომით მოწყობაში დახმარებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს თხუთმეტი დღის ვადაში. საჭიროების შემთხვევაში მათ ეძლევათ საცხოვრებელი ფართობიც.

სამწუხაროდ, კანონის ეს მოთხოვნა ჯერ კიდევ არ სრულდება სრულყოფილად, რის გამოც ამნისტიით განთავისუფლებული 100-ზე მეტი პირი არასაპატიო მიზეზით დაუსაქმებელია თბილისში, ქუთაისში, გულრიფშში, ქარელში, ჩაშურში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ზოგჯერ არ სრულდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის კანონით დადგენილი წესები. მაგალითად, მ. ა. ალოვევი საპატიმრო ადგილიდან განთავისუფლდა 1987 წლის 25 ნოემბერს და დაბრუნდა საცხოვრებლად თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში. პატიმრობაში ყოფნის დროს ჩამოერთვა საცხოვრებელი ბინა და იგი გადაეცა სხვა მოქალაქეს. განთავისუფლების შემდეგ მას სამაგიერო ბინა არ მიუღია, რის გამოც იგი დარჩენილია უბინაოდ და ჩაწერის გარეშე.

გ. პ. ლაზვიაშვილი განთავისუფლდა 1987 წლის 15 დეკემბერს, იგი ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონში. სასჯელის მოხდის დროს მისი ბინა რაისაბჭოს აღმასკომმა გადასცა სხვა პირს. განთავისუფლების შემდეგ კი, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, მას დღემდე ბინა არ მიუღია.

ნ. ლ. აზდაროვი განთავისუფლდა 1987 წლის 16 ნოემბერს. ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა ქ. თბილისში, მატროსოვის ქ. № 30-ში, მისი პატიმრობაში ყოფნის დროს აღნიშნული საცხოვრებელი ბარაკი დაინგრა, რის გამოც იგი ამჟამად ჩაუწერავი და უბინაოა.

არ არის აღმოფხვრილი თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები მათი სამუშაოზე მიღების დროს. მაგალითად, ქ. ტყვარჩელის ტრესტ „ტყვარჩელ-ქვანახშირის“ კომუნალური საწარმოს კომბინატის ადმინისტრაციამ ორი თვის მანძილზე გაუჭიანურა სამუშაოზე მიღების საკითხი ნ. ს. ჩაჩხალიას; უსაფუძვლოდ უთხრა უარი სამუშაოზე მიღებაზე „ტყვარჩელშახტმშენის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ადმინისტრაციამ ხ. გ. ძალამიძეს, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციაში სამუშაოდ გაიგზავნა ტყვარჩელის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების შრომა-გასწორების ინსპექციის მიერ.

კანონის თანახმად, სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიწერილობა სასჯელისაგან განთავისუფლებულ პირთა შრომითი მოწყობის შესახებ სავალდებულოა საწარმოების, დაწესებულებების, და ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის. მიუხედავად ამისა, მიმდინარე წლის 4 მარტს დაუსაბუთებლად ეთქვა უარი ქ. თბილისის გლდანის რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ადმინისტრაციის მიერ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლებულ ე. ბ. თევდორაძეს, ხოლო გ. გ. ქუთათელაძე ორჯერ არ მიიღეს სამუშაოზე, ჯერ მიმდინარე წლის 4 მარტს თბილისის კონიაკის ქარხანაში, ხოლო 18 მარტს თბილისის თბომეურნეობის სისტემაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ე. ბ. თევდორაძე და გ. გ. ქუთათელაძე სამუშაოდ ამ ორგანიზაციებში გაგზავნეს ქ. თბილი-

სის გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებამ.

თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილებიდან ვადამდე განთავისუფლებულ პირებზე მეთვალყურეობას ახორციელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები მათი მუშაობის, სწავლის ადგილის მიხედვით, აგრეთვე საზოგადოებრიობა ამ პირთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები თავიანთ კრებებზე ან ხელმძღვანელი ორგანოების სხდომებზე პერიოდულად ისმენენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა ანგარიშს მათი მუშაობის, სწავლის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის და ყოფაქცევის შესახებ, აგრეთვე ხელმძღვანელობას უწევენ საზოგადოებრივ აღმზრდელთა მუშაობას, რომლებიც გამოეყოფათ ამ პირებს. საზოგადოებრივი აღმზრდელები რეგულარულად უნდა ეწეოდნენ მათთან აღმზრდელობით მუშაობას, აკონტროლებდნენ შრომისადმი, სწავლისადმი მათ დამოკიდებულებას და ქცევას ყოფაცხოვრებაში, უწევდნენ მათ აუცილებელ დახმარებას.

სასჯელის მოხდისაგან ვადამდე განთავისუფლებული პირის მიმართ, თუ იგი არ იცავს სოციალისტური ერთად ცხოვრების წესებს და ეწევა ანტი-საზოგადოებრივ ცხოვრებას, შრომითი კოლექტივის კრებას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლია გამოიყენონ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი.

იმ პირის მიმართ, რომელიც ადრე იხდიდა თავისუფლების აღკვეთას მძიმე დანაშაულისათვის, ან თავისუფლების აღკვეთა რომელიმე განზრახი დანაშაულისათვის მისჯილი ჰქონდა ორზე მეტჯერ და ამ სასჯელისაგან ვადამდე განთავისუფლდა, საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა უშედეგობის შემთხვევაში შრომით კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლია შინაგან საქმეთა ორგანოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა იმ ზემოქმედების გამოყენების თაობაზე, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისადმი ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ. სამწუხაროდ, კანონის აღნიშნული მოთხოვნები ხშირად საერთოდ არ სრულდება ან ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სუსტია აღნიშნული კატეგორიის პირებთან შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების უბნის ინსპექტორების პროფილაქტიკური მუშაობა. ნაწილობრივ ამითაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ამნისტიის შედეგად განთავისუფლებულმა ზოგიერთმა პირმა კვლავ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, გორში, სოხუმის, ჯავის, გორის, საგარეჯოს, ახმეტის, გურჯაანის, თელავისა და მახარაძის რაიონებში...

ვ. მ. მელაძე, გასამართლებული იყო და სასჯელს იხდიდა ქურდობისათვის. 1987 წლის 17 აგვისტოს ამნისტიის საფუძველზე განთავისუფლდა და მუშაობა დაიწყო სოფელ მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში კოლმეურნედ. უკონტროლობისა და მასთან არასათანადო პროფილაქტიკური მუშაობის შედეგად 1987 წლის 21 ნოემბერს სოფელ მეჯვრისხევიში მან კვლავ ჩაიდინა ყაჩაღური თავდასხმა. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1987 წლის 21 დეკემბერს იმსჯელა სახალხო დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომმა, მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ს. მექვაბიშვილი განთავისუფლდა დაკა-

ვებული თანამდებობიდან, ხოლო უბნის ინსპექტორს, მილიციის უფროს ლეიტენანტ მ. ლ. ტატიაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

არასრულწლოვანი კ. თ. ბადალოვი, სასჯელს იხდიდა ძარცვისათვის, ამნისტიის საფუძველზე 1987 წლის 18 სექტემბერს განთავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან, დაბრუნდა საცხოვრებლად ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონში და მოეწყო სამუშაოზე ამავე რაიონის სარემონტო კანტორაში მუშად. მშობლების, შრომითი კოლექტივისა და რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის მხრიდან სრული უკონტროლობის შედეგად კ. თ. ბადალოვი არასრულწლოვანებთან ა. ო. ბაკურაძესთან და გ. გ. კალანდაძესთან ერთად გაქურდა რამდენიმე ავტომანქანა და ამჟამად მიმალულია.

რ. ხ. მინასიანი ამნისტიის საფუძველზე განთავისუფლდა და დაბრუნდა 1987 წლის 18 ნოემბერს ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონში, მუშაობა არსად არ დაიწყო, უსაქმურობისა და უზედამხედველობის შედეგად რ. ხ. მინასიანმა 1988 წლის 15 ივნისს კვლავ ჩაიდინა ახალი სისხლის სამართლის დანაშაული — გაიტაცა ავტომანქანა.

მ. გ. კოპალიანი სასჯელს იხდიდა ქურდობისათვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლდა 1987 წლის 30 ნოემბერს, დანაშაულის ჩადენამდე იგი სწავლობდა წულუკიძის № 9 პროფტექნიკურ სასწავლებელში. განთავისუფლების შემდეგ სურვილი გამოთქვა სწავლის გაგრძელებისა, მიმართა სასწავლებლის ხელმძღვანელობას თხოვნით, რაზედაც განემარტა, რომ 1988 წლის 13 იანვრამდე სათანადო საბუთების წარდგენის შემთხვევაში დააკმაყოფილებდნენ მის თხოვნას, მაგრამ ამ ვადის გასვლამდე მან ჩაიდინა ყაჩაღობა, რისთვისაც მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქ. თელავში მცხოვრები ი. ვ. ფარემუზოვი განთავისუფლებისთანავე მოეწყო სამუშაოდ № 139 მოძრავ მექანიზირებულ კოლონაში, მაგრამ მუშაობას თვითნებურად მიაჩნებდა თავი და სამუშაოდ გადავიდა თელავის რაიონის ინდუსტრიულ-მშენებლობის სამმართველოში, სადაც ფაქტობრივად არ მუშაობდა, 1988 წლის მარტში მან ჩაიდინა მოქალაქეთა პირადი ქონების ძარცვა.

გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში მცხოვრები გ. ო. აბულაშვილი 1987 წლის 18 ნოემბერს დაბრუნდა თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან, ხოლო ამავე წლის 5 დეკემბერს ჩაიდინა ყაჩაღობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გ. აბულაშვილი 3 დეკემბერს შრომითი მოწყობის მიზნით გაიყვანეს შაშიანის სასოფლო საბჭოს აღმასკომთან არსებულ მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიაზე, 4 დეკემბერს კი გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიაზე, რომელმაც იგი გაგზავნა სამუშაოდ სოფელ შაშიანის კოლმეურნეობაში, მან კი მუშაობის ნაცვლად მეორე დღესვე ჩაიდინა მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული.

ე. კ. კაჩანოვი განთავისუფლების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის ქარხანა „ანალიზხელსაწყოში“, მაგრამ უზედამხედველობის შედეგად მიმდინარე წლის 24 იანვარს ჩაიდინა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობა. ასევე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა ქ. გორში მცხოვრებმა გ. ე. ელბაქიძემ და გ. ო. შავშიშვილმა. ყველა ზემოთ აღნიშნული პირი მუშაობდა.

დ. პ. სვანიკაშვილმა, თელავის ავტოსკოლის მოსწავლემ, განთავისუფლების შემდეგ, 1988 წლის 27 აპრილს, ნასვამმა ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა.

ამავე დღეს ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა გ. ა. ჯავახიშვილმაც, ანგეტის სასოფლო-საბინაო კომუნალური მეურნეობის სარაიონთაშორისა რაიონული გაერთიანების მუშამ.

ზემოთ აღნიშნულ პირთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა მასალების შესწავლით ირკვევა, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო გეგმაზომიერი პროფილაქტიკური და აღმზრდელობითი მუშაობით, რაც სამწუხაროდ არ გატარებულა.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მიერ ადგილებზე შემოწმებით გამოვლინებულ კანონიერების დარღვევებს გაუკეთდა სათანადო რეაგირება, მაგრამ ამ საქმის მხოლოდ ადმინისტრაციული და საბჭოთა ორგანოების ბედის ანაბრად მიტოვება არ შეიძლება, ვერც ცალკეულ პირთა თაოსნობა გამოიღებს სასურველ შედეგს, თუ მათი აღმზრდელობითი მუშაობის საქმეში არ ჩაება ფართო საზოგადოებრიობა, როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული.

რაიონული გაზეთების ფურცლაზეა

დროის შესახებინად

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს გაზეთი „კოლმეურნე“ (რედაქტორი ნ. ყანდაშვილი) აქტიურად ეხმარება გარდაქმნის პროცესთან დაკავშირებულ ყოველგვარ სიახლეს, მხარს უჭერს ახალ წამოწყებებს, ფართო აუდიტორიის სამსჯავროზე გამოაქვს ყველა ის ხარვეზი და ნაკლოვანება, რასაც ჭერ კიდევ ადგილი აქვს რაიონის ცხოვრებაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რაიონში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვისათვის მიძღვნილ წერილებს. როგორც 1988 წლის პირველი ნახევრის ნომრების ანალიზმა გვიჩვენა, სამართლებრივ საკითხებს დაახლოებით 40-მდე სტატია მიეძღვნა. „კოლმეურნე“ გამოირჩევა რუბრიკების მრავალფეროვნებით: „ადამიანი და კანონი“, „ჩვენი კონსულტაცია“, „რაიონის პროკურატურაში“, „სიფხიზლე ცხოვრების ნორმა“, „სასამართლო დარბაზიდან“, „წესრიგი ყველგან და ყველაფერში“, „ალკოპოლიზმს — დაუნდობელი ბრძოლა“, „ავტონისპექციიდან გვატყობინებენ“ და მრავალი სხვა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ გაზეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობის მართლშეგნების დონის ამაღლების საქმეს.

„კოლმეურნის“ ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობა შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მასალებს. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობენ მილიციის ლეიტენანტები მ. მაზიაშვილი და თ. ქუსიკაშვილი; უფროსი ლეიტენანტები რ. გეწაძე და თ. სომხიშვილი; მილიციის კაპიტნები ვ. შალვაშვილი, ო. ბუწაშვილი და ო. ელიზბარაშვილი; საპასპორტო სამსახურის უფროსი მ. ღვინიაშვილი, სახელმწიფო ავტონისპექტორი ნ. ნარინდიაშვილი და სხვები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შინაგან საქმეთა სიღნაღის რაიონული განყოფილებისა და „კოლმეურნის“ ერთობლივი გამოშვება — „მებრძოლი გუშაგი“. ამ რუბრიკით გამოქვეყნებული მასალა გამოირჩევა ინფორმაციული ხასიათით, მწვავე კრიტიკით. აქ მოგვითხრობენ არა მარტო ნარკომანის, ქურდობის, მუქთახრობის, ლოთობის, სპეკულაციის სამარცხვინო ფაქტების და მათი აღმოფხვრისათვის დასახული ღონისძიებების შესახებ, არამედ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების იმ თანამშრომლებზეც, ვისთვისაც ძვირფასია პროფესიული ღირსება, ვინც ერთგულად და თავდაუზოგავად იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის.

სიღნაღის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორის მილიციის კაპიტანის ვ. შალვაშვილის წერილი „შეგებრძოლოთ გაერთიანებული ძალებით“, ეხება რაიონში პროსტიტუციის, ვენერიული დაავადებების გავრცელების პრობლემას. ამ მხრივ რაიონში არასახარბიელო მდგომარეობაა. ვენერიული სენით დაავადებულ პირთა მეტი ნაწილი მოდის სოფელ საქობოსა და ქალაქ წნორზე, სადაც ზოგიერთ დაწესებულებაში წლების მანძილზე მუშაობენ ჩაუწერავი პირები. მდგომარეობის გამოსასწორებლად ხშირად ტარდება რეიდები და სხვადასხვა სახის პროფილაქტიკური ღონისძიებები.

რაიონში მწვავედ დგას ნარკომანის, ე. წ. „თეთრი სიკვდილის“ პრობლემა. ამ საკითხს ეძღვნება რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ოპერაწმუნებულის, მილიციის ლეიტენანტის თ. ქუსიკაშვილის წერილი „სიმართლეს თვალი ვუსწოროთ“. ავტორი ფაქტების მოშველიებით აღნიშნავს, რომ ის დრო წავიდა, როცა თვალს ვუხუჭავდით და ხელს ვაფარებდით ამ მავნე ჩვევას, რომელიც დღეისათვის სოციალურ ტრაგედიად იქცა.

ამ ბოლო წლებში მიღებულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებები, რომელიც ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღკვეთის ღონისძიებებს ეხება. რაიონში ამ მხრივ მიმართული ბრძოლა სულ უფრო კონკრეტულ სახეს ღებულობს. კანონი მკაცრია იმათ მიმართ, ვის ცნობიერებამდე ჯერ არ დასულა ის საფრთხე, რაც არაფხიზელ მდგომარეობაში საქვსთან ჯდომას ახლავს. ამიტომ არის, რომ ვაზეთ „კოლმეურნეში“ რუბრიკით „ავტონსპექციიდან გვატყობინებენ“ ხშირად ქვეყნდება არაფხიზელ მდგომარეობაში დაკავებულ მძღოლთა ვინაობა, ხოლო ორგანიზაციებში იგზავნება ცნობა მომხდარი ფაქტის შესახებ, რათა შრომითმა კოლექტივმა საჯაროდ იმსჯელოს აღნიშნულ ფაქტებზე და შემდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტონსპექციას. სამწუხაროდ, ორგანიზაციებში ან საერთოდ არ რეაგირებენ ფაქტზე, ან ძლიერ დაგვიანებით და ხშირად პასუხსაც არ აბრუნებენ. კარგი იქნება თუ ვაზეთ „კოლმეურნის“ რედაქცია კონტროლზე აიყვანს დარღვევის თითოეულ ფაქტს, იზრუნებს მასზე დროული რეაგირებისათვის და ამის შესახებაც აცნობებს ფართო მკითხველს.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებათა კომპლექსში თავისი წვლილი შეაქვთ რაიონის სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ ვაზეთში.

ვაზეთ „კოლმეურნის“ აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია რაიონის 2. „საბჭოთა სამართალი“, № 5

აქ. სსრ კ. მარქსის
 სახ. სახ. ბიბლიოთეკა.



პროკურორის რ. რთველიაშვილის მამხილებელი და კრიტიკული წერილი, რომელიც ეხება ულიანოვკის თვლიანი ტრაქტორების სარემონტო ქარხნისა და სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკაში ჩატარებული შემოწმების შედეგებს. ამ საწარმოებში ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობისა და უცოდინარობის გამო აღმოჩენილია დარღვევის მრავალი ფაქტი. გამოაშკარავდა მათი უპასუხისმგებლობა, დაკისრებული საქმისადმი ზერელე, უგულისყოფილ დამოკიდებულება, მუშაკების პროფესიული მომზადების დაბალი დონე.

რაიონის პროკურატურის მიერ საერთო ზედამხედველობის წესით შემოწმდა წნორის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოები, წნორის სასურსათო კომბინატი, რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ორგანიზაციებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მზადყოფნისა და გამოყენების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა. აღმოჩენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ გატარდა გადამჭრელი ზომები.

მოსახლეობის ფართო ფენების სამართლებრივ ინფორმირებასა და გათვითცნობიერებას ისახავს მიზნად რაიონის პროკურორის წერილი „როცა მოწმე ცრუობს“. წერილში ფაქტების მოშველიებით საინტერესოაა გაშუქებული გამოძიების ან სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მოწმის, ზოგჯერ დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტები, რაც ხელს უშლის საქმის დროულად და სწორად წარმართვას, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. მართალია, კანონის ამგვარი დარღვევები მკაცრად არ ისჯება, აღნიშნავს ავტორი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საბჭოთა კანონების ჰუმანურობას, მაგრამ საჭიროა თითოეულმა ადამიანმა შეიგნოს ის უფლება-მოვალეობანი, რაც კანონით ყველა მოქალაქეს გააჩნია.

გაზეთში აქტიურად თანამშრომლობენ სიღნაღის რაიონის სახალხო სამართლოს თავმჯდომარე ნ. გუგუნიაშვილი, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ადვოკატი თ. ბეჟაშვილი, სიღნაღის სახელმწიფო ნოტარიუსი ნ. ლომაშვილი, რომელთა წერილები ეძღვნება მოსახლეობის სამართლებრივი ცოდნის ამაღლების საკითხებს.

რამდენადმე პროვინციალიზმის ელფერი დაჰკრავს მასალებს, რომლებიც იბეჭდება რუბრიკით „სასამართლო დარბაზიდან“. დროა ჩამოვიშოროთ არაფრისმთქმელი, გაცვეთილი ფრაზები და სეტერეოტიპული გამოთქმები. თითოეული წერილი მომზადებული უნდა იყოს მაღალ პროფესიულ დონეზე, სალიტერატურო ენის ნორმების ზედმიწევნით დაცვით.

საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში პრესას ფართო შესაძლებლობა მიეცა ყოველმხრივ წარმოაჩინოს თავისი შესაძლებლობანი, დაიკავოს აქტიური პოზიცია რაიონის სამართალდამცავ ორგანოებსა და მოსახლეობას შორის. ვფიქრობთ, გაზეთმა კიდევ უფრო მეტი ადგილი უნდა დაუთმოს შრომის, საბინაო, სამოქალაქო კანონმდებლობის საკითხებზე მიძღვნილ სტატიებს, ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს რედაქციაში შემოსული არც ერთი წერილი, საჩივარი თუ განცხადება.

მიგვაჩნია, რომ ინფორმაციული ხასიათის მასალები, რომლებიც ასე მრავლადაა გაზეთში, სათანადო ეფექტს არ იძლევა, საჭიროა შემტევი და უკომპრომისო ბროძლა გამოვუცხადოთ კონკრეტული დანაშაულის თითოეულ ფაქტს და დავსახოთ მისი აღმოფხვრის გზები. დასანანი, რომ „კოლმეურ-

ნეში“ თანამშრომლობენ სამართალდამცავი ორგანოების უმეტესად ერთიდა-იგივე წარმომადგენლები, ამ მხრივ გამონაკლისია რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება.

ურიგო არ იქნება გაზეთმა იზრუნოს უანრობრივი მრავალფეროვნებისათვის. ამ მხრივ, ვფიქრობთ, უნდა დაინერგოს უშუალოდ მოსახლეობის შეკითხვებზე აგებული ინტერვიუების გამოქვეყნება სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებთან. იშვიათად ან თითქმის არ გვხვდება რეპლიკა, სატირა, ფელეტონი.

ამყამად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკოლოგიურ პრობლემებს. გაზეთს ამ მიმართებით მეტი აქტიურობა მართებს. საჭიროა, რომ გაზეთი „კოლმეურნის“ თაოსნობით გარემოს გაბინძურების წინააღმდეგ დაირაზმონ რაიონის სახალხო სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა განყოფილების წარმომადგენლები, რაიონის ხელმძღვანელობა და მთელი საზოგადოებრიობა.

გვჯერა, რომ გაზეთი „კოლმეურნის“ შემოქმედებით კოლექტივს, მის ხელმძღვანელობას ძალუძს კიდევ უფრო გაააქტიუროს ბრძოლა იმ გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებსაც გარდაქმნის პროცესი გვისახავს.

თეო ზაქარაძე,

ჩვენი სპეცკორესპონდენტი

ახალი ინსტრუქცია

ადვოკატთა მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურება

ლევან ზაინიძე,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად პარტიამ გრანდიოზული ამოცანები დასახა, რომელთა განსახორციელებლად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ იურისტებმა და მათ შორის, რა თქმა უნდა, ადვოკატთა კოლეგიის წევრებმა.

XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ მიზანშეწონილად მიიჩნია ძირფესვიანად გარდაიქმნას და მნიშვნელოვნად გაიზარდოს იურიდიული დახმარების აღმოჩენაში ადვოკატურის, როგორც თვითმმართველი ასოციაციის როლი, გაფართოვდეს დამცველთა მონაწილეობა გამოძიების სტადიასა და სასამართლო წარმოებაში, გაუმჯობესდეს ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის ხარისხი, ამაღლდეს მათი ავტორიტეტი და ა. შ.

ამისათვის კი საჭიროა შემუშავდეს მუშაობის ახალი ორგანიზაციული ფორმები და დაინერგოს მოქალაქეებისათვის მოხერხებული სამართლებრივი დახმარების ახალი სახეობები უშუალოდ საწარმოებსა და საცხოვრებელ ადგილებში. ყურადღებას იქცევს სამართლებრივი მომსახურების ისეთი ფორმები, როგორცაა კონსულტაცია ტელეფონით, ადვოკატთა გაგზავნა სამართლებრივი დახმარების გასაწევად ინვალიდებთან და მოხუცებთან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ე. წ. „ოჯახის ადვოკატთა“ შემოღება, რომლებიც სახელშეკრულებო საწყისებზე შეძლებენ მოქალაქეებისათვის ყოველგვარი იურიდიული დახმარების გაწევას, იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა კლიენტებს სასამართლო ორგანოებში რაიმე კონკრეტული საქმე. უნდა განვირგინოთ ადვოკატთა მონაწილეობა სახელმწიფო ავტონოსპექციის ორგანოების მიერ ნართვის უფლების ჩამორთმევის დროს, ამხანაგურ სასამართლოებში სხვადასხვა საქმის განხილვისას, საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის წევრთა საერთო კრებაზე და სხვა.

მოქალაქეების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოოპერაციების სამართლებრივი მომსახურების გარდაქმნაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მატერიალური სტიმულირების შემდგომმა განვითარებამ, საადვოკატო საქმიანობის ანაზღაურების სისტემის სრულყოფამ.

1988 წლის პირველი მაისიდან შემოღებულია და მოქმედებს ახალი დებულება ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ, ხოლო 1988 წლის პირველი სექტემბრიდან ახალი ინსტრუქცია ადვოკატთა მიერ მოქალაქეებისათვის, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოოპერაციებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების შესახებ.

ამ დოკუმენტებმა ხელი უნდა შეუწყოს ადვოკატთა მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებასა და კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღებაზე მოქალაქეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

მეტად მნიშვნელოვანია ძირითადი ცვლილება, რომელიც შეტანილია დებულებაში ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ. დღემდე მოქმედი დებულების შესაბამისად ადვოკატთა თვიური გამომუშავება არ აღემატებოდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქებში, საოლქო ცენტრებში, კერძოდ კი ქალაქ თბილისში, სოხუმში, ბათუმში და ცხინვალში 800 მანეთს, ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში — 270 მანეთს.

ახალი დებულებით თვიური გამომუშავების მაქსიმალური ოდენობა ანუ ეგრეთ წოდებული „პერი“ განსაზღვრული აღარ არის.

ინსტრუქციის შესაბამისად გათვალისწინებულია იმის შესაძლებლობა, რომ ცალკეულ შემთხვევებში, რთული დავების შესრულებისას, ადვოკატის კვალიფიკაციის მიხედვით, აგრეთვე როცა იურიდიული დახმარებისათვის მომმართველი ითხოვს კონკრეტული ადვოკატის გამოყოფას, სათანადო შეთანხმების საფუძველზე დადგინდეს ანაზღაურების უფრო დიდი ოდენობა, ვიდრე ინსტრუქციით არის გათვალისწინებული.

ინსტრუქციაში შეტანილი ცვლილებები უზრუნველყოფენ იმის გარანტიას, რომ მოქალაქეთა მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდეს, კვალიფიცი-

ურად შესრულდეს რთული დავალებები იურიდიული დახმარების მიღებაზე და ამაღლდეს ადვოკატთა პასუხისმგებლობა, მათი პროფესიული მუშაობის დონე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი ინსტრუქციით შემოღებულია ანაზღაურება ადვოკატთა მიერ მოქალაქეებისათვის გაწეული ისეთი იურიდიული დახმარებისათვის, რომლებიც აქამდე გათვალისწინებული არ იყო და მისთვის ადვოკატთა მიერ გაწეული შრომა ანაზღაურების გარეშე რჩებოდა.

მაგალითად, არ უნაზღაურდებოდათ შრომა ადვოკატებს პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის საწარმოებლად მომზადებისათვის; სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლისათვის; სამოქალაქო საქმის საწარმოებლად მომზადებისათვის; მოსამართლესთან პირადი მიღების დროს სასარჩელო მასალების მოხსენებისათვის; სარჩელის გამო ახსნა-განმარტების წარდგენისათვის და სხვა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ანაზღაურების ოდენობა იურიდიული დახმარების ჩამოთვლილ სახეობებზე ახალი ინსტრუქციით საკმაოდ სოლიდურია და შეადგენს დღეში საშუალოდ 20 მანეთს.

მოქალაქეებისათვის ადვოკატებისაგან გაწეული იურიდიული დახმარებისათვის დღემდე დაწესებული ანაზღაურება საგრძნობლადაა გაზრდილი. მაგალითად, თუ წინათ სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციისათვის გადასახდელი იყო 2 მანეთამდე, ამჟამად, ეს თანხა 5 მანეთამდეა გაზრდილი. რთული სამართლებრივი დოკუმენტის შედგენისათვის საზღაურმა 5 მანეთიდან 15 მანეთამდე მოიმატა, აქამდე წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობა ფასდებოდა 20 მანეთამდე, ხოლო თუ წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობა 2 დღეზე მეტს გრძელდებოდა უნდა გადახდილიყო დამატებითი საზღაური 8 მანეთამდე ყოველი შემდგომი დღისათვის. ამჟამად, წინასწარ გამოძიებაში ადვოკატის მონაწილეობისათვის განსაზღვრულია დღეში 20 მანეთამდე, ხოლო რთულ საქმეებზე ყოველ დღეში 25 მანეთამდე.

საქმის შესწავლისათვის, როდესაც ადვოკატი არ იღებდა მონაწილეობას წინასწარ გამოძიებაში, საზღაური იყო 10 მანეთამდე, ხოლო თუ საქმის შესწავლა გრძელდებოდა ერთ დღეზე მეტს — 8 მანეთამდე ყოველი შემდგომი დღისათვის. ამჟამად, საქმის შესწავლისათვის, თუ ადვოკატი არ მონაწილეობდა წინასწარ გამოძიებაში გადასახდელია დღეში 20 მანეთამდე. ადვოკატის მონაწილეობისათვის სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე, აგრეთვე განაჩენის აღსრულების განვადებაზე შეტანილი განცხადებისათვის და ისეთი საკითხის განხილვისათვის, რომელსაც სასამართლო კოლეგიალურად წყვეტს, ანაზღაურება ხდებოდა ისეთი ოდენობით, რაც არ უნდა აღმატებოდა საქმის შესწავლის ანაზღაურებელი თანხის 50 პროცენტს. დღეისათვის საზღაური გაზრდილია დღეში 20 მანეთამდე. როგორც ცნობილია, ადვოკატის მიერ ორი პირის დაცვა, ანაზღაურდებოდა ხოლმე იმ თანხის 60 პროცენტით, რაც დაწესებული იყო თითოეულისაგან, სამი და მეტი პირისათვის კი ეს პროცენტი 50-ს შეადგენდა. ახალი ინსტრუქციით ეს თანხა გაზრდილია შესაბამისად 75 და 60 პროცენტამდე.

ძველი ინსტრუქციით თუ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებულ სასამართლო პროცესში ადვოკატი წარმომადგენლობდა დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელეს ან სამოქალაქო მოპასუხეს, მისი ანაზღაურება 20 პროცენტით ნაკლებს შეადგენდა ბრალდებულის ინტერესების დამცველთან შედარებით. ამჟამად, კი სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებულ სასამართლო პროცესში დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლობისათვის დაწესებული საზღაური გათანაბრებულია ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატისათვის განსაზღვრულ მონორართან.

ადვოკატის მიერ სამოქალაქო საქმეების წარმოებისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში საზღაური იყო: მარტივ საქმეებზე 15 მანეთამდე, ხოლო რთულ საქმეებზე — 30 მანეთამდე, დღეისათვის ეს გასამრჩელო გაზრდილია შესაბამისად 30 და 60 მანეთამდე. თუ სასამართლო პროცესი ერთ დღეზე მეტს გაგრძელდა, ყოველი მომდევნო დღისათვის დამატებითაა გადასახდელი 20 მანეთამდე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის გათვალისწინებული იყო საზღაური 15 მანეთამდე, ხოლო რთულ დავალებებზე 30 მანეთამდე (მიუხედავად იმისა თუ რამდენ დღეს გრძელდებოდა საქმის წარმოებაში ადვოკატის მონაწილეობა). ამჟამად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის გათვალისწინებულია საზღაური დღეში 20 მანეთამდე, ხოლო რთული დავალებისათვის დღეში 25 მანეთამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ადვოკატის მონაწილეობისათვის გასამრჩელოს გაზრდასთან დაკავშირებით, შესაბამისად მოიმატა საზღაურმა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების წარმოებისათვის მეორე ინსტანციის სასამართლოში და შედამხედველობის წესით.

მაგალითად, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე, განჩინებასა და დადგენილებაზე საჩივრის შედგენისათვის, როცა ადვოკატი თვითონ მონაწილეობდა სასამართლოს პირველ ან მეორე ინსტანციაში, გადასახდელი იყო იმ თანხის 25 პროცენტამდე, რაც გადახდილი იყო პირველ ინსტანციაში, ხოლო როცა იგი პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოში არ მონაწილეობდა, მაშინ ამავე თანხის 50 პროცენტამდე. ყველა შემთხვევაში ეს თანხა არ უნდა აღემატებოდა 200 მანეთს.

ახალი ინსტრუქციით ასეთივე დავალების შესრულებისათვის ადვოკატთა გასამრჩელო გაზრდილია შესაბამისად 50 და 80 პროცენტამდე. ამასთანავე, ახალი ინსტრუქციით გათვალისწინებული არ არის გადასახდელი თანხის მაქსიმალური ოდენობა. ძალაში შესულ განაჩენზე, განჩინებასა და დადგენილებაზე ადვოკატის მიერ განმეორებით შედგენილი საჩივრის საზღაური დაწესებული იყო შედამხედველობის წესით საქმის წარმოებისათვის თავდაპირველად განსაზღვრული თანხის 10 პროცენტამდე, ამჟამად, ეს გასამრჩელო გაზრდილია 30 პროცენტამდე. პირადად მიღების დროს საზედამხედველო საჩივრის მოხსენებისათვის საზღაურად გათვალისწინებული იყო 6 მანეთამდე, დღეისათვის კი იგი 15 მანეთამდეა განსაზღვრული.



სრულიად შეიცვალა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კოოპერატივებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ანაზღაურების წესი. ხელშეკრულების დადებისას ამგვარი მომსახურების გასამრჩელო არ უნდა აღმატებულიყო მოცულობითა და ხასიათით ანალოგიური საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის შტატში მყოფი იურისკონსულტის თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტს. ახალი ინსტრუქციის თანახმად, კი ასეთი გასამრჩელოს ოდენობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე, ამავე ინსტრუქციით დაწესდა, რომ ორგანიზაციის ერთჯერადი დავალების შესრულებისათვის ანაზღაურება მოხდება იმავე ოდენობით, როგორც გათვალისწინებულია მოქალაქებისათვის, ხოლო კოოპერატივის ერთჯერადი დავალების შესრულებისათვის ანაზღაურება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

ერთი მეტად საინტერესო სიახლეც. ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ პროფესიულ მოვალეობათა არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, კოლეგიის პრეზიდიუმს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ დაუკავოს ადვოკატს იურიდიულ კონსულტაციაში შეტანილი ჰონორარი, რათა იგი უკან დაუბრუნდეს იმას, ვინც ეს თანხა შეიტანა. ეს დებულება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის მკვეთრი ამაღლებაა.

ყურადღებას იმსახურებს ისიც, რომ ახალი ინსტრუქცია ძველთან შედარებით, ბევრად უფრო დახვეწილი და კონკრეტულია. თუ წინა ინსტრუქცია შედგებოდა 48 პუნქტისაგან, ახლა იგი შემცირებულია 30-მდე. ეს კი ხელს შეუწყობს იურიდიული კონსულტაციის მიერ მიღებულ დავალებათა ანაზღაურების ოდენობის სწორად განსაზღვრას, ხოლო ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ ინსტრუქციის სწორად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებას.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ახალი ინსტრუქცია დაუგზავნა რესპუბლიკის ყველა იურიდიულ კონსულტაციას შესასრულებლად და სახელმძღვანელოდ. მათვე დაევალათ გულდასმით დამუშაონ იგი საწარმოს თათბირებსა და სასწავლო შეცადინებებზე, უზრუნველყონ მისი სრულყოფილი შესწავლა. ინსტრუქცია და ამონაწერი კანონიდან სსრ კავშირში ადვოკატურის შესახებ, რომელიც მოქალაქეთათვის უფასო იურიდიული დახმარების აღმოჩენას ეხება, უნდა გამოიკრას იურიდიულ კონსულტაციაში თვალსაჩინო ადგილას. საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა თბილისის რაიონების იურიდიულ კონსულტაციებში გაერთიანებული ადვოკატებისათვის ჩაატარა ორი შეცადინება ინსტრუქციის უკეთ ათვისების მიზნით. სამუშაო გეგმის შესაბამისად, 1988 წლის დეკემბერში გათვალისწინებულია ამ ინსტრუქციის გამოყენების პრაქტიკის განსოკადება თბილისის კალინინის რაიონისა და გორის რაიონის იურიდიულ კონსულტაციებში. მისი შედეგები განიხილება პრეზიდიუმის სსდრმაზე და გაეგზავნება რესპუბლიკის ყველა იურიდიულ კონსულტაციას.



დისკუსია

ბასული წლის მიჯნაზე ნომერში გამოვაქვეყნეთ ჩისუბლიკის იურისკონსულტთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნოდარ ნებიერიძის წერილი „ფიჭვანი იურიდიულ სამსახურზე“. მაშინ იურისკონსულტებს, ადვინისტრაციული ორგანიზაციის მუშაკებს, მიცნებებს და, საერთოდ, დინამიკურად ვიწროვდებით, რომ აქტიურად გამოვხატავდეთ ჩვენი ალტერნატიული პრობლემები და ჩვენი უზრუნველყოფის საშუალებით გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები, შენიშვნები, წინადადებები. ამჟამად, ვაქვეყნებთ ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ლეიშიძის კირიკის სახელობის კოლმეურნეობის იურისკონსულტის რამინ ახალიას წერილს „იურიდიული სამსახური გარდაქმნის მიღმა“, სადაც, ჩვენი აზრით, ბევრი სანიტარული საკითხია დასმული. მართალია, ჯობი მათგანი საკამათოა, მაგრამ დისკუსიაც ზრდა იმითვე წამოვიწყებთ, რომ კამათი დინამიკურად უფრო მოტივალური გზა იურიდიული სამსახურის საფინანსოვით არსებული პრობლემების გადაჭრისთვის...

მაშ, ასე! დისკუსია გრძელდება, კვლავ ველით თქვენს გამოხატულებას.

იურიდიული სამსახური გარდაქმნის მიღმა

რამინ ახალია

„სამეურნეო რეფორმის პრინციპებზე ჩვენი ეკონომიკის გადასვლასთან დაკავშირებით არსებითად უნდა განვამტკიცოთ საბჭოების, სამინისტროების, უწყებების, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების იურიდიული სამსახური... სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში, როცა სახელმეურნეო ურთიერთობა სულ უფრო მეტად შეიცვლება საწარმოო კავშირურთიერთობის მთელ ქსოვილში იურიდიული სამსახურების საიმედო მუშაობა უპირველეს (ხაზგასმა ჩემია რ. ა.) მნიშვნელობას იძენს“ — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ მე-19 საკავშირო კონფერენციაზე.

თანამედროვე რეგულაციურ გარდაქმნათა ეპოქაში, როცა 1989 წლის დამდეგიდან ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმო უნდა გადავიდეს სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე და თვითანაზღაურებაზე, შეძლებენ კი იურიდიული სამსახურები იმ სახით, რა სახითაც ისინი დღეს ფუნქციონირებენ, იდგენენ გარდაქმნის შუაგულში, ითამაშონ გარკვეული როლი მისი შემდგომი წინსვლის საქმეში? — პასუხი მხოლოდ ერთადერთია — ვერ შეძლებენ! იურიდიული სამსახურების მუშაობა არამცთუ ვერ აკმაყოფილებს დროის თანამედროვე მოთხოვნებს, არამედ მისი მუშაობის ორგანიზაციისა და სტრუქტურას, როგორც პროფესიონალი პრაქტიკოსი, ასევე სწავლული იურისტები სავსებით სამართლიანად აკრიტიკებდნენ თვით უძრაობის პერიოდშიც კი. იურიდიული სამსახურების შექმნის დღიდან მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა და ამ ხნის მანძილზე, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე არაერთხელ წავიკითხავს იურისტთა სამართლიანი მოთხოვნა იურიდიული სამსახურების მუშაობის სრულყოფის შესახებ.

ჯერ კიდევ 1967 წლის მეორე ნომერში ყურნალმა „საბჭოთა სამართალმა“ გამოაქვეყნა პროფესორ ნ. წერეთლის სტატია „იურიდიული სამსახურის სრულყოფისათვის“, სადაც გამოთქმული იყო შენიშვნები და წინადადებები იურიდიული სამსახურების მუშაობის სრულყოფის შესახებ, რომ-

ლებიც სრულიად ესადაგება და ასახავს დროის თანამედროვე მოთხოვნებს. აი, რას წერს პატივცემული პროფესორი: „არანაკლებ მნიშვნელობისაა საკითხი იურიდიული სამსახურის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შესახებ. სხვადასხვა სამინისტროებში გაერთიანებული იურიდიული სამსახური მოითხოვს ერთიან ხელმძღვანელობას, ისეთი ცენტრის შექმნას, რომელიც არა მარტო მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს ამ სამსახურს, არამედ უზრუნველყოფს მისი ავტორიტეტის განმტკიცებასა და სრულყოფას“. მას შემდეგ 21 წელი გავიდა, პრობლემა კი დღემდე პრობლემად რჩება.

1978 წლის მეხუთე ნომერში ჟურნალმა „საბჭოთა სამართალმა“ გამოაქვეყნა ტ. ლემონჯავას წერილი — „სრულყოფით სოფლის მეურნეობის იურიდიული სამსახური“. ავტორმა წამოჭრა ბევრი ანგარიშგასაწევი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხი, რომელთა განხორციელება კეთილყოფელ გავლენას მოახდენდა იურიდიული სამსახურების მუშაობაზე, მაგრამ არც მათ ეწერა პრაქტიკული განხორციელება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის ისტორიული პლენუმის შემდეგ გარდაქმნის ცხოველყოფილი ძალა მეტნაკლებად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. იურიდიული სამსახურების მუშაობაში კი გამყინვარების პროცესი გრძელდება... იგი გარდაქმნის მიღმა, მეორე ნაპირზე დარჩა, არადა, დრო არ ითმენს. ჩვენი ეკონომიკის წინსვლის დაჩქარების სტრატეგია და ტაქტიკა მოითხოვს შეკავშირებულ და ერთიან სისტემაში მოყვანილ, სათანადო უფლებებით აღჭურვილ, ორგანიზებულ, მოქნილ და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკრული იურიდიული სამსახურების შექმნას. ამ მეტად საჭირო და რთული ამოცანის გადაწყვეტისას მარტო სურვილებითა და მოწოდებებით ფონს ვერ გავალთ. საჭიროა ცოცხალი საქმე, გაბედული ნაბიჯის გადადგმა, რასაც, გვინდა თუ არ გვინდა, იურიდიული სამსახურების მუშაობის სრულ რეორგანიზაციამდე მივყავართ.

მაშინ, როცა იურიდიული სამსახურების მუშაობაში ხარვეზებმა და ნაკლოვანებებმა ფესვები ასე ღრმად გაიდგა, როცა მის მუშაობაში ამდენი პრობლემა დაგვიგროვდა, სავსებით გაუგებარია საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების ყოფილი უფროსის თ. საბიაშვილის პოზიცია, გაზეთ „კომუნისტში“ გასული წლის 20 მარტს გამოქვეყნებულ წერილში „სრულყოფით იურიდიული სამსახური“, წერს: „...არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თითქმის უგულვებელყოფილი იყო იურიდიული სამსახურის შესაძლებლობები, ჯეროვნად არ აფასებდნენ სამართლებრივი საშუალებების მნიშვნელობას სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში. ბევრ ხელმძღვანელს სწორად არ ესმოდა იურისტების როლი სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებაში, იურიდიული სამსახური არსებით გავლენას ვერ ახდენდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ირღვეოდა შრომის კანონმდებლობა“. გამოდის, რომ ყველაფერი ეს იყო „არც თუ ისე დიდი ხნის წინათ“, ხოლო დღეს ზემოხსენებული პრობლემები ლიკვიდირებულია... მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: სინამდვილეში არის კი ეს ასე? თუ პატივცემულ ავტორს სერიოზულად სჯერა, რომ იურიდიული სამსახურის შესაძლებლობები დღეს უგულვებელყოფილი არ არის და პრობლემას მხოლოდ იმაში ხედავს, რომ „მოდველდა ტერმინი „იურისკონსულტი“ და იგი უნდა შეიცვალოს უფრო სწორი, ამომწუ-

რავი ტერმინით „იურისტი“. რას ვიზამთ, ნეტარ არიან მორწმუნენი...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია არ დავეთანხმოთ თ. საბია-შვილის სამართლიან შენიშვნას: „ერთიანი ცენტრის უქონლობა აფერხებს კადრების სწორად განაწილებას და პერსპექტიული მუშაკების სხვა სამართალ-დაცვიან ორგანოებში დაწინაურებას“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 22 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული „ზოგადი დებულება იურისკონსულტის შესახებ“ მეტად გულუხვია იურისკონსულტებზე მოვალეობების დაკისრებაში, მაგრამ არ იძლევა არავითარ უფლებებს ბოძებულ მოვალეობების რეალიზაციისათვის, ხოლო „უფლების გარეშე, ცნობილია, რომ მოვალეობის რეალიზება შეუძლებელია“, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ნ. ნებიერიძე უკვე ხსენებულ პუბლიკაციაში.

იურიდიული სამსახურის შესახებ უძრავობის პერიოდში მიღებულ აღნიშნულ დებულებას აშკარად ატყვიან ბიუროკრატის ხელწერა — მოვალეობები უფლებების გარეშე... რატომ ანერგისთვის დასკირდათ მაშინ ასეთი დებულების მიღება? დემოკრატიისა და საქვეყნობის დღევანდელ პირობებში ადვილია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა: იურიდიული სამსახურის მუშაკები რომ აღეჭურვათ მოვალეობათა თანასწორი უფლებებით, მაშინ შესაძლებლობა ექნებოდათ შეეფერხებინათ ბიუროკრატიული მანქანის მუშაობა...

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ხსენებული დებულების მე-6 მუხლის მოთხოვნა, სადაც შავით თეთრზე წერია: „საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების იურისკონსულტი უშუალოდ ემორჩილება ხელმძღვანელს“. ცამდე მართალია პატივცემული ნ. ნებიერიძე, როცა იგი ამ მუხლის შესახებ წერს: „ნორმატიული აქტის ასეთი კატაქრეზი დაუშვებელია და მას წლების მანძილზე მხოლოდ ზიანი მოჰქონდა, ხოლო წარმოების იურისტს უუფლებო მდგომარეობაში აყენებდა“.

ღიახ, სწორედ ნორმატიული აქტის ასეთი კატაქრეზია მიზეზი იმისა, რომ იურისკონსულტი, რათა ლომის ხახაში არ აღმოჩნდეს, იძულებულია დაიცვას და ცხოვრებაში გაატაროს თავისი ხელმძღვანელის ყოველი გადაწყვეტილება, იმის მიუხედავად, კანონიერია იგი თუ არა... უკაცრავად ვართ ამ კითხვაზე, მაგრამ როდემდე უნდა ვიყოთ იურისკონსულტები ლაქიების როლში?!

თითქოს აგროსამრეწველო კომპლექსის შექმნას უნდა განემტკიცებინა იურიდიული სამსახურის როლი და ავტორიტეტი, მაგრამ სამართლიანობა ნოითხოვს აღინიშნოს, რომ მოხდა პირიქით: იურიდიული სამსახურების როლი კიდევ უფრო შესუსტდა და მისი მუშაობის ორგანიზაციაში ბოლო წლების მანძილზე გაუარესების ტენდენციებიც კი შეინიშნება, რაც იმაში გამოიხატა, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის ბევრ რაიონში გაუქმდა სოფლის მეურნეობის სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფები, რასაც მოჰყვა აგროსამრეწველო გაერთიანების აპარატიდან იურისტების დათხოვნა და მათი დაქსაქსვა გაერთიანებაში შემავალ მეურნეობებში. თითოეულ იურისკონსულტს იურიდიული მომსახურებისათვის გაუპიროვნდა 3-4 მეურნეობა, მათ შორის ერთ-ერთს, სადაც იურისტი შტატზეა აყვანილი, ეწოდა „სათაო მეურნეობა“, ხოლო იურისკონსულტს „სათაო იურისკონსულტი“.

როგორია ამ „რეფორმის“ შედეგი? თუ „რეფორმამდე“ სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან არსებული სამეურნეობათმორისო იურიდიული ჯგუფი იმ მეურნეობების მიმართ, რომლებსაც იურიდიულ მომსახურებას უწევდა, წარმოადგენდა ზემდგომ ორგანოს, „რეფორმის“ შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა — ახლა უკვე იურიდიული ჯგუფიდან გამოძევებული იურისკონსულტები თავად აღმოჩნდნენ მათზე იურიდიული მომსახურებისათვის გაპროვინცებულ მეურნეობათა ხელმძღვანელების ხელქვეითობის ქვეშ. თუ აქამდე იურისკონსულტს ჰყავდა ერთი ხელმძღვანელი იურიდიული ჯგუფის უფროსის სახით, ახლა უკვე ყოველ ახალ სამუშაო დღეს ახალ-ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, და თუ ფრთხილად არ იქნება, გადაცდომის შემთხვევაში მას ერთი თვის მანძილზე ერთდროულად 3-4 ან კიდევ მეტი დისციპლინარული სასჯელი შეიძლება დაედოს. ასე დაკანონდა ოფიციალურად სოფლის იურისტთა უუფლებობა. ასე ამოსდეს მათ პირზე ლაგამი, რათა სურვილისამებრ ექცნებიანათ. მოდით და ამის შემდეგ ვერწმუნოთ პატივცემულ თ. საბიაშვილს, რომ „იურისტი საწარმოსა და ორგანიზაციაში სამართლებრივი მუშაობის ბურჯია, ჩვენი ეკონომიკის წინსვლის ერთ-ერთი ძალაა“ (ხაზგასმა ჩემია — რ. ა.).

ასეთ პირობებში შეიძლება კი საერთოდ ლაპარაკი იურისკონსულტების რაიმე ავტორიტეტზე? ამ რამდენიმე ხნის წინ ჩხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლოს სხდომათა დარბაზში ერთ პროცესს დავესწარი. საქმეზე მოწმედ გადიოდა იურისკონსულტი. მისი ჩვენებით განაწყენებულმა ვილაც პირმა მას ასეთი რეპლიკა ესროლა: „შენ ვილაც თვითმარქვია იურისტი ხარ, თორემ, ხალდი იურისტი რომ იყო, იურისკონსულტად არ იმუშავებდიო“, მაგრამ უფრო გულდასაწყვეტი და დამაფიქრებელი ის იყო, რომ ამ სიტყვებს დარბაზში შეკრებილმა ხალხმა სიცილ-ხარხარი მიაგება...

ალბათ, სადაო არ განდება თუ ვიტყვით, რომ უუფლებო, არაორგანიზებული და ხელით სათრევი იურიდიული სამსახური თანამედროვე რევოლუციურ გარდაქმნათა ფონზე ერთგვარ ანაქრონიზმადაც კი მოჩანს, მაგრამ არ კმარა მარტო იურიდიული სამსახურების უსუსურობის აღიარება... საქმისადმი ღრმა ანალიზური მიდგომა მოითხოვს ისიც ითქვას, თუ როგორ გავხადოთ იგი ძლიერი, როგორ ჩავაყენოთ გარდაქმნის შუაგულში, როგორ შევკრათ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მრისხანე ძალად, რა გავაკეთოთ იმისათვის, რომ იგი მართლაც განდეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ბურჯი? ცხადია, შეცდომებისაგან დაზღვეული არც მე ვიქნები, მაგრამ იურიდიული სამსახური გარდაქმნის შუქით რომ გასხვივონდეს, აუცილებელია შემდეგი სახის რადიკალური ღონისძიებების გატარება:

1. ვფიქრობთ, კარგა ხანია დადგა დრო, ხორცი შევასხათ პროფესორ ნ. წერეთლის 21 წლის წინანდელ ოცნებას იურიდიული სამსახურის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შესახებ, ხოლო ამ საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი ჩვენ ასე გვესახება: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, იურისკონსულტთა რესპუბლიკური საზოგადოებრივი საბჭოსა და სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების ბაზაზე, იურიდიული პირის უფლებით, უნდა შეიქმნას იურიდიული სამსახურების მართვის რესპუბლიკური ცენტრი, რომელიც მოახდენს სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში დაქსაქსულ იურისკონსულტთა კადრების

შეკავშირებას. უზრუნველყოფს იურიდიული სამსახურების კოორდინაციას, განამტკიცებს კანონიერებას სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, იზრუნებს იურიდიული სამსახურის საქმიანობისა და ავტორიტეტის ამაღლება-განმტკიცებისათვის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე და სხვ.;

2. იურიდიული სამსახურების მართვის რესპუბლიკური ცენტრი აუცილებლად უნდა აღიჭურვოს მოვალეობათა თანასწორი უფლებებით. მის საქმიანობას უშუალოდ უნდა კურირებდეს თვით იუსტიციის მინისტრი, ხოლო ცენტრის უფროსი ამავე დროს უნდა იყოს მინისტრის პირველი ან ერთ-ერთი მოადგილე;

3. ადგილებზე, რაიონული საბჭოს აღმასკომებთან, იურიდიული პირის უფლებით უნდა შეიქმნას სამეურნეობათაშორისო იურიდიული რაიონული განყოფილება, რომლის უფროსს უნდა ირჩევდეს სახალხო დეუტატთა რაიონული საბჭო და ამტკიცებდეს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო განყოფილებაში გაერთიანებული იურისკონსულტები უნდა ინიშნებოდნენ რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, რომლის შემდეგ მათი დამტკიცება უნდა ხდებოდეს იუსტიციის სამინისტროს მიერ, ყოველივე ეს გზას გადაუქეტავდა იურიდიული სამსახურის რიგებში სხვაგან ხელმოცარული იურისტებისა თუ სხვა შემთხვევითი პირების მოხვედრას, კეთილმოყოფელ გავლენას მოახდენდა იურისკონსულტთა პასუხისმგებლობის გაზრდაზე, მათი ავტორიტეტის განმტკიცებაზე;

4. სამეურნეობათაშორისო იურიდიული რაიონული განყოფილება უნდა არსებობდეს სრულ სამეურნეო ანგარიშზე. მისი შემოსავლის ძირითადი წყარო უნდა იყოს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა თუ საბჭოთა მეურნეობების მიერ იურიდიული მომსახურებისათვის მათ ანგარიშზე ჩარიცხული თანხები, რომლის ოდენობა ყოველწლიურად უნდა განისაზღვროს პროდუქციის რეალიზაციის გეგმის პროპორციულად — ყოველ 1000 მანეთზე 1 მანეთის ოდენობით. იურიდიული განყოფილების შემოსავლის დამატებითი წყარო უნდა იყოს იურისტების მიერ საბრეტუნო სასარჩელო წესით ამოღებული თანხების განსაზღვრული პროცენტი. იურიდიულ რაიონულ განყოფილებებს უფლება უნდა მიეცეს, რომ კოლექტივებსა და მოქალაქეებს საჭიროებისამებრ გაუწიონ ფასიანი იურიდიული მომსახურება;

5. იურიდიული სამსახურების მართვის რესპუბლიკური ცენტრის აპარატის შენახვა უნდა მოხდეს არა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, არამედ სამეურნეობათაშორისო იურიდიული რაიონული განყოფილებების შემოსავლებიდან ანარიცხების სახით ცენტრის ანგარიშზე ჩარიცხულ თანხებით, შემოსავლის 10-15 პროცენტის ოდენობით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ცენტრის დაინტერესებასა და ზრუნვას ადგილებზე იურიდიული რაიონული განყოფილებების ეფექტური მუშაობისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეობათაშორისო იურიდიული რაიონული განყოფილებების მიერ ცენტრის „გამოკვების“ საკითხს უნდა მივუდგეთ სკკპ მე-19 საკავშირო კონფერენციის დელეგატის ამხ. ვ. პ. კაბაიძის პრინციპით: გაისარჯონ და გამოკვებავთ, თუ არა და — ვერაფერს მიიღებენ!

6. იურიდიული სამსახურის რეორგანიზაციისა და მათი მუშაობის ახლებურად გარდაქმნის პროექტი შესაბამისი დებულებით უნდა გამოქვეყნდეს პრესაში, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის;



7. გამომდინარე მე-19 პარტიული კონფერენციის რეზოლუციებიდან, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „საჭიროა სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა დამოუკიდებლობის განმტკიცება“, იურისკონსულტებს აუცილებლად უნდა მივცეთ მკვეთრად განსაზღვრული მოვალეობები და ამ მოვალეობათა თანაბარი უფლებები. თავის საქმიანობაში იგი უნდა სარგებლობდეს ფართო დამოუკიდებლობით. მასზე სახელმძღვანელო დირექტივებისა თუ მითითებების მიცემის უფლებით უნდა სარგებლობდეს მხოლოდ ზემდგომი იურისტი. სწორედ იურისტი უნდა ხელმძღვანელობდეს იურისკონსულტის საქმიანობას და არა სხვა სპეციალობის პირი, როგორც ეს ხდებოდა წინათ და ხდება დღეს. ყოველივე ეს უნდა აისახოს ახალ დებულებაში იურიდიული სამსახურის შესახებ;

8. ახალი დებულებით, იურიდიულ სამსახურებს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად უნდა დავუსახოთ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და უნდა აღვჭურვოთ იგი სათანადო უფლებებით...

ნურავინ იფიქრებს, თითქოს, ჩვენ საქმეს ვაიოლებდეთ და შეგნებული არ გვქონდეს ის სიძნელები, რომელიც იურიდიული სამსახურების მუშაობაში დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას ახლავს. დიახ, სიძნელები ბევრია, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელსაც სიძნელები და პრობლემები არ აშინებს, რაშიც ნათლად დაგვარწმუნა მე-19 საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ. ჩვენ ვცხოვრობთ რესპუბლიკაში, რომელიც კავშირის მასშტაბით მრავალი და ეფექტური ექსპერიმენტებისა თუ წამოწყებების ინიციატორია, ყოველივე ეს რწმენას გვმატებს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, მინისტრთა საბჭო და იუსტიციის სამინისტრო ერთობლივი ძალისხმევით შეძლებენ იურიდიული სამსახურის მუშაობის დაყენებას თანამედროვე რევოლუციურ გარდაქმნათა მოთხოვნების დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იურიდიული სამსახურების მუშაობის სრულყოფის შესახებ გამოთქმული ყველა მოწოდება და სურვილი, ვფიქრობთ, ყოველთვის დარჩება „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“.

გარდაქმნა დროის მოთხოვნა!

პირადი საქუთრების უფლების ასაქმეები

დავით დოღვაძე,

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კათედრის უფროსი მასწავლებელი

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის დადგენილებებს საბჭოთა ხალხი აღიქვამს, როგორც სოციალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის თვისობრივად ახალ ეტაპს, რომელმაც დაადასტურა პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივი და რევოლუციური განახლების, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების

დაჩქარებისათვის გამიზნული სტრატეგიული კურსის სისწორე და შეუქცევადობა.

XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ გარდაქმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნია სამართლებრივი რეფორმა და მიიღო კიდევ შესაბამისი რეზოლუცია. ამ რეზოლუციაში ლაპარაკია კანონმდებლობის კარდინალურ გადასინჯვაზე და იმის აუცილებლობაზე, რომ საჭიროა დაიხვეწოს ჩვენი კანონმდებლობა, მოხდეს მისი სრული კოდიფიკაცია და სისტემატიზაცია, უფრო კმედიით და მოქნილი გახდეს საბჭოთა სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომის სამართალი და ა. შ. საკანონმდებლო რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიჩნეულია არსებითი ცვლილებების შეტანა სოციალისტური საკუთრების შესახებ არსებულ კანონმდებლობაში, რადგან საკუთრებით უფლებრივ-ურთიერთობათა სრულყოფა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმტკიცების ყველაზე კმედიით წინაპირობაა.

სოციალისტური საკუთრების უფლებრივ ურთიერთობათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება სსრ კავშირის მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებას.

პირადი საკუთრება, ისე როგორც ყოველგვარი საკუთრება, ორი განზომილებით ხასიათდება: ა) საზოგადოებრივ ურთიერთობებში იგი წარმოგვიდგება როგორც ეკონომიკურ ფაქტორთა კომპლექსი, ეკონომიური კატეგორია; ბ) მარქსისტული მოძღვრების თანახმად „ყოველ ცალკე შემთხვევაში ეკონომიკურმა ფაქტებმა იურიდიული მოტივების ფორმა უნდა მიიღოს, რათა კანონის სახით ჩამოყალიბდეს“¹. ამიტომ „სამოქალაქო უფლებრივი ნორმები მხოლოდ ცხოვრების ეკონომიკური პირობების იურიდიულ გამოხატვას წარმოადგენს“².

ამდენად, მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლების არსის შესაცნობად აუცილებელია მისი ეკონომიკური შინაარსის ანალიზი.

მარქსისტული ეკონომიკური მეცნიერება პირად საკუთრებას განიხილავს, როგორც სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის განსაკუთრებულ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც სოციალისტური საკუთრების ფორმებისაგან განსხვავებით მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. კერძოდ, 1) პირადი საკუთრების უფლების ობიექტები უმეტესად გამოყენებულია მესაკუთრის ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რის გამოც ასეთი საკუთრების უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალური ინდივიდი; 2) პირადი საკუთრება სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოგვიდგება როგორც საოჯახო და პირადი დამხმარე მეურნეობაში ინდივიდუალური წარმოების განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური ფორმა; 3) პირადი საკუთრება წარმოადგენს მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთეთა მითვისების ყველაზე სრულყოფილ ინდივიდუალურ ფორმას; 4) პირად საკუთრებათა ურთიერთობის ტიპური ნიშანია ინდივიდის მიერ პირადი შრომის შედეგების მითვისების ფაქტი; 5) პირად საკუთრებათა ურთიერთობები ასახავენ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთ-

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად. თბილისი, 1950, ტ. II, გვ. 477.

² იქვე, გვ. 476.

ბების არა ძირითად, არამედ მეორეხარისხოვან მოვლენებს, დამოკიდებულ და მეორად ურთიერთობებს.

პირადი საკუთრების უფლება სსრ კავშირის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებაა. იგი როგორც ეკონომიკური კატეგორია „დამახასიათებელია მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებისათვის, რომელსაც არ იცნობს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული არცერთი ეკონომიკური წყობა“³. როგორც ცნობილია, პირველი საბჭოთა კონსტიტუციები არ სცნობენ პირადი საკუთრების უფლებას. მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება პირველად კონსტიტუციური წესით აღიარებული იყო 1936 წლის კონსტიტუციით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკუთრების ასეთი ფორმა წარმოიშვა (გაჩნდა) ამ კონსტიტუციის მიღების დროს. „პირადი საკუთრება, როგორც ეკონომიკური და უფლებრივი კატეგორია, ჩვენს ქვეყანაში აღმოცენდა ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში“⁴. ისმის კითხვა: მაშ რატომ არ სცნეს პირადი საკუთრების „ეკონომიური და უფლებრივი კატეგორიები“ პირველმა საბჭოთა კონსტიტუციებმა? რ. ო. ხალფინა ამის მიზეზს ასე განმარტავს: „საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაში პირადი საკუთრება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ კატეგორიას და სამართლებრივ ინსტიტუტს, არამედ იმყოფებოდა განვითარებისა და ჩამოყალიბების სტადიაში“⁵. რ. ო. ხალფინას ამ მოსაზრებას მთლიანად ვერ გავიზიარებთ. ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ სხვა ფაქტორთა კომპლექსშიც, რომელთა შორის უმთავრესია საკუთრების საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტორი. სოციალისტური რევოლუციის პირველ პერიოდში წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებათა კონსტიტუციური ლეგალიზაცია პოლიტიკურ საფუძველს გამოაცლიდა კერძო საკუთრების უფლების მოსპობის ფაქტს და არასასურველ ზეგავლენას მოახდენდა რევოლუციის ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებზე. ალბათ სწორედ ამიტომ უგულვებლყვეს პირველმა საბჭოთა კონსტიტუციებმა პირადი საკუთრების უფლება.

რაკი პირველად კონსტიტუციაში მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება 1936 წელს გამოჩნდა, ამ დროიდან იწყება მისი, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური წყობისა და სამართლებრივი ინსტიტუტის მეცნიერული შესწავლა, თუმცა, აუცილებელია, ისიც აღინიშნოს, რომ პირადი საკუთრების უფლების კონსტიტუციურ აღიარებას მაშინვე არ მოჰყოლია სათანადო ცვლილებები სამოქალაქო სამართლის საფუძველებსა და კოდექსებში. ეს მოხდა გაცილებით გვიან, 60-იანი წლების დასაწყისში. ეს კი გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნიდა სამართლის თეორიასა და პრაქტიკას შორის. არსებობდა კონსტიტუციით აღიარებული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლების სახით, სამოქალაქო სამართლის კოდექსში კი ხანგრძლივი დროის მანძილზე არ იყო შესაბამისი ნორმა. დღეს მოქმედი კონსტიტუციით სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის

³ Д. М. Еремеев, «Право личной собственности в СССР», Москва, 1958, стр. 20.

⁴ იქვე.

⁵ Р. О. Халфина, «Право личной собственности граждан СССР», Москва, 1955, стр. 12-13.

საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით. სოციალისტური საკუთრებაა აგრეთვე პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება (მე-10 მუხლი). მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებას კი კონსტიტუცია სოციალისტური ტიპის საკუთრებად არ თვლის. ამ კონსტიტუციურ დებულებას ბევრი მეცნიერი იზიარებს, მაგრამ მათ შორის მაინც არ არის ერთიანი აზრი და ზოგიერთი მათგანი ასეთი საკუთრების უფლებას სოციალისტური ტიპის საკუთრებად მიიჩნევს.

აი რამდენიმე არგუმენტი:

ა) საკუთრების ისტორიული ტიპებისა და ფორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პირადი საკუთრების უფლება გვხვდება (წარმოიშობა) მხოლოდ სოციალისტურ საკუთრებასთან. ამდენად, ორივე საკუთრება ერთტიპურია⁶.

ბ) პიროვნების სოციალისტური მეურნეობის სისტემაში შრომა პირადი საკუთრების საფუძველია ე. ი. მოქალაქეთა პირადი საკუთრება ყველა შემთხვევაში ნაწარმოებია სოციალისტურისაგან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთტიპურია⁷.

გ) პირადი საკუთრების უფლება სოციალისტური წარმოებითი (და ამდენად საკუთრებითი) ურთიერთობის სისტემის აუცილებელი ელემენტია. ეს იმითაც მტკიცდება, რომ კანონმდებელმა პირადი საკუთრების უფლება შეიტანა იმ თავში (ეკონომიკური სისტემა), რომლითაც რეგლამენტირებულია სსრ კავშირის ეკონომიკური წყობილება, ხოლო სოციალისტური წარმოების პროცესი არ შეიძლება განხორციელდეს არასოციალისტური საწარმოო ურთიერთობის საფუძველზე. ამიტომ სოციალისტური საკუთრება და პირადი საკუთრება ერთტიპურნი არიან⁸.

ასეთია სამი ავტორის აზრი, რომლებიც მოქალაქეთა პირად საკუთრებას სოციალისტური ტიპის საკუთრებას განაკუთვნიებენ. ჩვენის აზრით, მტკიცება ლოგიკურია და თანმიმდევრული, მაგრამ კიდევ უფრო დამაჯერებელ არგუმენტად მიგვაჩნია შემდეგი.

ცნობილია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გამოთქმა, რომ „შრომით მოპოვებულ, პირადად შეძენილ, პირადად მონაგარ საკუთრებას ყოველდღე სპობს“ კერძო საკუთრება⁹. ეს ნიშნავს, რომ კერძო საკუთრება ვერ ჰგუობს და სპობს პირად საკუთრებას. ჩვენს ქვეყანაში კი პირადი საკუთრება, როგორც ეკონომიკური და იურიდიული კატეგორია აღმოცენდა (ჩამოყალიბდა) სოციალისტური საკუთრების აღმოცენებასთან ერთად ე. ი. სოციალისტური საკუთრების უფლება ჰგუობს პირადი საკუთრების უფლებას, როგორც მის ერთტიპურ საკუთრებას; უფრო ზუსტი რომ ვიყოთ, პირადი საკუთრება, როგორც ეკონომიკური და შესაბამისად იურიდიული კატეგორია, არსებობის

⁶ დ. მ. ერემეევის ეს მოსაზრება იხილეთ დასახელებულ მის ნაშრომში.

⁷ А. А. Ероменко. «Личная собственность в гражданском праве», Москва, стр. 110-111.

⁸ В. Егоров, «Типы, виды и формы собственности и право собственности в СССР», «Советское государство и право», № 5, 1986 г.

⁹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 1, 1950, გვ. 27.

უნარს იძენს მასთან ერთტიპური სოციალისტური საკუთრების არსებობის ნიადაგზე.

სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ფართოდ ინერგება სოციალისტური მეურნეობრიობის ახალი ფორმები: საოჯახო იჯარა, მიწის საარენდო ინდივიდუალური იჯარა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების კოოპერირება, რაც თავისთავად მიგვანიშნებს საკუთრების ამ ფორმათა ერთტიპურობაზე. ყველაფერი ეს კი იმის საფუძველს იძლევა, რომ დავასვენათ: მოქალაქეთა პირადი საკუთრება სოციალისტური ტიპის საკუთრებაა.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების სოციალისტური ტიპის საკუთრებად აღიარებას ღიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს საშუალებას იძლევა სოციალისტური ტიპის საკუთრების სხვა ფორმების მსგავსად მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებაც დაეუქვემდებაროთ სახელმწიფოს დაცვას და თავიდან ავიცილოთ მისი კანონსაწინააღმდეგო შეზღუდვა ან აკრძალვა, რასაც ხშირად ჰქონდა ხოლმე ადგილი წარსულში.

ასეთმა აკრძალვებმა და შეზღუდვებმა კი ღიდი ზიანი მიაყენა სოციალისტურ სახალხო მეურნეობას, რადგან შემცირდა რა პროდუქციის წარმოება ინდივიდუალურ სექტორში, ამან ბუნებრივია გამოიწვია საკოლმეურნეო ბაზრის გაძვირება. ამ პროცესს მოჰყვა აგრეთვე სოფელსა და ქალაქს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების დესტაბილიზაცია, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლებისადმი ასეთი არაკანონიერი დამოკიდებულების წინააღმდეგ გაილაშქრეს სპეციალისტებმა, იურისტმა მეცნიერებმა, რომლებმაც დაასაბუთეს კიდევ საკითხისადმი ამგვარი მიდგომის მცდარობა.

საზოგადოებრივი და პირად დამხმარე მეურნეობების წარმოების ასეთი მკვეთრი დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი, რამაც სახალხო მეურნეობას ასეთი ღიდი ზიანი მიაყენა, არის კოოპერაციული საკუთრების უარყოფა და ამ უფლების მიმართ დაშვებული ის უხეში შეცდომები, რასაც ვერ ასცდა საბჭოთა ხელისუფლება. ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული კოოპერაციულ საკუთრებას მეორეხარისხოვნად, სოციალურად არასრულფასოვნად აცხადებდნენ — ნათქვამია ნ. ი. რიჟკოვის მოხსენებაში სსრ კავშირის მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიაზე. ამას კი მოჰყვა მიწისაგან გლეხის გაუცხოება, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი დამოკიდებულების მოსპობა, პირადი პასუხისმგებლობის მოსპობა, პირადი პასუხისმგებლობის დაკარგვა, სოფლების გაუკაცრიელება. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ აგრალურ სექტორში მშრომელი კაცის დაინტერესებას საფუძველი გამოეცალა, შრომა და მისი ანაზღაურება უკვე ვეღარ ასრულებდა თავის ძირითად ფუნქციას. თუმცა, მართლ აგრარულ სექტორში არ იყო ასეთი მდგომარეობა. შრომის ანაზღაურების გათანაბრების პოლიტიკამ დაინტერესება მოსპო მრეწველობაში, მშენებლობაზე და თითქმის ყველა წარმოებაში და ა. შ. მოხდა ადამიანის ფაქტორის ერთგვარი დევალვაცია. სწორედ ამიტომ იქცა პირველი რიგის ამოცანად ადამიანის ფაქტორის წინ წამოწევა, მისი შრომის შედეგებით დაინტერესება. XIX საკავშირო პარტკონფერენციაზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „რა რესურსებიც უნდა მოვახმაროთ სოფლის მეურნეო-

ბას, ისინი ჭეშოვან უფლებას არ მოგვცემენ, თუ არ ვიზრუნეთ ადამიანისათვის, მისი შრომისა და ყოფის პირობებისათვის“. ასეთი ამოცანის გადასაწყვეტად უნდა „შევცვალოთ წარმოებითი ურთიერთობა სოფლად... იჯარისა და სანარდო მუშაობის მრავალფეროვანი ფორმების განვითარების მეშვეობით დაეძლიოთ გლეხის გაუცხოება მიწისგან, გავხადოთ იგი მისი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი... კარდინალურად შევცვალოთ სოფლის მშრომელთა ცხოვრების პირობები“.

ასეთი შეცვლა აუცილებელი გახდა სახალხო მეურნეობის არამარტო აგრარულ სექტორში (რომელიც როგორც ზემოთ ვნახეთ, კოოპერაციული საკუთრების მიმართ დაშვებული შეცდომების შედეგად აღმოჩნდა სავალალო მდგომარეობაში), არამედ იგი მოითხოვა მრეწველობაშიც, სადაც „ფეხი მოიკიდა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გახევებულმა სახემ“. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში წარმოებითი ურთიერთობების ასეთი შეცვლა რეალური ცხოვრებით ნაკარნახევი აუცილებლობა იყო, რადგან „ობიექტურად ეკონომიკაში და სხვა სფეროებშიც თანდათან მწიფდებოდა ცვლილებათა მოთხოვნილება“.

ასეთ ცვლილებათა აუცილებლობაზე ანუ „საზოგადოებაში კრიზისული მოვლენების მოძალეობის საფრთხეზე“, პირველად ითქვა სიტყვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული ქვეყნის რევოლუციური გარდაქმნისათვის გენერალური შეტევის დაწყების ათვლის მომენტად: გარდაქმნის პარტიული სტრატეგიის არსს წარმოადგენს ეკონომიკური და წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფა; ახალი სოციალური ეკონომიკის შექმნა რომლის „საფუძვლად გვევლინება საზოგადოებრივი და პირადი საკუთრების... მრავალფეროვანი ფორმები, რომელთა დროსაც მშრომელები რეალურად გამოდიან მის ბატონ-პატრონად...“

ამასთან დაკავშირებით ისმის ბუნებრივი კითხვა: სოციალისტური საზოგადოებისათვის საშიში ხომ არ არის პირადი საკუთრების უფლების შემდგომი გაფართოება? ცხოვრებამ პრაქტიკულად უკვე დადასტურა, რომ სოციალისტური წარმოების წესის პირობებში პირადი საკუთრების უფლების ინსტიტუტის გაფართოება საშიში არ არის საზოგადოებისათვის, პირიქით, იგი ცხოვრების კარნახით გამოწვეული აუცილებლობაა, რადგან, მთელი ჩვენი ქვეყნის, კომუნისტური საზოგადოების უმალლესი მიზანი სწორედ მშრომელი ადამიანის კეთილდღეობის მაქსიმალური უზრუნველყოფაა, რაც თავისთავად გულისხმობს მის პირად თავისუფლებას, პირადი ბედნიერების შეხამებას მთელი საზოგადოების კეთილდღეობასთან.

დიახ, მშრომელი კაცის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ჩვენი პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა, პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ქვაკუთხედი, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის ისტორიული პროცესის მთავარი შემოქმედი, ისევ და ისევ ადამიანია. ამტომ, ცხადია, ადამიანის ფაქტორის გაძლიერებაზე, იმაზე თუ როგორ და რა საშუალებებით მივალწევთ ადამიანის მაქსიმალურად გააქტიურებას, გარდაქმნის იდეებითა და იდეალებით მის შეიარაღებას, ბევრადაა დამოკიდებული სოციალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის ბედ-იღბალი.

ამ ასპექტით თუ ვიმსჯელებთ ცხადი გახდება, რომ საჭიროა ადამიანის

ფაქტორის აქტივიზაციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალების პირადი საკუთრების, როგორც „ყოველი პირადი თავისუფლების, მოქმედებისა და თავისთავადობის საფუძვლის“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი) ყოველმხრივი გაფართოება, რადგან რეალურად ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოქალაქეთა პირადი საკუთრებაა ძირითად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ერთადერთი წყარო. ყველას მიეცეთ უფლება, ვისაც ამისი სურვილი და შესაძლებლობა აქვს ქალაქის მობინადრე იქნება იგი თუ სოფლის მეცხოვრებელი, რომ იქონიოს მიწის ნაკვეთი საარენდო იჯარით ან სხვა ფორმით დამხმარე მეურნეობის საწარმოებლად, წავახალისოთ მუშაკაცის უკეთესი და ხარისხიანი შრომის ინიციატივა და შეუზღუდავად ავეუნაზღაუროთ ყველაფერი. მხოლოდ ასეთი საშუალებებით შეიძლება აღვუდგინოთ ადამიანებს დაკარგული გრძნობა ქვეყნის ბატონ-პატრონობისა და საზოგადოებას დაეუბრუნოთ მიწასთან გაუცხოვებული გლეხკაცი, რის შედეგადაც მშრომელი კაცი კიდევ უფრო შეძლებული, ბედნიერი, რწმენააღდგენილი და სამართლიანი გახდება.



პროსესუალური ეკონომია და მისი უზრუნველყოფის საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში

გიორგი გოლოზვილი

სკკპ XXVII ყრილობასა და XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი სასამართლოს საქმიანობის სრულყოფის, მისი როლისა და ავტორიტეტის ზრდის აუცილებლობას, მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპების უმკაცრეს დაცვას¹. სასამართლოს საქმიანობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებები დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის დეკემბრის დადგენილებამაც — „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“². ამ დადგენილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს, რადგანაც უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამოქალაქო სამართლებრივი რეგულირების სფერო, გაიზარდა სამოქალაქო ურთიერთობების როლი და მნიშვნელობა. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს სამართალდამცავი საქმიანობისა და უწინარეს ყოვლისა, სასამართლო ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება.

სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტია-

¹ სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბილისი, 1986, გვ. 166-167; მ. ს. გორბაჩოვის ნიხსენება XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე. გაზ. „კომუნისტი“, 1988 წ. 29 ივნისი.

² გაზ. „კომუნისტი“, 1986 წლის 2 დეკემბერი.

ნობა ბევრად და მოკიდებული სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპების განუხრელ გატარებაზე. სამოქალაქო პროცესის პრინციპები კი გამოხატავენ სამოქალაქო სამართალწარმოების არსს, მის ბუნებას და თავისებურებებს, ისინი განსაზღვრავენ პროცესის მთელ აგებულებას, მის სტრუქტურასა და სისტემას, მიუთითებენ საპროცესო სამართლის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზებზე, ხელს უწყობენ სამართლის ნორმების სრულ და სწორ შეფარდებას. ამიტომ ბუნებრივია, რომ პრინციპების შესწავლას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამოქალაქო პროცესის თეორიაში (მ. ა. გურვიჩი, ნ. ა. ჩეჩინა, ვ. მ. სემიონოვი, მ. გ. ავდიუკოვი, ს. ვ. კურილევი, ვ. ფ. ტარანენკო და სხვ).

საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, საპროცესო მეცნიერების ცალკეული თეორიული დებულებების დამუშავების სიღრმისა და ინტენსიურობის შესაბამისად, იცვლებოდა და უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა ძირითადი საწყისების პრობლემატიკის წრე. ამჟამად, ამ პრობლემათა შორის ყურადღებას იპყრობს პროცესუალური ეკონომიის პრინციპისა და მისი უზრუნველყოფის საშუალებების საკითხი.

სამოქალაქო პროცესის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე პროცესუალური ეკონომიის მოთხოვნას სამოქალაქო სამართალწარმოებაში არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ასეთი მდგომარეობა კი შეიძლება გამართლებულიყო მხოლოდ პროცესუალური გაუბრალოების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით, კერძოდ ისეთ მავნე თეზისთან ბრძოლით, როგორც იყო „ფორმის მინიმუმი, კლასობრივი არსის მაქსიმუმი“ ამჟამად ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს.

პროცესუალური ეკონომიის მოთხოვნის უგულვებელყოფის დაუშვებლობას პირველად საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებაში ყურადღება მიაქცია მ. გურვიჩმა. იგი აღნიშნულია, რომ პროცესუალური საშუალებების ეკონომიის მოთხოვნა, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ კანონით დადგენილი პროცესუალური საშუალებებისა და ფორმების უფრო სრული, მიზანშეწონილი გამოყენება საქმის სწორი და სწრაფი გადაწყვეტისათვის, გამოხატულია მთელ რიგ ცალკეულ ნორმებში, როგორც ეს დამახასიათებელია საპროცესო სამართლის ბევრი ზოგადი საწყისისათვის³.

ამის შემდეგ სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში თანდათანობით გამოიკვეთა ავტორთა დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემებისადმი. კერძოდ, ავტორთა ერთი ნაწილი უარყოფს პროცესუალური ეკონომიის პრინციპის დამოუკიდებელ მნიშვნელობას და არ შეაქვს იგი პრინციპების კლასიფიკაციაში (ნ. ჩეჩინა, ვ. შჩეგლოვი). ზოგიერთი ავტორი ცალკე პრინციპად გამოყოფს სასამართლოს საქმიანობის სისწრაფის პრინციპს (ვ. სემიონოვი). ნაწილი კი პროცესუალური ეკონომიისა და სასამართლოს საქმიანობის სისწრაფის მოთხოვნებს აერთიანებს და ერთად განიხილავს დამოუკიდებელი პრინციპის სახით (პ. ტრუბნიკოვი, ა. დობროვოლსკი). და ბოლოს, ავტორთა ნაწილი, გამომდინარე მ. გურვიჩის ზემოაღნიშნული დებულებებიდან, დამოუკიდებელ მნიშვნელობას ანიჭებს პროცესუალური ეკონომიის პრინციპს და განიხილავს მას სამოქალაქო პროცესის სხვა პრინციპების დონეზე. ამ პო-

³ Гурвич М., Об экономии процессуальных средств в Советском гражданском судпроизводстве, г. Саратов, 1962 г.

ზიციაზე დგას ვ. ტიხონოვიჩი. იგი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში ეკონომია ნიშნავს რა შრომის მაღალმწარმოებლობას. მის ინტენსიურობას, გამოიხატება სამოქალაქო საქმეების სწრაფად გადაწყვეტაში და პროცესუალური საშუალებებისა და ხერხების მინიმალურ დანახარჯებში⁴.

ის ავტორები, რომლებიც უგულებელყოფენ პროცესუალური ეკონომიის პრინციპის დამოუკიდებელ მნიშვნელობას სამოქალაქო პროცესში, მხედველობიდან უშვებენ, რომ ლენინური მოთხოვნა სახელმწიფო აპარატის მაქსიმალური ეკონომიის შესახებ, რაც თეორიაში განიხილება, როგორც მისი ორგანიზაციისა და საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპი, მთლიანად ვრცელდება სასამართლოზეც, როგორც სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვან რგოლზე.

ავტორები, რომლებიც ცალკე გამოყოფენ სისწრაფის პრინციპს ან აიგივებენ (აერთიანებენ) მას ეკონომიურობის პრინციპთან, ფაქტობრივად ერთმანეთში ურევენ ისეთ ცნებებს, რომლებიც სრულიად სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარეობენ. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად აღნიშნავს ვ. ტიხონოვიჩი, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების მეორე მუხლის თანახმად საქმის სწრაფად განხილვა წარმოადგენს სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას, მტკიცება ამავე სახელწოდების პრინციპის შესახებ ემყარება ამ ცნებების არევისა და გაიგივებას⁵.

ტერმინი, „პროცესუალური ეკონომია“, მოქმედ კანონმდებლობაში არ იხმარება, სამოქალაქო საპროცესო სამართლის არც ერთი ნორმა არ იყენებს ამ ტერმინს. მიუხედავად ამისა, ყველა შემთხვევაში, როდესაც ეს ნორმები მიმართულია პროცესუალური საშუალებებისა და ფორმების უფრო სრული და მიზანშეწონილი გამოყენებისაკენ საქმის სწრაფი განხილვისა და გადაწყვეტისათვის, საქმე გვაქვს პროცესუალური ეკონომიის მოთხოვნასთან. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო-პროცესუალური სამართლის მრავალი ნორმა უშუალოდაა მიმართული პროცესუალური ეკონომიის უზრუნველყოფისაკენ, სწორედ მათში პოულობს ნორმატიულ განმტკიცებას პროცესუალური ეკონომიის პრინციპი.

ამ პრინციპის განუხრელი გატარების მნიშვნელობას ნათელყოფს ის, რომ სასამართლო ორგანოებში განიხილება დავების მნიშვნელოვანი რაოდენობა სოციალისტური ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ დავების გადაწყვეტის გაჭიანურება იწვევს შეფერხებებს მათ მუშობაში, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს უკარგავს შესაძლებლობას დანიშნულებისამებრ გამოიყენონ ფულადი სახსრები, იწვევს დამატებით ხარჯებს. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოქალაქეთა შორის წამოჭრილი დავების გადაწყვეტის შეფერხება იწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ და მორალურ ზიანს. ამასთან, რაც უფრო ჰიანურდება საქმის გადაწყვეტა, მით უფრო იზრდება ასეთი დანახარჯები და პროცესუალური ეკონომია ფაქტობრივად „პროცესუალურ ზარალად“ იქცევა. ასეთი სამართალწარმოება მძიმე ტვირთად აწვება მხარეებსა და საქმის მონაწილე ყველა სხვა პირს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმ ნორმების მოთხოვნების განუხრელი შეს-

⁴ Тихонович В., Принцип процессуальной экономии в Советском гражданском процессуальном праве. Автореф. канд. дис. Минск, 1965, с. 9.

⁵ ვ. ტიხონოვიჩის დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.

რულება სასამართლოების მიერ, რომლებშიც ასახულია პროცესუალური ეკონომიის პრინციპი.

პროცესუალური ეკონომიის მნიშვნელოვანი ღონისძიებებია მოცემული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე, 129-ე, 130-ე, 131-ე და 136-ე მუხლებში.

საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღებული საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის საფუძვლებს. მის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ „სასამართლო საქმეს განსახილველად სხვა სასამართლოს გადასცემს, თუ ცნობს, რომ ეს საქმე უფრო სწრაფად და სწორად განიხილება სხვა სასამართლოში, კერძოდ, უმრავლესი მტკიცებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით“. ამ ნორმაში მოცემულია პროცესუალური ეკონომიის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც საბოლოოდ მიმართულია სამოქალაქო საქმის სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის უზრუნველყოფისაკენ. ამ საშუალების გამოყენების მოთხოვნა დისპოზიციური ბუნებისაა და დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე. გამოდის რა პროცესუალური ეკონომიის მოთხოვნიდან კანონი ნებას რთავს სასამართლოს, საქმის უფრო სწრაფად გადაწყვეტის მიზნით, სხვა სასამართლოს გადასცეს იგი. შეიძლება სასამართლომ არ გადაგზავნოს საქმე სხვა სასამართლოში უმრავლესი მტკიცებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით და სასამართლო დავალებების წესების (საპროცესო კოდექსის 56-ე და 57-ე მუხლები) გამოყენებით სრულად შეკრიბოს მტკიცებულებები, რაც საჭიროა საქმის სწორი გადაწყვეტისათვის. მაგრამ კანონმდებლის მიზანია არა მარტო საქმის სწორი, არამედ სწრაფი გადაწყვეტაც. იგი განსაჯადობის საერთო წესებიდან ასეთი გამონაკლისის დაშვებით ცდილობს მაქსიმალური პროცესუალური ეკონომიის მიღწევას და ამით საქმის აღძვრისა და მასზე გადაწყვეტილების გამოტანის მომენტების მაქსიმალურ დაახლოებას.

საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლით ცალკეულ შემთხვევებში, საქმის სწრაფად და სწორად გადაწყვეტის მიზნით, სასამართლო სხდომაზე მისი განხილვის დაწყებამდე, საქმე შეიძლება გადაეცეს სხვა სასამართლოს. ეს ნორმა, როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოში, სადაც ერთი ან ორი მოსამართლეა, რამდენიმე რთული საქმეა წარმოებაში მიღებული. ასეთ შემთხვევაში შეიძლება აღიძვრას საკითხი საქმის გარჩევის დაწყებამდე მის სხვა სასამართლოში განსახილველად გადაცემის შესახებ.

სასამართლომ, რომელიც სხვა სასამართლოს გადასცემს საქმეს განსახილველად, უნდა გამოიტანოს განჩინება. მასში მითითებული უნდა იყოს ის გარემოებები, რომლის მიხედვითაც საქმის წარმოებაში მიმღები სასამართლო მიზანშეწონილად თვლის მის გადაცემას სხვა სასამართლოში განსახილველად, ამ განჩინებაზე შეიძლება შეტანილი იქნეს კერძო საჩივარი, ან პროტესტი.

კანონით ზემდგომ სასამართლოებს ევალებათ ერთი სასამართლოდან მეორეში საქმის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა ქვემდგომი სასამართლოდან შემოსული განჩინების საფუძველზე. ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ზემდგომი სასამართლო კონტროლს უწევს შემოსული განჩინებების დასაბუთებულობასა და განსაჯადობის შეცვლის მიზანშეწონილობას. ამასთან, ეს მას საშუალებას აძლევს შეიმუშაოს და გაატაროს განსაზღვრული ღონისძიებანი ცალკეული კატეგორიის საქმეების სასამართლო გარჩევის

გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად. ასე მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიზანშეწონილად ჩათვალა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის საქმეების განსჯადობის შეცვლა მათი დროული გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით. პლენუმმა 1977 წლის 30 სექტემბრის დადგენილებაში, „მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის სასამართლო პრაქტიკისა და ამ დავების თავიდან აცილებაში სასამართლო ორგანოების ამოცანების შესახებ“, აღნიშნა, რომ „საქმეთა განხილვის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმის თავიდან აცილების მიზნით რჩევა მიეცეთ საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების სასამართლოებს, რომ რიგ შემთხვევებში ამ კატეგორიის საქმეების განხილვა დაუქვემდებარონ უმაღლეს საოლქო და თბილისის საქალაქო სასამართლოების პირველ ინსტანციებს“⁶.

სხვა სასამართლოდან საქმის წარმოებაში მიღებისას ან წარმოებაში მიღებული საქმის სხვა სასამართლოში გადაგზავნის საკითხის გადაწყვეტისას შეიძლება დაშვებული იქნას შეცდომა. სასამართლო ორგანოებს შორის შეიძლება წარმოიშვას უთანხმოება იმის შესახებ, თუ მათგან რომელმა უნდა მიიღოს საქმე წარმოებაში და განიხილოს არსებითად. კანონმდებელი ითვისისწინებს რა ასეთი უთანხმოების წარმოშობის შესაძლებლობას, იმისათვის, რომ არ დაუშვას პროცესუალური ეკონომიის პრინციპის დარღვევა საქმის ერთი სასამართლოდან მეორეში გადაგზავნისას და უზრუნველყოს საქმის დროული გადაწყვეტა, აღგენს, რომ საქართველოს სსრ ერთი სასამართლოდან მეორეში გადაგზავნილი საქმე მიღებული უნდა იყოს წარმოებაში განხილვისათვის იმ სასამართლოს მიერ, რომელსაც იგი გადაეგზავნა. დავა საქართველოს სსრ სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ არ დაიშვება (საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლი).

სხვანაირად წყდება ეს საკითხი, თუ საქმე ერთი მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოდან გადაეცემა მეორე რესპუბლიკის სასამართლოს. ამ შემთხვევაში წარმოშობილ დავას საქმის განხილვის ადგილის შესახებ წყვეტს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო. ყოველ ასეთ შემთხვევაში ის სასამართლო, რომელმაც უარი თქვა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სასამართლოდან გადმოცემული საქმის თავის წარმოებაში მიღებაზე, ვალდებულია გადაგზავნოს იგი თავის განჩინებასთან ერთად სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში⁷.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს, თუ კერძოდ ვისი ინიციატივით შეიძლება აღიძრას საქმის ერთი სასამართლოდან მეორეში გადაცემის საკითხი. რიგი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებით ეს საკითხი დეტალურადაა მოწესრიგებული. უკრაინის საპროცესო კოდექსით საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის შესახებ განცხადებით შეიძლება მიმართონ მხარეებმა, მესამე პირებმა, პროკურორმა. დაშვებულია საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის საკითხის აღძვრა სახალხო მოსამართლეთა წარდგინებით, დაბოლოს, არაა გამორიცხული ზემდგომი სასამართლო ორგანოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების შეხედულებებით საქმის გადაცემა ერთი სასამართლოდან მეორეში. ვფიქრობთ, რომ საკითხის ასეთი დეტალური რეგლამენტაცია მიზანშეწონილი და გამართლებუ-

⁶ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1977, № 4, გვ. 19.

⁷ Бюллетень Верховного суда СССР, 1971, № 1, с. 46.

ლია, რადგანაც კანონის მიერ ამ უფლების სუბიექტების წრის ზუსტი განსაზღვრა მისი რეალიზაციის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნების გაერთიანებისა და გამოყოფის წესსა და პირობებს. კანონი მოსამართლეს ანიჭებს იმის უფლებას, რომ საქმის უფრო სწრაფად გადაწყვეტის მიზნით, სასარჩელო მოთხოვნები გააერთიანოს და ერთად განიხილოს ან ამავე მიზნით, გაერთიანებული მოთხოვნებიდან ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა გამოყოს ცალკე წარმოებად. ამასთან ბუნებრივია, არაა გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ სასამართლომ ეს მოთხოვნები თავდაპირველი სახით (ე. ი. გაერთიანების ან გამოყოფის გარეშე) განიხილოს და დაადგინოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. კანონმდებელი ამ წესის შემუშავების დროს მიზნად ისახავდა ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას, როგორცაა ურთერთდაკავშირებული (ერთ სამართალურთიერთობიდან გამომდინარე) სასარჩელო მოთხოვნების ერთგვაროვანი განხილვა და სამართალწარმოებაში დროისა და პროცესუალური საშუალებების მნიშვნელოვანი ეკონომია.

მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების გაერთიანების მიზანშეწონილობას ხშირად განსაზღვრავს ის საერთოსამართალურთიერთობა, საიდანაც გამომდინარეობს ამ გაერთიანების მოთხოვნა. ამიტომ კანონი მატერიალური სამართალურთიერთობის ბუნების გათვალისწინებით ზოგჯერ პირდაპირ ავალებს სასამართლოს (მოსამართლეს), გააერთიანოს სასარჩელო მოთხოვნები ერთ წარმოებად და ისე განიხილოს. ამასთან, ზოგიერთი მოთხოვნა შეიძლება არც იყოს მოსარჩელეს მიერ განცხადებული. აი მაგალითიც: საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 34-ე მუხლით „როცა მეუღლენი არ არიან შეთანხმებულნი განქორწინების შემდეგ შვილების საცხოვრებელი ადგილის და მათ შესანახად გადასახდელი სახსრების შესახებ, სასამართლო მოვალეა განქორწინებასთან ერთად განსაზღვროს, რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩეს და რომელ მშობელს რა ოდენობით უნდა გადახდეს ალიმენტი“.

მიუხედავად კანონის პირდაპირი მოთხოვნისა, სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს შეცდომებს განქორწინების საქმეების განხილვისას სასარჩელო მოთხოვნების გაერთიანებასთან დაკავშირებით, რითაც ირღვევა პროცესუალური ეკონომიის პრინციპი და საქმის სწრაფად და სწორად განხილვისა და გადაწყვეტის ამოცანები. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: ნ-ც-მ სარჩელი შეიტანა სახალხო სასამართლოში. გ-ც-სთან განქორწინების, ქონების ვაყოფის, შვილების მიკუთვნებისა და მათ სარჩენად ალიმენტის გადახდის შესახებ⁸. ამრიგად, ერთი სასარჩელო განცხადებით წარდგენილი იყო ოთხი მოთხოვნა. ნათელია, რომ ამ მოთხოვნების ერთად განხილვა მიზანშეწონილი იყო ჯერ ერთი პროცესუალური ეკონომიის მოთხოვნებიდან გამომდინარე და მეორეც იგი საშუალებას მისცემდა სასამართლოს სრულად გამოერკვია მხარეთა ურთიერთობები და ოჯახის შენარჩუნების შესაძლებლობები, დაეცვა მოსარჩელისა და ბავშვების კანონიერი უფლებები. მიუხედავად ამისა, სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, — დაადგინა მხოლოდ მხარეთა განქორწინება.

⁸ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1978, № 1, გვ. 18.

მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გაუქმდა აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმეში არსებული მასალებიდან და თვით გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ სამსჯავრო სხდომაზე მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მაგრამ სასამართლომ იგი არ მიიღო და საქმე წარმოებით არ შეწყვიტა. სასამართლომ საქმის განხილვაც არ გადადო და მხარეებს არ დაუნიშნა ვადა შერჩევისათვის. ამით დაარღვია საქორწინო და საოჯახო კოდექსის 33-ე მუხლის მოთხოვნები. გარდა ამისა, სასამართლომ საქმე ისე გადაწყვიტა, რომ მხედველობაში არ მიიღო ამავე კოდექსის 34-ე და 36-ე მუხლების, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 29 დეკემბრის № 9 დადგენილების მე-4 და მე-5 პუნქტები, რომლებიც ავალდებენ სასამართლოს განქორწინების საქმესთან ერთად გადაწყვიტოს საკითხი შვილების საცხოვრებელი ადგილისა და მათ შესანახად გადასახდელი სახსრების შესახებ, აგრეთვე იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც მეუღლეთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს. ასეთი დარღვევების პირობებში კი ლაბარაკი პროცესუალურ ეკონომიაზე ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, პირიქით, სასამართლოს მიერ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობა როგორც წესი, იწვევს საქმის განხილვის გაკვიანურებას მასთან დაკავშირებული ყველა მავნე შედეგით.

სასამართლოს, მოთხოვნების გაერთიანების გარდა შეუძლია წარდგენილი მოთხოვნებიდან გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა ცალკე წარმოებად, თუ ცნობს, რომ ასეთი განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია. ამასთან, რიგ შემთხვევებში მატერიალური სამართლის ნორმები პირდაპირ მიუთითებენ გაერთიანებულ მოთხოვნათა განცალკევებით განხილვის აუცილებლობაზე. საქორწინო და საოჯახო კოდექსის 36-ე მუხლით მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის თხოვნის თანახმად სასამართლო ვალდებულია განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განიხილოს იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა საერთო თანასაკუთრებას.

განქორწინების საქმის განხილვისას, როდესაც ამასთან ერთად სასამართლო წყვეტს საკითხს შვილების აღსაზრდელად გადაცემის შესახებ, თუ აღმოჩნდა, რომ საქმის განხილვის დროისათვის შვილები იმყოფებიან მესამე პირებთან (ბებია, პაპა, სხვა ნათესავები), საკითხი უნდა გადაწყდეს ცალკე, იმ პირებისადმი სარჩელის წარდგენის წესით, ვისთანაც ბავშვი იმყოფება.

სასარჩელო მოთხოვნები შეიძლება გააერთიანოს ან გამოყოს მოსამართლემ ერთპიროვნულად საქმის წარმოებაში მიღებისას ან მისი სასამართლო გარჩევისათვის მომზადების სტადიაზე, აგრეთვე სასამართლომ კოლეგიურად, როდესაც ამის საჭიროება წარმოიშობება საქმის სასამართლო გარჩევის პროცესში. ურთიერთშორის დაკავშირებული სასარჩელო მოთხოვნების გაერთიანება შეუძლია მოსარჩელესაც ერთ სასარჩელო განცხადებაში.

სასარჩელო მოთხოვნების გაერთიანება და გამოყენება წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანშეწონილი ორგანიზაციის მეთოდს. იგი უზრუნველყოფს პროცესუალურ ეკონომიას საპროცესო სამართლებრივი ტექნიკის რაციონალური გამოყენებით და სასამართლო პრაქტიკაში სრულიად დაუშვებელია მისი შეუფასებლობა.

სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ბრალის დასაბუთება

ნონა თოდუა

სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის ბრალის დასაბუთების საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. მხედველობაში გვაქვს დანაშაული, რომელიც ჩადენილია მწვავე ალკოჰოლური მოწამვლის შედეგად გამოწვეული ფსიქიკური ცვლილებების ვითარებაში. ამგვარი დანაშაული შეიძლება გამოვლინდეს როგორც ჩვეულებრივი, ასევე პათოლოგიური სიმთვრალის დროს. სადავოა ბრალის დასაბუთების საკითხი ჩვეულებრივი სიმთვრალის დროს ჩადენილი ქმედობისათვის, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ფსიქიატრებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ მთვრალის ცნობიერებასა და ნებაზე. ერთნი ფიქრობენ, რომ მთვრალი პირი, მიუხედავად სიმთვრალის ხარისხისა, გარკვეული ზომით ყოველთვის ინარჩუნებს საკუთარი მოქმედებისადმი ანგარიშის გაწვევისა და მასზე ხელმძღვანელობის უნარს. ამავდროულად აზრს იზიარებს სწავლულ იურისტთა ზოგიერთი წარმომადგენელი¹.

მაგრამ სწავლული-იურისტებისა და ფსიქიატრების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ძლიერი სიმთვრალე იწვევს ფსიქიკის ისეთ ცვლილებას, როცა ადამიანი კარგავს თავისი მოქმედების მნიშვნელობის შეცნობის უნარს². ამასვე მოწმობს ფსიქიატრიის ექსპერიმენტული და კლინიკური მონაცემები. ეს კი იმის საფუძველს გვაძლევს, რომ დავასკვნათ: ჩვეულებრივი სიმთვრალის მიმდებარე ფორმის დროს ხშირად აქვს ადგილი ფსიქიკის სერიოზულ დარღვევას, რაც განაპირობებს შეურაცხადობას, როგორც სამედიცინო, ისე იურიდიული თვალსაზრისით.

სწორედ ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება ხოლმე იურიდიულ ლიტერატურაში მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: როგორ უნდა დასაბუთდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ძლიერი სიმთვრალის დროს ჩადენილი ქმედობისათვის, თუ შესაძლოა ასეთ მდგომარეობაში პირს წაერთვას საკუთარ მოქმედებაზე ანგარიშის გაწვევის უნარი, რას გულისხმობენ საფუძვლების მე-12 მუხლი და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები? (საქართველოს სსრ სსკ მე-14 მუხლი).

¹ Судебная психиатрия, М., 1971, с. 309. Я. М. Калашник, Алкогольное опьянение и его правовая оценка. Проблемы судебной психиатрии, вып. XI, М., 1962, с. 25. Ткачевский Ю. М. Уголовно-правовые меры борьбы с пьянством. Серия «Законодательство об ответственности за пьянство», М., «Юрид. лит.», 1973, с. 15 и др.

² Таганцев Н. С. Курс русского уголовного права, часть общая, вып. I, с. 125. М. И. Затуловский, Судебно-психиатрическая оценка состояния опьянения. «Проблемы судебной психиатрии», сб. V, 1946, с. 93. Бейсенов Б. С., Алкоголизм: Уголовно-правовые и криминологические проблемы, М., 1981, с. 80. Лейнина Н. С., К вопросу об обосновании ответственности за преступления, совершенные в состоянии опьянения Вестник Ленингр. ун-та, № 11. Серия экономики, философии и права, вып. 2, Л., 1958, с. 114-117.

ის მეცნიერები, რომლებიც თვლიან, რომ ძლიერ სიმთვრალეს შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ფსიქიკის სერიოზული მოშლილობა, სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ასეთ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისათვის სხვადასხვანაირად ასაბუთებენ.

ნ. ლეიკინას აზრით, სიმთვრალის გამო შეურაცხად პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტური საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ მათ შეგნებულად და თავისი ნებით მოჰყავთ თავი მთვრალ მდგომარეობაში. მას მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში პირი ყოველთვის უნდა დაისაჯოს³.

ნ. ლეიკინას ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ ბოლომდე, რადგანაც ყოველთვის არაა შესაძლებელი პირმა გაითვალისწინოს, რომ ალკოჰოლის ამა თუ იმ დოზით მიღების შედეგად იგი უგონო მდგომარეობაში ჩავარდება. გარდა ამისა, პირი იმასაც ნამდვილად ვერ გაითვალისწინებს, თუ რა მოქმედებას ჩაიდენს იგი ამ დროს.

ვ. სმირნოვი თვლის, რომ ძლიერ სიმთვრალეში მყოფი პირი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს მართალია ვერ აფასებს და ანგარიშს ვერ უწევს თავის მოქმედებას, მაგრამ მაინც არ შეიძლება იგი შეურაცხადად ვცნოთ. თუ შემოვიღებთ ასეთი ქმედობის დასჯადობას, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ საფუძველების მე-3 მუხლისაგან განსხვავებულად, გამონაკლისის სახით⁴.

ჩვენი აზრით, ვ. სმირნოვი სწორად მიუთითებს, რადგან საფუძველების 12-ე და მე-3 მუხლები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. მე-12 მუხლში ყოველგვარი დაზუსტების გარეშეა ნათქვამი, რომ სიმთვრალე პირს არ ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ე. ი. კანონმდებელს მხედველობაში აქვს სიმთვრალის ყველა სტადია, მათ შორის, რა თქმა უნდა, ძლიერი სიმთვრალეც.

ვ. სმირნოვი უშვებს ობიექტური შერაცხვის პრინციპს ძლიერ სიმთვრალეში ჩადენილი ქმედობისათვის და ცდილობს თავისი მოსაზრება იმით გაამართლოს, თითქოს ამ დროს წინა პლანზე იდგეს ზოგადი პრევენციისა და დანაშაულის აღმოფხვრის მიზნები, ხოლო კერძო პრევენციის მიზანი ფაქტობრივად მიყენებული ზიანისათვის პირთა პასუხისმგებლობის რეალიზაციაში გლინდებოდეს⁵.

ვ. სმირნოვის ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგან აქ ობიექტური შერაცხვის პრინციპის გამართლებით ერთმანეთს უპირისპირდება პიროვნება და საზოგადოება. ისე გამოდის, რომ პიროვნება შეიძლება გავწიროთ საზოგადოების ინტერესებისათვის (უარი ვთქვათ კერძო პრევენციაზე ზოგადი პრევენციის სასარგებლოდ). ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ პიროვნება გამოვიყენოთ სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთა აღმოფხვრის საშუალებად, როდესაც პიროვნება ჩვენს ქვეყანაში თავისთავად უმაღლესი მიზანია. ძნელი შესამჩნევი არ არის ისიც, რომ ასეთ ვითარებაში ზოგადი პრევენციის მიზნის მიღწევა შეუძლებელია. მართლაც, როცა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში

³ ნ. ს. ლეიკინას დასახელებული ნაშრომი, გვ. 118.

⁴ Смирнов В. С. Основания уголовной ответственности и наказания за преступление, совершенное в состоянии опьянения. Вестник ЛГУ, 1964, № 11. Серия экономики, философии и права. Вып. 2, стр. 131, 134.

⁵ იქვე, გვ. 134-135.

ვადლებთ პირს, რომელიც ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან ბრალეულად არ ყოფილა დაკავშირებული არც დათრობამდე და არც ძლიერი სიმთვრალის დროს, ერთდერით დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: კერძოდ, პირი არ უნდა დათვრეს, რადგან ძლიერმა სიმთვრალემ იგი შეიძლება უგონო მდგომარეობაში მოაქციოს და მას რაიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩაადენინოს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კანონმდებელი სიმთვრალეს ებრძვის მაშინ, როცა თავისთავად დათრობა არ არის საზოგადოებრივად საშიში მოქმედება, იგი უმეტეს შემთხვევაში მძიმე შედეგს არ იწვევს და ჩვენი კანონმდებლობით, სავსებით სამართლიანად, არც ითვლება დანაშაულად⁶.

ბ. ბეისენოვი ძლიერი სიმთვრალის დროს ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის ბრალეული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას დასაშვებად თვლის მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ სიმთვრალის შედეგად პირს წარმეული არ ჰქონდა თავისი მოქმედებისათვის ანგარიშის გაწვევის უნარი;

ბ) თუ იგი დათვრა დანაშაულის ჩადენის განზრახვით;

გ) თუ იგი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტია;

დ) თუ პირს შეუძლია დათრობამდე გაითვალისწინოს თავისი სიმთვრალის საზოგადოებრივად საშიში შედეგი⁷.

ა. გაბიანი არ ეთანხმება ზოგიერთ საკითხში ბ. ბეისენოვს და აღნიშნავს, რომ ყველა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი ვერ გაითვალისწინებს მისი სიმთვრალის საზოგადოებრივად საშიშ შედეგს იმ უბრალო მიზეზით, რომ ყველა რეციდივისტი არ არის ალკოჰოლისტი⁸.

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებსა და სხვა საშიშ დამნაშავეებს ხშირად იმიტომაც არ შეუძლიათ გაითვალისწინონ სიმთვრალის საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომ მათ, არცთუ იშვიათად, შეგნებული არა აქვთ მათთვის დამახასიათებელი ანტისაზოგადოებრივი განწყობა, პირიქით, ზოგჯერ თავს გამორჩეულ, დადებით პიროვნებადაც კი თვლიან. გამორიცხული არ არის ისიც, რომ ეს პირები შეიძლება სიმთვრალეში მართლაც სხვებზე თავდაპირილები აღმოჩნდნენ, რადგან სიმთვრალე, ალკოჰოლი მათთვის არ არის დანაშაულის ჩადენის მასტიმულირებელი საშუალება, მათგან ჩადენილი დანაშაული უმეტესად წინასწარაა მოფიქრებული და დაგეგმილი.

ბ. ბეისენოვი საჭიროდ თვლის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში შევიდეს ახალი ნორმა, რომელიც დააწესებს პასუხისმგებლობას ძლიერი სიმთვრალით გამოწვეულ შეურაცხად მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის⁹. ამ ნორმის შემოღებით იგი ცდილობს გამორიცხოს ობიექტური შეურაცხვის პრინციპის გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ რა შეიძლება თუ ამგვარი ქმედობის

⁶ ზოგიერთი სხვა ავტორიც თვლის, რომ ძლიერ სიმთვრალეში ჩადენილი ქმედობისათვის პასუხისმგებლობის საფუძველია ლოთობისაგან საზოგადოების დაცვის სამართლიანი მოთხოვნა (Андреев Игорь, Вопросы кодификации уголовного права стран народной демократии, М., и Л., 1963, с. 97—98).

⁷ Бейсенов Б. С. Алкоголизм: уголовно-правовые и криминологические проблемы, М., 1981, с. 125.

⁸ Габниани Анзор, Уголовная ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения, Тбилиси, 1968, с. 87.

⁹ ბ. ბეისენოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 125.

დასჯადობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში შემოვიღებთ ისეთ ახალ ნორმას, რომელიც არ გამოგვადგება პირის ბრალეულობის დასაბუთებისათვის? თავისთავად, ეს ნორმა ობიექტური შერაცხვის პრინციპზე იქნება აგებული, რომელიც პირის დასჯას მოითხოვს იმისათვის, რომ მან საზოგადოებას ზიანი მიაყენა, მაგრამ პირს ბრალეული მოქმედება არ ჩაუდენია. ამდენად მის შემოღებას მხარს ვერ დავუჭერთ.

ა. გაბიანი თვლის, რომ საფუძვლების მე-12 მუხლი იმის შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს იგი ობიექტურ შერაცხვას უშვებდეს ძლიერ სიმთვრალეში ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის. ეს ხდება იმიტომ, რომ არასრულყოფილია ამ მუხლის რედაქცია¹⁰. იმიტომ საფუძვლების მე-12 მუხლი გულისხმობს მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომლებიც ლიტერატურაში ცნობილია *actio libera in causa* სახელწოდებით¹¹.

ასეთი დასკვნა მართებულად არ მიმაჩნია. საფუძვლების მე-12 მუხლში (მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში) მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ პირი, რომელმაც სიმთვრალეში ჩადინა დანაშაული, არ გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. სხვა არავითარი პირობა აქ არ არის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს სიმთვრალეში ჩადენილი მავნე ქმედობის ყველა შემთხვევა. ჩემის აზრით, ძლიერ სიმთვრალეში ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის ბრალის დასაბუთება მართალია ზოგჯერ შესაძლებელია, მაგრამ უფრო მეტად იგი არ შეიძლება.

მოკლედ განვიხილოთ ბრალის ფორმები ძლიერ სიმთვრალეში ჩადენილი ქმედობის დროს.

განზრახ ბრალს, კერძოდ, პირდაპირ განზრახვას მაშინ აქვს ადგილი, როცა პირმა ზიცის თავისი ხასიათი, ამ შემთხვევაში კი სიმთვრალის დროს საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენისაკენ მიდრეკილება და სწორედ ასეთი მოქმედების ჩასადენად თვრება ძლიერად. ხშირად ასეთ დროს პირი უგონო მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ბრალს. კერძოდ, პირდაპირ განზრახვას ჩადენილი მოქმედებისათვის.

პირდაპირი განზრახვის დასაბუთება უფრო ადვილია ძლიერი სიმთვრალის დროს უმოქმედობით გამოწვეული მავნე შედეგისათვის. მაგალითად, პირმა, რომელსაც დაკისრებული აქვს ესა თუ ის მოვალეობა, კარგად იცის, რომ მისი შეუსრულებლობა მძიმე შედეგს გამოიწვევს. ამის მიუხედავად, მას სურს ასეთი შედეგი და თვრება კიდევ ძლიერ, რათა თავისი მოვალეობის შესრულების დროს უგონო მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ძნელი არაა არაპირდაპირი განზრახვის დასაბუთებაც. იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა პირმა იცის, რომ მის ძლიერ სიმთვრალეს შეიძლება მოჰყვეს რაიმე საზოგადოებრივად საშიში შედეგი. მართალია ასეთი შედეგის დადგომა მას არ სურს, მაგრამ შეგნებულად მაინც უშვებს ამ შესაძლებლობას, მაგ. ექიმი სასწრაფო დახმარების მანქანით მიჰყვება ავტორბოლის მონაწილე-

¹⁰ Габини Анзор, Уголовная ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения, Тбилиси, 1968, стр. 93.

¹¹ ა. გაბიანის დასახელებული ნაშრომი, გვ. 95.

ებს. მან კარგად იცის, რომ მისი დათრობა არ შეიძლება და შეგნებულოც აქვს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ სიმთვრალეს. კერძოდ, თუ დაშავდება ავტობოლის რომელიმე მონაწილე და საჭირო გახდება მისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარება, უგონო მდგომარეობაში მყოფი ექიმი ამას ვერ შესძლებს. ასეც მოხდა, როდესაც ერთ-ერთი სპორტსმენი დაშავდა, სასწრაფო-სამედიცინო დახმარება უძლური აღმოჩნდა, რადგან ექიმი უგონოდ იყო მთვრალი. ასეთ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივია ბრალის დასაბუთება არაპირდაპირი განზრახვით ავადმყოფისათვის სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობისათვის.

ძლიერი სიმთვრალის დროს ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის გაუფრთხილებელი ბრალის დასაბუთება შესაძლებელია, აგრეთვე, როგორც თვითმედოვნების, ისე დაუდევრობის შემთხვევაში.

გამომდინარე აქედან, უნდა დავასკვნათ, რომ ძლიერი სიმთვრალის დროს ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი იწყება იმ მომენტიდან, როდესაც პირი უხიზელი იყო და სწორად აფასებდა, ან შეეძლო შეეფასებინა ძლიერი სიმთვრალით გამოწვეული მოსალოდნელი მძიმე შედეგი. სხვა შემთხვევებში კი, როდესაც პირმა დაკარგა საკუთარი მოქმედების შეფასების უნარი, იგი უნდა გაათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასეთი შემთხვევებია: ა) როცა იგი ძლიერ დათვრა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად; ბ) როცა ძალით ან მოტყუებით დაათვრეს ძლიერ და ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა; გ) როცა პირს გამოუცდელობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ გადათვრებოდა ან ძლიერი სიმთვრალე საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენას გამოიწვევდა¹².

ჩამოთვლილ შემთხვევათა ვრცელი განხილვა-დასაბუთება ცალკე მსჯელობის საგანია და მას სხვა დროს მივუბრუნდებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-12 მუხლი და მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს:

„პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა სიმთვრალეში, არ თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

თუ პირმა სისხლის სამართლის კანონით დასჯადი ქმედობა ჩაიდინა ძლიერი სიმთვრალის დროს, როცა წართმეული ჰქონდა საკუთარი მოქმედების შეფასებისა და მასზე ხელმძღვანელობის უნარი, იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. ასეთად უნდა ჩაითვალოს:

თუ სიმთვრალე დადგა მისი ნებისაგან დამოუკიდებლად; როცა ასეთ მდგომარეობამდე იგი მიიყვანეს მოტყუებით ან ძალადობით; როცა პირს გამოუცდელობის ან სხვა მიზეზთა გამო არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ძლიერი სიმთვრალის დადგომა ან ამ მდგომარეობაში დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა.

¹² ა. ვაბიანის აზრით, პირი გამოუცდელობის ან სხვა მიზეზების გამო შეიძლება ვერ ითვალისწინებდეს ალკოჰოლის მიღების შედეგად ძლიერი სიმთვრალის დადგომას. მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ზოგჯერ მან შეიძლება ვერ გაეთვალისწინოს მის მიერ სიმთვრალეში ჩადენილი ქმედობის საშიშროება.

ბა (თუ ამ დროს მას არ ჰქონდა დაკისრებული ისეთი მოვალეობა, რაც მისგან განსაკუთრებულ წინდახედულობას მოითხოვდა)“.

საფუძვლების მე-12 მუხლისა და სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების ამგვარ ფორმულირებას ის უპირატესობა ექნება, რომ ამით ზუსტად განისაზღვრება პირობა, როდესაც სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის პირი უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან.



ნარკომანიას — დაუნდობელი გრძოლა!

ჩვენი გადაუდებელი ამოცანა

დავით დავითაძე,

ხელვაჩაურის რაიონის პროკურორი

ნარკომანია კაცობრიობის უდიდესი დანაშაული და ბოროტებაა. სამწუხაროდ, ამ მართლაც მსოფლიოს სენად აღიარებულმა ავადმყოფობამ საქართველოშიც სულ ადვილად შემოაღწია და გავრცელდა. ჩვენი რესპუბლიკისათვის იგი დღეს რთულზე რთული პრობლემაა და ამიტომ იქცა სამართალდაცვითი ორგანოების უპირველეს ამოცანად ნარკომანიასთან ბრძოლა.

მართალია საქართველოში არ ხარობს ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარეები, მაგრამ ისინი მაინც შემოდის საკმაოდ დიდი ოდენობით. განსაკუთრებით ხელშემწყობია საამისოდ საკურორტო სეზონი, როდესაც შუა აზიიდან, ყუბანიდან, უკრაინიდან და სხვა რეგიონებიდან დამსვენებლებს უხვად შემოაქვთ ეს მომაკვდინებელი საწამლავი. რა თქმა უნდა, ამას ხელს უწყობს ადგილობრივი სპეკულანტებისა და გადამყიდველების აქტიურობაც.

ამის ახსნა ადამიანთა შეგნებაში მხოლოდ ძველი გადმონაშთების, მავნე ტრადიციებისა და ჩვეულებების არსებობით არ შეიძლება. არც ის იქნება სწორი, რომ იგი მხოლოდ ველური კანაფისა და ყაყაჩოს გავრცელებას დავაბრალოთ. თავისთავად, ამ მცენარეებს კი არ წარმოუშვიათ ნარკომანია, არამედ იგი უმთავრესად ნარკომანიასთან ბრძოლის შესუსტებამ და მოჩვენებითმა კეთილდღეობამ განაპირობა. საამისოდ ხომ თითქმის არ იყო გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ძალიან დიდხანს საერთოდ ვდუმდით კიდევ მოსალოდნელ საშიშროებაზე. სიმათლისა და საჯაროობის ატმოსფერომ დღეს კიდევ უფრო გამოააშკარავა ნარკომანიის მწვავე პრობლემები.

როგორ მოქმედებს ადამიანებზე ნარკოტიკული ნივთიერებები? რაში მდგომარეობს მათი საშიშროება? რა ემუქრება ნარკომანის ჯანმრთელობას და მის მომავალს? ამაზე სათანადო წარმოდგენაც არ აქვთ ახალგაზრდებს. ხალხმა კი დიდი ხნის წინ ისწავლა ნარკოტიკული ნივთიერების დამზადება და მისი მედიცინაში გამოყენება. ამავე დროს მან ისიც იცოდა, რომ მუდმივად და დიდი რაოდენობით გამოყენებული პრეპარატი მავნე ზემოქმედებებს იწვევდა,

ორგანიზმი ძალიან ჩქარა ეჩვენებოდა და მის გარეშე აღარ შეეძლო არსებობა. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის დადგენილებით ნარკოტიკად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ნივთიერება, რომელიც სამედიცინო დანიშნულების გარდა სხვა მიზნით გამოიყენება. ნარკოტიკები ორგანიზმზე მოქმედებენ ძალიან ცუდად, პირველ რიგში გავლენას ახდენენ თავის ტვინზე და იწვევენ მძიმე ფსიქიურ დაავადებებს, რასაც, ბუნებრივია, მოსდევს კიდევ ფსიქიკური და ფიზიკური მოშლილობა, ჯანმრთელი სხეულის დაავადამყოფობა. მიჩვევის მექანიზმი ასეთ დროს ძალიან სწრაფია. საკმარისია ნარკოტიკული ნივთიერების რამდენჯერმე მიღება, რომ შემდეგ თითქმის შეუძლებელია გადაჩვევა, რადგან მძლავრობს ნარკოტიკების მიღების განმეორებითი სურვილი. ავადმყოფური ჩვევის განვითარების მიხედვით, რადგან სუსტდება ნარკოტიკების მოქმედება, ავადმყოფი იძულებულია თანდათანობით მოუმატოს მის დოზას, რის შედეგადაც ვითარდება ორგანიზმის ფიზიკური დამოკიდებულება ნივთიერებებისადმი და მისი მიუღებლობა იწვევს ნარკომანის ტანჯვას, ნერვიულ აშლილობას ე. წ. „ტენჯას“. ავადმყოფი გრძნობს საშინელ ტკივილებს, კუჭ-ნაწლავისა და სახსრების სისუსტეს, ანგარიშს ვეღარ უწევს თავის მოქმედებას. უფრო მძიმე შემთხვევაში ვითარდება მწვავე ფსიქიური აშლილობა, გონების დაბნელება, კრუნჩხვითი ეპილევსია და პალუცინაციები.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ არასრულწლოვანებმა არ იციან ნარკოტიკული ნივთიერების მიღების რეალური საშიშროება და ცნობისმოყვარეობას ისინი ადვილად მიჰყავს ავადმყოფობისა და დანაშაულისაკენ. როგორც წესი, ყველა ნარკომანი უკანონოდ იძენს და ინახავს ნარკოტიკულ ნივთიერებას ან ზრდის ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველ მცენარეულობას.

ნოდარ ნიაზის ძე მამინაძეს 1978 წლიდან 1986 წლამდე, სოფ. ადლიაში სისტემატურად მოჰყავდა ინდური კანაფი. მან იცოდა, რომ ეს დანაშაული იყო, მაგრამ კანაფი მოჰყავდა მცირე რაოდენობით და ამით ცდილობდა მის დაფარვას. სამართალდამცავი ორგანოებისათვის მაინც არ დარჩა შეუშინველი ეს ფაქტი და ხელვაჩაურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაებმა ამხილეს იგი. ჩხრეკის დროს ნ. მამინაძეს 1,060 გრამი ჰაშიში აღმოაჩნდა.

ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის უკანონოდ დათესვისა და მოყვანისათვის, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისა და გასაღებისათვის ნ. მამინაძეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ანალოგიური დანაშაული ჩაიდინა ტურბაზა „მწვანე კონცხის“ მუშამ გოჩა შოთას ძე ჯოჯუამ. სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს სმოლენსკის ოლქში ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მას კანაფის თესლი მისცა. ჯოჯუამ იგი შეინახა და სახლში ჩამოსულმა 1987 წლის ივნისში თავის ნაკვეთში დათესა. როცა „მოსავალი მიიღო“. მისი ნაწილი მახინჯაურში მცხოვრებ მ. სვანიშვილს მისცა, დანარჩენი კი შეინახა სპექულაციურ ფასებში გასაყიდად.

ამ ნარკოტიკულ ნივთიერებათა სპექულაცია იმით დამთავრდა, რომ გ. ჯოჯუა გაასამართლეს საქართველოს სსრ სსკ 252-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 253-ე მუხლის პირველი ნაწილით და ღირსეული სასჯელიც გამოუტანეს.

ხელვაჩაურში, ლენინის ქ. № 54-ში ცხოვრობს უმუშევარი ლარისა ანდროს ასული გუსევა. ბრიანსკის ოლქის დაბა ყუტოვკელი მისი დეიდა კიბოთი იყო დაავადებული და ექიმები სამკურნალოდ უწერდნენ მორფსა და მის შემ-

ცველ ნარკოტიკებს. დედის სიკვდილის შემდეგ ლარისა ორჯერ იყო ქუეყანაში და მისი სახლიდან წამოიღო ის ნარკოტიკული ნივთიერებები, რომლებიც სიკვდილის შემდეგ დარჩა ავადმყოფს. ხელვაჩაურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა ამ ნივთიერებებთან ერთად დააკავეს ლ. გუსევა. იგი ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო გადაზიდვისათვის გაასამართლეს და მიუსაჯეს კიდევ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზოგიერთის აზრით ნარკოტიკული ნივთიერების მცირე რაოდენობით შეძენა, მოხმარება ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე არ ისჯება, ეს სწორი არ არის. ასეთი მოქმედებისათვის კანონით დაწესებულია ადმინისტრაციული სასჯელი ჯარიმის სახით 100 მანეთამდე, ან გამასწორებელი სამუშაოები 1-დან 2 თვემდე გამომუშავებიდან 20 პროცენტის დაქვითვით, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში 15 დღემდე ბათიმრობით.

თუ იგივე ქმედობა ჩადენილია განმეორებით, ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ, დამნაშავე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე, ან იმავე ვადით გამასწორებელი სამუშაოთი ან ჯარიმით 300 მანეთამდე.

ხელვაჩაურის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ლევან მამუდის ძე მიქელაძე, რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა 1985 წლის 30 სექტემბერს დააკავეს. აღმოჩნდა, რომ მას მიღებული ჰქონდა ჰაშიში. თითქმის ერთი წლის შემდეგ, 1986 წლის 6 აგვისტოს, იგი კვლავ შეამოწმეს რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში და აღმოჩნდა, რომ ლ. მიქელაძე იმყოფებოდა ნარკოტიკული ნივთიერების შემოქმედების ქვეშ. 1986 წლის 29 სექტემბერს ხელვაჩაურის რაიონის სახალხო სასამართლომ მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და განაჩენის აღსრულება ერთი წლით გადაუვადა.

1959 წელს დაბადებული ალექსანდრე პეტრეს ძე ზუბკო სოფელ ანგისაში ცხოვრობდა, მაგრამ არსად არ მუშაობდა. მუქთახორა 1985 წლის 17 დეკემბერს შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ იგი უკანონოდ, გასაღების მიზნის გარეშე ინახავდა 77,205 გრამ ყაყაჩოს და 0,63 გრამ ოპიუმს. მისი განმარტებით ეს ნარკოტიკული ნივთიერებები ზაფხულში იყიდა უცხო მამაკაცისაგან 12 მანეთად. დადგინდა ისიც, რომ ზუბკომ იცოდა ყაყაჩო გამამართლებელი საშუალება იყო და გადაწყვიტა მისი გასინჯვა.

ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღების მიზნის გარეშე უკანონოდ შეძენისათვის და ექიმის დანიშნულების გარეშე მისი მიღებისათვის, საქართველოს სსრ სსკ 252-ე მუხლის მე-3 ნაწილით ზუბკოს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და იძულებითი მკურნალობა მიესაჯა.

ასეთივე დანაშაული ჩადინა მისმა თანასოფელელმა თენგიზ მამუდის ძე ქათამაძემ. 1985 წლის დეკემბერში, უცნობი პირისაგან მან შეისყიდა 0,486 გრამი ჰაშიში. ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა კიდევ 0,026 გრამი ჰაშიში და 0,460 გრამი სხვა ნარკოტიკული ნივთიერება. 1986 წლის 13 მარტს ქათამაძე გაასამართლეს საქართველოს სსრ სსკ 252-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიუსაჯეს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა იძულებითი მკურნალობით.

ბათუმის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ვაჟა შაქროს ძე გორგილაძემ 1986 წლის 21 თებერვალს, ღამით ავტომანქანა „მოსკვიჩი“ გაიტაცა ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოდან. 25 თებერვალს იგი ხელვაჩაურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა დააკავეს და ჩხრეკის

დროს აღმოუჩინეს 0,035 გრ. ჰაშიში. იგი გასამართლებულია საქართველოს სსრ სსკ 252-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 243 მუხლის მე-2 ნაწილით, მისჯილი აქვს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ხელვაჩაურში მცხოვრები გივი შალვას ძე ვარშანიძე პირველად 1987 წლის 6 თებერვალს ნახეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ და დააჩარიმეს კიდევ 30 მანეთით. ერთი თვის შემდეგ 1987 წლის 6 მარტს იგი კვლავ იქნა შემჩნეული მსგავს მოქმედებაში. ამჯერად მას საქართველოს სსრ სსკ 252² მუხლით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო განაჩენის აღსრულება გადაედო იმავე ვადით.

თბილისელი დავით ნიკოლოზის ძე ტრაბაიძე ერთხელ უკვე იყო გასამართლებული საქართველოს სსრ სსკ 152-ე მუხლით და სასჯელს იხდიდა. 1987 წლის 25 ივნისს იგი გაიქცა და მოსკოვ-ბათუმის მატარებლით წამოვიდა. ტუაფსეში მოსვლამდე უცნობი პირისაგან შეიძინა 3,1 გრ. ანაშა და მახინჯაურში ჩამოიტანა. 27 ივნისს ტრაბაიძე დააპატიმრეს და მიუსაჯეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

აქ მოვიყვანეთ მხოლოდ იმ საქმეების ნაწილი, რომელიც ხელვაჩაურის რაიონის პროკურატურამ აწარმოა. სამწუხაროდ, ნარკომანების რიცხვი გაცილებით უფრო მეტია.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ პლენუმზე, რომელიც ახალგაზრდებს შორის გავრცელებულ ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ ადრე ნარკომანიის პრობლემაზე, როგორც სოციალურ ბოროტებაზე, ძალიან ცოტას ვლაპარაკობდით და ბრძოლაც არ წარმოებდა მთელი ძალით. პლენუმმა განაზოგადა მოპოვებული მასალები, ახალი მიმართულება მისცა მათ და კონკრეტულად მიუთითა ნაკლოვანებებსა და გამოუყენებელ შესაძლებლობებზე.

მოფიქრებული და გამიზნული მოქმედებაა საქირო ნარკომანიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან ეს სოციალური ბოროტება დღეს უკვე ერის მომავალს ემუქრება. მართალია, მისი აღმოფხვრა ძნელია, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. ეს კი გადაწყდება მხოლოდ ორგანიზებულობით, სახელმწიფო ორგანოების, შრომითი კოლექტივების და მთელი საზოგადოების გაერთიანებული ძალებით. საამისოდ ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ იდეურ-აღმზრდელობითი, სამედიცინო და სამართლებრივი ღონისძიებები.

საპროკურორო-საგამოძიებო პრაქტიკა

საპროკურორო გელაგელაძელობა სულიერად დაავადებულ და შეურაცხად პირთა საქმის გამოძიებისას

მიხეილ მაგნიაშვილი,

ქ. თბილისის პროკურორის უფროსი თანაშემწე

თუ პირმა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეურაცხად მდგომარეობაში ჩაიღინა, ან შემდგომ გამოძიების პროცესში, სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაავადდა სულიერად, მხოლოდ წინასწარი გამოძიება უნდა ჩატარდეს. თუ საქმის გამოძიება დაიწყო მოკ-

ვლევით, მაგრამ დადგინდა, რომ პირმა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში ან მოკვლევის დროს დაავადდა სულიერად, საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ქვემდებარეობისამებრ წინასწარი გამოძიების ორგანოს.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობით, გარდა უზბეკეთის სსრ სსკ 363-ე მუხლისა, ამ კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გამოძიება სავალდებულოა.

ასეთ დროს პროკურორმა აუცილებელია გაითვალისწინოს, რომ სულიერად დაავადებული მოკვლელია შესაძლებლობას თვითონ განახორციელოს თავისი უფლებები და დაიცვას კანონიერი ინტერესები. ამიტომ მან განუხრებლად უნდა შეასრულოს კანონის ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია სულიერად დაავადებულის ან შეურაცხადი პირის საქმის გამოძიების სპეციფიურობასთან. სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ კანონის 28-ე და 29-ე მუხლების თანახმად, პროკურორმა უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიაპყროს იმას, რომ სულიერად დაავადებულის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის დროულად აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დაუყოვნებლივ გადაეცეს იგი გამოძიებულს წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, სულიერად დაავადებულთა მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა თავდაპირველად მომკვლავი ორგანოსათვის ხდება ხოლმე ცნობილი და არსებითად იქ წყდება საკითხი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ.

ამიტომ პროკურორმა, მოკვლევის ორგანოში შემოსული განცხადებებისა და შეტყობინებების შემოწმების დროს, გულმოდგინედ უნდა შეამოწმოს ყველაფერი და მომკვლავი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.

მთავარი კი ისაა, რომ სულიერად დაავადებულთაგან ჩადენილი ქმედობის შესახებ შეკრებილ მასალებზე გაკეთდეს სწორი დასკვნა, დადგინდეს ფსიქიურად დაავადებულის ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება.

თითოეული ასეთი კატეგორიის საქმეზე პროკურორმა უნდა უზრუნველყოს სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება, გაარკვიოს ის გარემოებები (მტკიცების საგანი), რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 327-ე მუხლით.

ამისათვის კი პროკურორმა უნდა გამოიყენოს ის უფლებამოსილებანი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ კანონის 29-ე მუხლით. კერძოდ: მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში, ხოლო თუ აუცილებელია დამოუკიდებლადაც შეასრულოს ასეთი მოქმედებები.

ტ. მიხაილოვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროკურორმა ამ უფლებების რეალიზაცია უნდა გამოიყენოს სულიერად დაავადებულთა მიერ მხოლოდ მძიმე დანაშაულის ჩადენის საქმეებზე¹, ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, რადგან ასეთი კატეგორიის საქმეთა გამოძიების სპეციფიურობიდან გამომდინარე, პროკურორს თვალთახედვიდან არ უნდა გამოორჩეს მათი გამოძიების მიმდინარეობა, ყოველთვის უნდა მონაწილეობდეს მასში, რა სიმძიმის საზოგადოებრივად საშიში ქმედობაც არ უნდა იყოს ჩადენილი სულიერად დაავადებულის მიერ. აუცილებელ შემთხვევაში კი საჭიროა დამოუკიდებლადაც შეასრულოს საგამოძიებო მოქმედებები.

მისცემს რა წერილობით მითითებას გამოძიებულს ასეთი კატეგორიის საქმეებზე, პროკურორმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმის აუცილებლობას, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად შეიკრიბოს მასალები, რომლებიც პირის სულიერად დაავადებაზე, დაავადების ხასიათზე მიუთითებენ, როგორც წარსულში, ასევე საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს. ასეთ დროს პროკურორი არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ სამედიცინო საბუთების შეკრებით, საჭიროა მან გამოძიებულს წერილობით მიუთითოს და ორიენტაცია გაუუქეთოს იმ მოწმეების დაკითხვის შესახებ, რომლებიც ახლო იცნობენ სულიერად დაავადებულს, თვალყურს ადევნებდნენ როგორც დანაშაულის ჩადენამდე, ასევე მას შემდეგაც. ასეთი საკითხების ღრმად შესწავლა იმის გარანტიას იძლევა, რომ სრულყოფილად ჩატარდეს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა და დადგინდეს პირმა ინკრიმირებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩაიდინა შეურაცხად თუ შეურაცხად მდგომარეობაში.

ისმის კითხვა: შეუძლია თუ არა სასამართლოს, პროკურორს, გამოძიებულს ან მომკვ-

¹ Т. А. Михайлова, Производство по применению принудительных мер медицинского характера, М., 1987, с. 19.

ლევს, რომ მიიღოს პროკურორის თანხმობა და არ აღძრას სისხლის სამართლის საქმე, მასლები განსახილველად გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, რომ დამნაშავე აღზრდა-გამოსწორების მიზნით გადასცეს შრომით კოლექტივს, როდესაც სულით დაავადებული პირის მიერ ჩადენილი ქმედობა არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას (საქართველოს სსრ სსკ 91 მუხლი). ეს საკითხი დადგება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო, პროკურორი, გამოძიებელი ან მომკვლველი მიიღებს კერძო ბრალდების განცხადებას სულიერად დაავადებულის ქმედობაზე (საქართველოს სსრ სსკ 112-ე, 137-ე მუხლის I ნაწილი). ასეთ დროს პასუხი აუცილებლად უარყოფითი უნდა იყოს, რადგან საქართველოს სსრ სსკ 91 მუხლით პირი მხოლოდ და მხოლოდ აღზრდა-გამოსწორების მიზნით გადაეცემა შესაბამის ორგანოს. მაშინ კი, როდესაც საქმე ეხება სულიერად დაავადებულს, საჭიროა დადგინდეს პირის შერაცხადობის საკითხი, რაც სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გარეშე შეუძლებელია. ექსპერტიზა კი ეერ დაინიშნება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე.

სულიერად დაავადებულის მიმართ არ გამოიყენება აგრეთვე ამნისტია, რადგან იგი მხოლოდ იმ სრულყოფილ ქმედუნარიან პირებს ეხებათ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს და ცნობილი არიან დამნაშავედ. სულიერად დაავადებულები კი არ შეიძლება დამნაშავედ იყვნენ ცნობილნი, რადგან მათი მოქმედება საერთოდ არ ითვლება დანაშაულად. ასეთი პირებისათვის აუცილებელია დაინიშნოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა და ჩატარდეს გამოძიება.

ამრიგად, როგორც წესი, შეურაცხად პირთა საქმეებზე წინასწარი გამოძიება უნდა ჩატარდეს მართლაც სრულყოფილად და ობიექტურად. მისი თავისებურება მხოლოდ იმაშია, რომ ასეთი შემთხვევების დროს არ ხდება პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემა და ბრალდების წაყენება, რადგან მას არ გააჩნია ბრალდებულის პროცესუალური უფლებები. შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირი არ უნდა დაიკითხოს ეჭვმიტანილად, ბრალდებულად ან განსასჯელად, მას ჩამოერთმევა მხოლოდ ახსნა-განმარტება და ისიც მაშინ, თუ მისი ჯანმრთელობა ამის საშუალებას იძლევა.

სამწუხაროდ კი საგამოძიებო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირის განმარტებას მტკიცების წყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

1985 წლის 27 მარტს, სულიერად დაავადებულმა ნ. ი-მ გლდანის მასივის მე-7 კორპუსიდან გაიტაცა ავტომანქანა გაზ-50. მილიციის მუშაკებმა იგი იმავე დროს დააკავეს და ჩამოართვეს კიდევ განმარტება, სადაც აღიარა დანაშაული. სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ კი ნ. ი-მ ერთხელაც არ მისცა ჩვენება, ხმას არ იღებდა და გაჩუმებული იყო. სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნ. ი-მ დანაშაული ჩაიდინა შეურაცხად მდგომარეობაში. მიუხედავად ამისა, საბრალდებო დასკვნასა და განჩინებაში ნ. ი-ს განმარტება გამოყენებული იყო, როგორც მტკიცების წყარო.²

ასეთი პრაქტიკა აშკარად ეწინააღმდეგება კანონს (საქართველოს სსრ სსკ 61-ე მუხლი და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 26 აპრილის № 4 დადგენილება), კანონით შეურაცხადი და სულიერად დაავადებული პირის ჩვენება არ შეიძლება განხილულ იყოს როგორც მტკიცების წყარო.³

როგორც საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, გამოძიებლები, მიიღებენ რა სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირები ცნობილი არიან შეურაცხადად, აღარ იკვლევენ მტკიცებებს, არ ჰკითხავენ ყველა საჭირო მოწმეს, არ ადგენენ დამნაშავე პირთა მიერ მიყენებული ზარალის ხასიათსა და ოდენობას, იმ პირებს, თუ ორგანიზაციებს, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ სულით დაავადებულის ქცევის შესახებ და არ აცნობენ საქმის მისაღებად დაზარალებულებს. ამით კი უზეშად ირღვევა საქართველოს სსრ სსკ მე-18, 327-ე, 329-ე მუხლების მოთხოვნები. შეცდომად უნდა ჩაითვალოს საგამოძიებლის მოქმედება, როცა მას გამოაქვს რა დადგენილება შეურაცხადი პირისათვის სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების შესახებ, პროკურორის თანხმობით საქმეს სასამართლოში აგზავნის განსახილველად.

ოქტომბრის რაიონის პროკურატურის საგამოძიებელმა სს სისხლის სამართლის საქმეს-

² გლდანის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

³ «Бюллетень Верховного Суда СССР». 1984, № 3, с. 35.

თან დაკავშირებით მართალია მიიღო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, მაგრამ ისე გააგზავნა იგი სასამართლოში პროკურორთან შეთანხმებით, რომ არავითარი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებია, არ შეუსრულებია საქართველოს სსრ სსსკ 200-205 მუხლების მოთხოვნები⁴.

პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამოძიებულმა მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის 1986 წლის 31 იანვარს აღძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის I ნაწილით. მასალებიდან აშკარად ჩანდა, რომ მ-მ 1986 წლის 29 იანვარს ჩაიდინა ბოროტი ზღლიგნობა, სახალხოდ სცემა ნ-ს, შემდეგ კი წინააღმდეგობა გაუწია მილიციის მუშაკებს.

გამოძიებულმა 1986 წლის 31 იანვარს ექვემდებარებოდა დაკითხვა მ., დაპირისპირა იგი დაზარალებულთან, მაგრამ არ დაუკითხია მილიციის მუშაკები. 10 მაისს ექვემდებარებოდა დაკითხვა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც იგი ცნობილი იქნა შეურაცხადად. ყველაფერი იმგვარად წარმოებდა, რომ გამოძიებულს არ უმსჯელია მომხდარი ფაქტის საზოგადოებრივად საშიში ქმედობის კვალიფიკაციაზე, არ გაუცვინია დაზარალებულისათვის საქმის მასალები და რაიონის პროკურორის თანხმობით ამ მოქმედებათა ჩატარების გარეშე გადააგზავნა საქმე სასამართლოში⁵.

თუ განმარტდებოდა იმგვარად გაუუარესდა შეურაცხად პირს, რომ მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებებში, ამის შესახებ გამოძიებელი ადგენს შესაბამის ოქმს (საქართველოს სსრ სსსკ 327-ე მუხლი). ეს ფაქტი უნდა დაადასტუროს სასამართლო ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ ან სამკურნალო დაწესებულებამ.

გამოძიების დროს აუცილებელია დადგინდეს აგრეთვე ის გარემოებანი (მტკიცების საგანი), რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსსკ 59-ე და 327-ე მუხლებით.

პირის შეურაცხადობას ან სულიერად დაავადების ფაქტს ადგენს მხოლოდ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. იგი ინიშნება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ და მაშინ, თუ არსებობს რეალური მონაცემები პირის შეურაცხადობის ან მონაცემები იმის შესახებ, რომ იგი გამოძიების პროცესში დაავადდა სულიერად.

ასეთ დროს აუცილებელია პროკურორმა არსებული მასალების ერთობლიობაში გულდასმით, კრიტიკულად შეაფასოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან, თუ საჭიროდ მიიჩნევს, უფლება აქვს დაავალოს გამოძიებულს ჩაატაროს დამატებითი ან განმეორებითი ფსიქიატრიული ექსპერტიზა ან დაკითხოს ექსპერტი იმ გამოკვლევის შედეგებზე, რაც დასკვნაშია ფიქსირებული⁶.

ამ კატეგორიის საქმეებზე სავალდებულო ნორმად ითვლება დამცველის მონაწილეობა წინასწარი გამოძიების დროს (მუხლი 328). როგორც წესი, დამცველი დაიშვება იმ მომენტიდან, როდესაც დადგინდება პირის შეურაცხადობის ან სულიერი დაავადების ფაქტი⁷. ამ მომენტიდან დამცველი უფლებამოსილია გამოძიებლის ნებართვით გაეცნოს საქმის მასალებს, უკვე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა ოქმებს, შეხედოს პირს, ვისაც იგი იცავს, გააანალიზოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზისათვის გადასაწვევად დასმული შეკითხვები და თუ საჭიროდ ჩათვლის, ექსპერტიზას მისცეს დამატებითი კითხვები. აქვე დამცველმა აუცილებელია იცოდეს ისიც, შეუძლია თუ არა პირს, მონაწილეობდეს საგამოძიებო მოქმედებებში.

ერთი სიტყვით, დამცველის უფლება-მოვალეობანი ასეთ დროს მეტად ფართო, მრავალმხრივია და მას კანონი ითვალისწინებს, იგი გამომდინარეობს სამართალწარმოების საფუძვლებს 23-ე მუხლიდან.

შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირისგან დამცველზე უარის თქმა არ არის საფუძველი დამცველის განთავისუფლებისათვის. თუ სასამართლოში საქმის განხილვისას აღმოჩნდება, რომ ასეთი კატეგორიის საქმეზე წინასწარი გამოძიების დროს დამცველი არ იღებდა მონაწილეობას, საქმე დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

სამწუხაროდ, საგამოძიებო პრაქტიკაში ხშირად არის უგულებელყოფილი კანონის ეს

⁴ ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

⁵ პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს არქივი.

⁶ ასეთივე მუხლები აქვთ აგრეთვე რსფსრ-ს, ლატვიისა და ტჯიკეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებს.

სავალდებულო მოთხოვნა. გვაქვს მაგალითები, როდესაც ზოგიერთი რაიონის პროკურატურებმა და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების საგამოძიებო ქვეგანყოფილებებმა ისე დაამთავრეს ამ კატეგორიის საქმეები, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში ადვოკატებს მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ. ეს კი, ცხადია, არასათანადო საპროკურორო ზედამხედველობითაა გამოწვეული.

თუ წინასწარი გამოძიება წარმოებს რამდენიმე პირის მიმართ, რომელთა შორისაც ერთი შეურაცხადი ან დაავადდა სულიერად, მის მიმართ საქმე შეიძლება გამოიყოს ცალკე წარმოებად, თუ იგი გავლენას არ მოახდენს საქმის სრულყოფილ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოძიებაზე (მუხლი 23).

ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიების თავისებურებებიდან გამომდინარეობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი კითხვა: წინასწარმა გამოძიებამ ხომ არ უნდა გამოიტანოს დადგენილება შეურაცხადისათვის ბრალდების წარდგენის შესახებ? საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ საკითხზე არ არის ერთიანი აზრი. ასეთ საქმეზე ზოგჯერ საერთოდ არ გამოაქვთ დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ და შეურაცხადის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შეფასებულია მხოლოდ პირის მიმართ საქმის შეწყვეტისა და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შესაფარდებლად.

იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ შეურაცხადად ცნობილი პირი დანაშაულის სუბიექტარ არ ითვლება და არც მის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა დანაშაულად მიჩნეული, სრულიად შეუსაბამოა ასეთ დროს ბრალდების სახით პასუხისმგებაში მიცემის დადგენილების გამოტანა.

უფრო მეტიც, ასეთი დადგენილებით შეურაცხადი პირის მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის დანაშაულად ჩათვლა კანონით არ შეილება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მასალები შეურაცხადი პირის მიერ ჩადენილ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობაზე და მისი კვალიფიკაცია დადგენილებაში უნდა შეფასდეს მხოლოდ საქმის შეწყვეტისა და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების მიზნით სასამართლოში საქმის განსახილველად.

წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები ეცნობიან საქმის მასალებს. დამცველისათვის სავალდებულოა, რომ იგი ყველა შემთხვევაში გაეცნოს მთელ საქმეს. საქმის მასალებს გაეცნობა აგრეთვე, შეურაცხადი ან სულიერად დაავადებული პირი, თუ მისი ჯანმრთელობა იძლევა ამის შესაძლებლობას.

როდესაც ცხადი გახდება, რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირისათვის საჭიროა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, საქმე დადგენილებით იგზავნება სასამართლოში, სადაც აღნიშნული უნდა იყოს წინასწარი გამოძიებით შეკრებილი გარემოებები და საფუძვლები სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებისათვის.

როდესაც შეურაცხად პირთან დაკავშირებული საქმის წინასწარი გამოძიება დამთავრდება და არსებობს იმის საფუძველი, რომ გამოყენებული იყოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, ჩვენი აზრით, გამოძიებელმა საქმე წარმოებით უნდა შეწყვიტოს პირის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის მოტივით. ეს დადგენილება კი საფუძველი უნდა გახდეს შემდგომში საქმის სასამართლოში წასამართლავად სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების ან არ გამოყენების საკითხის გადაწყვეტისათვის.

იძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში სასამართლომ აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს ისიც, თუ რომელი სახის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსდეს ეს პირი.

შეკრებილი მასალების საფუძველზე დადგენილებაში მოცემული და გაანალიზებული უნდა იყოს, ერთი მხრივ, შეურაცხადი პირის მიერ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენისთან დაკავშირებული მტკიცებულებანი, ხოლო მეორეს მხრივ, მისთვის სამედიცინო ხასიათის იძულებითი მკურნალობის შეფარდების აუცილებლობის საკითხი. აქვე უნდა მოვიშველიოთ აგრეთვე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ის დასკვნა, რომელმაც დადგინა პირის:

1. სულიერი დაავადების ხასიათი;
2. შეეძლო თუ არა მას ანგარიში გაეწია ან ეხელმძღვანელა თავისი მოქმედებისათვის;
3. მომზადარი ქმედობის ხასიათი და ხარისხი;

4. იძულებითი მკურნალობისათვის მისი გაგზავნის აუცილებლობა.
იძულებითი მკურნალობის შეფარდებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, მოცემული უნდა იყოს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში.

თუ საქმე წინასწარ გამოძიებაში წყდება იმიტომ, რომ იძულებითი მკურნალობა გამოტოვებულია, გამოძიებელი დადგენილების საფუძველად იყენებს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნას. ასეთ დროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე განისაზღვრება პირის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, მისი ხარისხი და ის საკითხები, რის საფუძველზეც უნდა შედგეს დასკვნა.

დადგენილება საქმესთან ერთად გადაეცემა პროკურორს და თუ პროკურორი საქმის მასალების გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივა, რომ წინასწარი გამოძიება ჩატარებულია კანონიერად, სრულად და ობიექტურად იგი დადგენილებას და საქმეს აგზავნის სასამართლოში სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში პროკურორი უკან აბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, თავისი კონკრეტული წერილობითი მითითებით.

კანონით პროკურორს შეუძლია შეწყვიტოს საქმე წარმოებით იმ საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მეორე პუნქტით და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი ქმედობისა და ხასიათის, თავისი ფსიქიკური მდგომარეობის მიხედვით პირი, რომელმაც ეს ქმედობა ჩაიდინა, საზოგადოებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. პროკურორი წყვეტს სისხლის სამართლის საქმეს წარმოებით, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს საფუძველი სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად (მუხლი 329).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლში ნათქვამია, რომ საქმის სასამართლოში გაგზავნის შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს წინასწარი გამოძიების მიერ დადგენილი საქმის ყველა გარემოება და სასამართლოს მიერ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საფუძველები. ეს კი მას ნიშნავს, რომ დადგენილება დაემსგავსოს საბრალდებო დასკვნის შინაარსს.

აღბათ ამიტომაც, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის საფუძველზე პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვთ შეურაცხად პირთა მიერ ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის საქმეებზე შედგენილ დადგენილებას არ დაეთანხმონ და თვითონ შეადგინონ ახალი დადგენილება, თუ ამის საფუძველიანი მიზეზი ექნებათ, ასეთ დროს აუცილებელია ძველი დადგენილება უკან დაუბრუნდეს გამოძიებელს აღმოჩენილი შეცდომების მიუთითებით.

ფსიქიატრიული დასმარების სამართლებრივი და სამედიცინო ასპექტები

ირაკლი შაფაძემ,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და სამართლის საფუძველების კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
სმარგო სურგულაძემ,

საქართველოს სსრ მთავარი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „უცვლელ ამოცანად რჩება საბჭოთა კანონების მთელი ძალის გამოყენება დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ აღამიანები ყოველ დასახლებულ პუნქტში გრძნობდნენ სახელმწიფოს ზრუნვას მათი სიმ-

⁷ Н. Я. Якубович, Окончание предварительного расследования по делам, направленным в суд, стр. 99—101.

⁸ Т. А. Михайлова, Указанный труд, стр. 20.

შვიდისა და ხელშეუხებლობისათვის, დარწმუნებული იყვნენ, რომ ვერც ერთი სამართალდამრღვევი ვერ წაუგა საკადრის სასჯელს¹.

ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მოქალაქეთა აქტიურობის ზრდას სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის და ნებისმიერი ხასიათის სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში; მიმდინარე წლის 5 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბრძანებულებით დაამტკიცა ფსიქიატრიული დახმარების გაწევის პირობებისა და წესის დებულება².

ეს დებულება ძალაში შევიდა 1988 წლის 1 მარტიდან. ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში პირველად შეიქმნა საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოიცავს ფსიქიკურად დაავადებულ პირთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყველა მხარეს.

ეს ნორმატიული აქტი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის კანონმდებლობის საფუძველებისა და სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად განსაზღვრავს ფსიქიკური დაავადების მქონე პირებისათვის სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გაწევის, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის პირობებსა და წესს, აგრეთვე ფსიქიკურად ავადმყოფების საშიში მოქმედებისაგან საზოგადოების დაცვის ღონისძიებებს. ამასთან, ფსიქიატრიული დახმარების გაწევა ავადმყოფებისადმი უნდა ხდებოდეს დემოკრატიზმის, სოციალისტური კანონიერების, ჰუმანიზმისა და კეთილგანწყობის პრინციპების საფუძველზე.

მრავალი წლის განმავლობაში ფსიქიატრიული დახმარების სამართლებრივი მოწესრიგება ხდებოდა საუწყებო ნორმატიული აქტების მეშვეობით. ამჟამად მიღებულია ერთიანი უნიფიცირებული ნორმატიული აქტი, რაც იმაზე მეტყველებს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენი პარტია და მთავრობა ფსიქიატრიული დახმარების სათანადო რეგლამენტირებას, ამასთან, სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს, იძლევა შესაბამის იურიდიულ გარანტიებს, რაც გამორიცხავს ფსიქიატრიის ბოროტად გამოყენებას ცალკეული მოქალაქეების მიმართ. დებულება პირდაპირ მიუთითებს ასეთი გარანტიების შესახებ: სასამართლო დაცვა, ადვოკატის დახმარება, საპროკურორო ზედამხედველობა. წინასწარი შეცნობით ფსიქიკურად ჯანმრთელი პირის მოთავსებას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოჰყვება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად (მე-2 პუნქტი).

პირს, რომელიც არ ეთანხმება დასკვნას მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე მის ნათესაეებს ან კანონიერ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ ეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს მთავარ ფსიქიატრთან იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების დაქვემდებარების მიხედვით, რომლის ექიმებმაც დაადგინეს ფსიქიკური მოშლილობის დიაგნოზი. მთავარი ფსიქიატრი საჭიროებისამებრ ქმნის ფსიქიატრ ექიმთა კომისიას, რომელიც ამოწმებს პირს აღძრული შუამდგომლობის შესაბამისად და ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

¹ მ. ს. გორბაჩოვი. სკკპ ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 104.

² დაწერილებით იხ., „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1988 წ. № 2., მუხ. 19. (შემდგომში — დებულება).

ამასთან, დაუშვებელია, რომ კომისიაში შედიოდნენ ის ფსიქიატრი ექიმები, რომლებსაც მანამდე გაუსინჯავთ ეს პირი.

ამბულატორიული მკურნალობის დროს შეიძლება ექიმ-ფსიქიატრთა აზრით აუცილებელი გახდეს ავადმყოფის ჰოსპიტალიზაცია. ასეთ შემთხვევაშიც არის ავადმყოფის ინტერესების დაცვის გარანტია, კერძოდ, ავადმყოფს, მის ნათესავებს ან კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაასაჩივრონ კომისიის გადაწყვეტილება მთავარ ფსიქიატრთან. თუ გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია თვით მთავარმა ფსიქიატრმა მიიღო, საჩივარი ეგზავნება ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომი ორგანოს მთავარ ფსიქიატრს. პირველადი შემოწმების, ამბულატორიული და სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწვევის, მათ შორის საკუთარი თავისა და გარშემო მყოფთათვის უშუალო საფრთხის შემქმნელ ფსიქიკურად ავადმყოფთა გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის, სტაციონარულ ავადმყოფების მოვლა-შენახვის წესებს, მათს სამართლებრივ მდგომარეობას არეგულირებს საუწყებო ნორმატიული აქტები. ეს ნორმატიული მასალა შეიქმნევა ფსიქიატრიული დახმარების გაწვევის პირობებისა და წესის დებულებების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ. ეს ნორმატიული აქტები აუცილებლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

კანონმდებელი ითვალისწინებს სასამართლო დაცვის გარანტიასაც. დებულების 24-ე პუნქტში მითითებულია, რომ მთავარი ფსიქიატრის მოქმედება ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომ ორგანოს მთავარ ფსიქიატრთან, ხოლო შემდეგ სასამართლოში ან პირდაპირ სასამართლოში შეუძლია გაასაჩივროს პირს, რომლის მიმართაც ჩადენილია ეს მოქმედება, აგრეთვე მის წარმომადგენელს „მოქალაქეთა უფლებების შემზღუდავ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის³ შესაბამისად. ექიმ-ფსიქიატრთა მოქმედების გასაჩივრების წესი ჩვენი კანონმდებლობისათვის სიახლეა, სასამართლო ამ მიმართებით აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებით. სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს ახალი დოკუმენტები, სხვა ახალი ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებანი, ადგილობრივი ექიმებისაგან დამოუკიდებლად დანიშნოს შემოწმება. ამასთან, შემოწმების ჩატარებასთან დაკავშირებით სათანადო დახმარებისათვის მიმართონ ნებისმიერ უმაღლეს სამედიცინო ინსტანციას, თვით სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროს.

გაფართოვდა თვით დამცველის მონაწილეობის ინსტიტუტიც, დამცველი უფლებამოსილია არა მხოლოდ მიიღოს მონაწილეობა სასამართლო ორგანოებში საქმის განხილვისას, არამედ მას შეუძლია დაიცვას ავადმყოფის ინტერესები სხვა სიტუაციებშიც, პრაქტიკულად ნებისმიერ დაწესებულებასა და კონფლიქტურ სიტუაციაში. დისპანსერსა თუ კომისიაში ადვოკატის მონაწილეობა ფსიქიკურად დაავადებული პირის ინტერესების დასაცავად სრულიად არ ნიშნავს ავადმყოფის კანონიერ წარმომადგენელთა ინსტიტუტის გაუქმებას, პირიქით, ამ მიმართებით კიდევ უფრო გაფართოვდა თვით კანონიერ წარმომადგენელთა უფლებამოსილებაც. როგორც ცნობილია, არაქმედუნარიან მოქალაქეთა, აგრეთვე სრული ქმედუნარიანობის არმქონე მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები. მე-

³ „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1987, № 2.

ურვეები და მზრუნველები, რომლებიც წარუდგენენ სასამართლოს ან შესაბამის ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებას თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

თავისებურებით ხასიათდება საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელება: დებულება ხაზს უსვამს პროკურორის ამ ვალდებულებაზე ფსიქიკურად დაავადებული პირების მიმართ. აუცილებელია, რომ პროკურორი ობიექტიურად რეაგირებდეს ნებისმიერ სამართალდარღვევაზე, თვით უმნიშვნელო გადაცდომაზეც კი, რაც ფსიქიატრთა პასუხისმგებლობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ავადმყოფის დაცვის გარანტიის ერთი გარემოებაც; თუმცა არა იურიდიული ხასიათის. ავადმყოფის, მისი ნათესავების თუ კანონიერი წარმომადგენლების შუამდგომლობით შემმოწმებელი კომისიის შემადგენლობაში შეპყავთ შესაბამისი ადგილის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების დაწესებულებებში მომუშავე ნებისმიერი ექიმი-ფსიქიატრი.

კანონმდებელი დაუშვებლად მიიჩნევს იმის შესაძლებლობას, რომ პირს ჩამოერთვას უფლებები ან შეეზღუდოს კანონიერი ინტერესები მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ იგი ფსიქიატრიული მეთვალყურეობის ქვეშ ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (განყოფილებაში) იმყოფება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ხარისხით არის განვითარებული ასეთ პიროვნებაში ფსიქიატრიული მოშლილობა.

მომავალში, როდესაც დებულების პრაქტიკაში რეალიზაციით დაგროვდება გამოცდილება, უდაოა ის გარემოება, რომ ზოგიერთი ნორმა კიდევ უფრო გამოიკვეთება, დაიხვეწება, მოხდება ახალი ნორმების შეტანა, ან დეკლარაციული ხასიათის ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება და დებულება გახდება რეალურად მოქმედი პოზიტიური საკანონმდებლო ნორმების ერთობლიობა.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია ფსიქიკურად დაავადებულთა იძულებითი მკურნალობის საქმეში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლში (საკავშირო სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად) მითითებულია 3 ტიპის საავადმყოფო, სადაც ჩაუტარდებათ მკურნალობა ფსიქიკურ ავადმყოფებს, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედებანი. მკაცრი მეთვალყურეობის, გაძლიერებული მეთვალყურეობის და საერთო მეთვალყურეობის სამივე ტიპის საავადმყოფო ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში უნდა იყოს, იძულებითი მკურნალობის სახის შეცვლა ან მოხსნა მოხდება სახალხო სასამართლოში საექიმო კომისიის დასკვნისა და მთავარი ფსიქიატრის წარდგინების განხილვის შემდეგ.

ზოგ შემთხვევებში, როდესაც საექსპერტო კომისიის დასკვნით ავადმყოფის მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გამოყენება არ არის აუცილებელი, სასამართლოს შეუძლია ავადმყოფი მზრუნველობის ქვეშ გადასცეს ნათესავებს და მეურვეებს; აუცილებელი საექიმო დაკვირვების გაგრძელებით. ჯანდაცვის ორგანოები კი, ფსიქიკური მდგომარეობის მიხედვით, ავადმყოფს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ათავსებენ ან მკურნალობენ ფსიქონევროლოგიური დისპანსერის პირობებში.

საქართველოს სსრ სსკ-ში ცვლილებების შეტანასთან ერთად, 62-ე მუხლი, სადაც მითითებულია აღნიშნული წესის შესახებ, ამოღებულ იქნა. ამავე დროს, საქართველოს სსრ სსსკ 333-ე მუხლში ლაპარაკია სწორედ ასეთ შემ-

თხვევებზე — „სასამართლო... გამოიტანს განჩინებას საქმის შეწყვეტისა და იმის შესახებ, რომ არ იქნეს გამოყენებული ასეთი (იძულებითი) ღონისძიება“. ახალი დებულების შესაბამისად მიღებული იძულებითი და სხვა სახის სამედიცინო ღონისძიებების შესახებ ინსტრუქციაში ასევე გათვალისწინებულია შეურაცხად ან საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის შემდეგ დაავადებულთა არაიძულებითი ხასიათის სამედიცინო ღონისძიებათა ჩატარება. ვფიქრობთ, ყოველივე ეს მოითხოვს გარკვეულ კორექტირებას ჩვენს საკანონმდებლო აქტებში, რათა თავიდან ავიცილოთ შეუთანხმებლობა სახალხო სასამართლოებსა და სასამართლო ფსიქიატრებს შორის.

მკვეთრად გამოიკვეთა თვით ექიმ-ფსიქიატრთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ შეიმუშავა და მიიღო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ექიმ-ფსიქიატრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას წინასწარი შეცნობით ფსიქიკურად ჯანმრთელი პირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსების შესახებ (დაწვრილებით იხ. მაგალითად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხ.). ამ დანაშაულის ჩადენისათვის გათვალისწინებულია სანქცია თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოები იმავე ვადით, შემდგომში გარკვეული ვადით თანამდებობის დაკავების აკრძალვა (სამ წლამდე) ან უამისოდ.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ავადმყოფს ფსიქიატრიული დახმარება, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღმოვუჩინოთ ნებაყოფლობის საფუძველზე. პირველადი ფსიქიატრიული შემოწმება მხოლოდ და მხოლოდ ექიმ-ფსიქიატრის კომპეტენციაა და იგი ტარდება შესამოწმებელი პირის თანხმობით, ხოლო თექვსმეტ წლამდე პირისა — მისი მშობლების, მეურვეების ან მზრუნველების თანხმობით, თუ შეუძლებელია პირის ფსიქიკური მდგომარეობის საკითხის გადაწყვეტა ამბულატორიულ პირობებში, ასეთი შემოწმება ეწყობა ფსიქიატრიული საავადმყოფოს (განყოფილების) პირობებში. სიახლეა ის, რომ ფსიქიატრი, რომელიც ახორციელებს პირველადს შემოწმებას, ყველა შემთხვევაში ვალდებულია შესამოწმებელ პირს ოფიციალურად წარუდგინოს თავი, როგორც სპეციალისტი ფსიქიატრი.

იმისათვის, რომ პირს ჩაუტარდეს პირველადი ფსიქიატრიული შემოწმება, აუცილებელია „პირი წარმოადგენდეს საშიშროებას საკუთარი თავის და გარეშე პირების მიმართ“ და უნდა იყოს „საკმაო საფუძველი, რათა ვივარაუდოთ, რომ პირი დაავადებულია სულიერი ანუ ფსიქიკური სენით“. როგორც წესი, ასეთი პირი არღვევს საზოგადოებრივ მართლწესრიგს ან სოციალისტური ერთად ცხოვრების წესს. პირველი ნიშანთვისება შედარებით აშკარად არის ხოლმე გამოხატული. პირი საფრთხეში აღგებს საკუთარ თავს, ან თავის სიცოცხლეს, ცივი იარაღით, ან ცეცხლსასროლი იარაღით ემუქრება საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს. ამ შემთხვევაში ფსიქიატრიულ სამკურნალო დაწესებულებას სათანადო ინფორმაცია მისდის ავადმყოფი პირის ოჯახის წევრების, მისი კოლეგების (სამსახურის მხრივ), მეზობლების, ან შესაბამისი რაიონის მილიციის ქვეგანყოფილების მუშაკებისაგან. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ავადმყოფობაში ეჭვმიტანილი პირის ფსიქიატრიული შემოწმების აუცილებლობის საკითხს წყვეტს მხოლოდ ექიმი-ფსიქიატრი.

ექიმი-ფსიქიატრი ვალდებულია გულდასმით შეისწავლოს და გაანალიზოს პირის მიერ ჩადენილი ქმედობა, გაეცნოს სათანადო დოკუმენტაციას, ფაქტებს, დარწმუნდეს, რომ ჩადენილი ქმედობა არალოგიკურია და მხოლოდ ამის

შემდგომ გამონახოს ყოველგვარი ხერხი, რათა შეამოწმოს სულეერ ავადმყოფობაში ექვმიტანილი პირი. ექიმმა-ფსიქიატრმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება პირის ჰოსპიტალიზაციის შესახებ მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში, როდესაც გამოსაკვლევი პირი ნამდვილად საფრთხის მატარებელია როგორც საკუთარი თავისათვის, ასევე გარეშე პირებისათვის. ექიმმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაარწმუნოს პაციენტი, რომ მისთვის უკეთესია, თუ მას მოთავსებენ სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში. თუ პირი ამას ვერ მიღწევს, მაგრამ საფრთხეს უქმნის თავის საკუთარ ჯანმრთელობას, ან გარეშე მყოფთ, მაშინ ასეთი პირი მისი თანხმობის გარეშე შეიძლება მოთავსდეს სამკურნალო დაწესებულებაში ე. წ. გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის წესით. აღნიშნული ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია შემუშავებულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ. მასში მითითებულია ყველა ის ავადმყოფური მდგომარეობა, რაც ანტისაზოგადოებრივი ქმედობის ჩადენის პოტენციურ საშიშროებას ქმნის. ამასთან, ეს ნორმატიული აქტი შეთანხმებულია სსრ კავშირის პროკურატურასთან, საკავშირო შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან.

სამედიცინო ასპექტით სიახლეა ის, რომ რესპუბლიკებში, ოლქებში და იმ ქალაქებში, რომლის მოსახლეობა ნახევარ მილიონს აღემატება — შემოღებულია მთავარი ფსიქიატრის თანამდებობა.

დებულება ითვალისწინებს კიდევ ერთ სიახლეს, კერძოდ, ფსიქიკურად დაავადებულ პირთა სოციალური მზრუნველობა დაეკისრათ სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასკომებს. დებულების მე-7 პუნქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ: „სახალხო დებუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უნდა ზრუნავდნენ ფსიქიკურად დაავადებული პირებისათვის, იცავდნენ მათს უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ახორციელებდნენ ღონისძიებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთი პირების ჩაბმისათვის; უზრუნველყოფდნენ შრომისუნარიანი პირების შრომით მოწყობას საწარმოებსა და ორგანიზაციებში მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; კანონით დადგენილი წესით უნიშნავდნენ მეურვეებს (კანონიერ წარმომადგენლებს), რომლებსაც ეს სჭირდებათ; ხელს უწყობდნენ ასეთი პირების საბინაო პირობების გაუმჯობესებას; ახორციელებდნენ სხვა ღონისძიებებს სხვა სოციალური დახმარების გასაწევად“. ყველაზე მთავარია, რომ ფსიქიკურად დაავადებული პირებისადმი ზრუნვა საბჭოების უფლება კი არ არის, არმედ მოვალეობა.

საინტერესო ექსპერიმენტი მიმდინარეობს 1988 წლის 1 იანვრიდან მოსკოვში, ლენინგრადში, ლატვიის სსრ, ივანოვოს ოლქში და ალტაის მხარეში, რაც ითვალისწინებს აღრიცხვაზე აყვანის წესის შეცვლას და ავადმყოფებზე დისპანსერული მეთვალყურეობის განხორციელების თავისებურების დაზუსტებას. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: მრავალი პირი, რომლებსაც აღენიშნებათ გარკვეული ფსიქიკური ანომალიები და რომლებიც ადრე აუცილებლად საჭიროებდნენ დისპანსერულ აღრიცხვასა და მეთვალყურეობას, ამიერიდან მათი მდგომარეობის შესაბამისად, მოხსნილი იქნებიან ასეთი აღრიცხვიდან. ავადმყოფი მხოლოდ ნებაყოფლობით მიმართავს ექიმს სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. ბუნებრივია, ეს წესი არ გავრცელდება იმ პირებზე, რომლებიც თავისი დაავადების გამო საშიშროებას უქმნიან პირადად თავის, ან სხვა პირთა სიცოცხლეს. ექსპერიმენტი გავრცელდება ორ წელიწადს, მიღებუ-



ლი შედეგები კრიტიკულად გაანალიზდება და ასეთი წესი შეიძლება საყოველთაოდ დაინერგოს.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში არსებითად შეიცვალა მოსახლეობისათვის ფსიქიატრიული დახმარების წესი, კერძოდ, გამოიყო დამოუკიდებელი სამსახური მოსახლეობისათვის ნარკოლოგიური დახმარების აღმოჩენისათვის. ამბულატორიულ პირობებში დღეისათვის ავადმყოფებს უტარდებათ ინტენსიური კომპლექსური თერაპია, შეიცვალა თვით ფსიქიატრიული დახმარების წესებიც, ბუნებრივია, ეს ნორმატიული მასალა არ იქნება თავისუფალი ხარვეზებისაგან და დროის გასვლასთან ერთად შემდგომ დაზუსტებას და გადამუშავებას მოითხოვს. მთავარი კი ის არის, რომ ახლა, როცა არსებითად რევოლუციური ძვრები ხდება ჩვენს საზოგადოებაში, სათანადო ყურადღება მიექცა ფსიქიატრიული დახმარების გაწევის პირობებსა და წესებს.

ნ.ბ.
ნ.ბ.
ი.ბ.
ნ.ი.
ა.ფ.

ვუზრუნდებით დაგაჭდობს

**ისმვ საცხოვრებელი სადგომების
გაცვლის შესახებ**

ლამარა ჩორბოლაშვილი,

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

გარდაქმნა, რომელმაც მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა, ახალი სამართლებრივი ნორმების შემუშავებასაც გულისხმობს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის ცვლილებები, რომლებიც საცხოვრებელი სადგომების გაცვლის ზოგიერთმა საკითხმა განიცადა და რაც თვითონ ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში.

საბინაო მშენებლობის ინტენსიურმა განვითარებამ და მოსახლეობის იზოლირებული ბინებით უზრუნველყოფამ, სამწუხაროდ, ისეთი დავების ზრდა გამოიწვია, რაც დაკავშირებულია ოჯახის წევრთა შორის წარმოშობილ უთანხმოებასთან. ხშირია შემთხვევა, როდესაც ოჯახის ბუნებრივ ზრდას (დაქორწინება, განქორწინება და ა. შ.) ბინის გაყოფა, ანუ ერთიანი ბინის დანაწილება მოჰყვება ხოლმე, პრეტენზიები უჩნდებათ აგრეთვე სრულწლოვანებას მიღწეულ რიგით წევრებს, რომლებსაც ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, განსხვავებული სურვილები და მოთხოვნილებები აქვთ. როგორც წესი, ასეთ დროს ერთიან ოჯახში ჯერ ბზარი ჩნდება, ხოლო თუ ამ ამბავს განქორწინებაც დაერთო, ოჯახის წევრებად შემოსულ რძალს ან სიძეს, ცალკე საცხოვრებელი ფართობი გამოეყოფათ და აქამდე იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი უცბად რამოდენიმე ოჯახის საერთო სარგებლობის ბინად იქცევა და კომუნალური ხდება. თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კომუნალურ ბინად გადაქცევა ოჯახის ყოფილ წევრებს შორის წარმოშობილი

მწვავე კონფლიქტით მიმდინარეობს, ცხადი გახდება, რომ საჭიროა ამ დავათა მოსაგვარებლად გვექონდეს მართლაც მოქნილი სამართლებრივი ნორმა. ამჟამად, საბჭოთა კავშირში მოქმედებს ერთიანი პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, თუ ერთიანი ბინა ცალკე ქირავნობის ხელშეკრულებებით დაიყო, ერთ-ერთ დაშლილ ნაწილს უფლება არა აქვს მოითხოვოს იძულებითი გაცვლა მთლიანი ბინის დაშლით. ასეთი გაცვლის აკრძალვას იმით ასაბუთებენ, რომ ერთიანი ბინიდან გამოყოფილი ცალკე ოთახის დაშლილ ნაწილს უფლება აქვს გაცვალოს თავისი ოთახი ბინის სხვა ნაწილის გაცვლის გარეშე. თუმცა, საერთო ბინაში შემსვლელი გამცვლელის მონახვა ასეთ დროს თითქმის შეუძლებელია და ამიტომ ეს უფლება სინამდვილეში განუხორციელებელი რჩება.

ამ მოსაზრების თანახმად, ბინის იძულებითი გაცვლა დაიშვება მხოლოდ იმ პირობებში, რომლებსაც იგი დაკავებული აქვთ ერთიანი ხელშეკრულების საფუძველზე. პრაქტიკაში წამოიჭრა ასეთი საკითხი: თუ ბინა ჯერ არ არის ოჯახის წევრებს შორის გაყოფილი, მაგრამ იგი შესაძლებელია გაიყოს ახალი ქირავნობის ხელშეკრულებების დადებით ან განიხილება ოჯახის ერთ-ერთი წევრის სარჩელი საცხოვრებელი ფართობის გაყოფის შესახებ და დანარჩენი წევრები შეგებებული სარჩელით მოითხოვენ იძულებით გაცვლას, ვალდებულია თუ არა სასამართლო განიხილოს და გადაწყვიტოს საცხოვრებელი ბინის დაშლის საკითხი? ვფიქრობთ, ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა¹ ერთ-ერთი კონკრეტული საქმის განხილვის დროს განმარტა, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლის და ამ სადგომის იძულებითი გაცვლის სარჩელები ურთიერთ შეგებებულია, რადგან შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლი). ამავ საფუძველით შესაძლებელია იძულებითი წესით გაცვალოს ბინა, რომელიც, მართალია, გაყოფილი არ არის, მაგრამ არსებობს მისი შესაძლებლობა.

ბინის გაყოფის თაობაზე სარჩელის განხილვისას სასამართლომ აუცილებლად უნდა განუმარტოს მხარეებს თავიანთი უფლება-მოვალეობანი. თუ ოჯახის ყოფილი წევრი (უმეტეს შემთხვევაში რძალი) გამოიყოფს ცალკე ოთახს, ფაქტიურად მას აღარ აქვს გაცვლის უფლება, თუმცა ნათელი ხდება, რომ გაყოფა სწორედ ბინის გაცვლის მიზნით მოითხოვა. ამიტომ საჭიროა მხარეთათვის ცნობილი გახდეს, როგორც საცხოვრებელი სადგომის გაყოფის შედეგი, ისე იძულებითი გაცვლის მიზნით დაწერილი შეგებებული სარჩელით მიმართვის უფლება.

1988 წლის 3 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მეტად საინტერესო დადგენილება მიიღო განქორწინებულ მეუღლეთა შორის გაყოფილი კოოპერატიული ბინის გაცვლის შესახებ. ამ დადგენილების მექანიზმზე პუნქტი ასეთი გაცვლის შესაძლებლობას უშეგებს მხოლოდ იმ დროს, როდესაც მთელი ბინა იცვლება.

¹ Бюллетень Верховного Суда СССР, № 1, 1984, ст. 16—17.

ოჯახის ყოფილ წევრთა ერთად ცხოვრების შეუძლებლობის შემთხვევაში წარმოშობილი უთანხმოებების მოსაგვარებლად, აგრეთვე, ცალკე იზოლირებული ბინის კომუნალურად გადაქცევის ხელოვნური მიზეზების შექმნის თავიდან აცილებისათვის, სასამართლო პრაქტიკა დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ანალოგიური წესი შემოღებული იყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის ბინებზე, როდესაც შესაძლებელი გახდება ოჯახის ყოფილ წევრებს შორის დაყოფილი ერთიანი ბინის იძულებით გაცვლა.

აქ განმეორებით უნდა შეგვხვო პირადი საკუთრების სახლებში დამქირავებელთა მიერ საცხოვრებელი სადგომის გაცვლის საკითხს, რაზედაც ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ გასული წლის მეექვსე ნომერში ჩემი წერილი დაისტამბა. საქმე იმაშია, რომ მაშინ არასწორად განვმარტეთ გაცვლაზე მესაკუთრის უარის გასაჩივრების წესი. მოქმედ კანონმდებლობაში შენარჩუნებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ადრინდელი ნორმა, რომ მესაკუთრის უარი გაცვლაზე სასამართლო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება და მაშასადამე, იგი სასამართლოს განხილვის საგანი არ შეიძლება გახდეს. შეცდომა გამოიწვია საბინაო კოდექსის ახლებურმა სისტემატიზაციამ, იმან რომ თუ წინათ ბინის გაცვლასთან დაკავშირებული ყველა ნორმა ერთად იყო თავმოყრილი, ახლა იგი გაბნეულია საბინაო ფონდების მიხედვით განლაგებულ თავებში. რა თქმა უნდა, ეს გარემოება არ მამართლებს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მას არავითარი უხერხულობა არ გამოუწვევია. როგორც ჩემთვის ცნობილია, პირადი საკუთრების სახლში დამქირავებელთა მიერ საცხოვრებელი სადგომის გაცვლის საკითხით პრაქტიკულად არავინ დაინტერესებულა. უფრო მეტიც, რამდენადაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლებმა არ გაითვალისწინა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფონდის, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ბინების გაცვლა პირადი საკუთრების სახლში მცხოვრებ დამქირავებლებთან, მისი შემოღების შემდეგ საერთოდ შეწყდა ამ სახლებში ბინების გაცვლის შემთხვევები. მართლაც, არც გაცვლის ბიუროში და არც სასამართლოებში (როდესაც ოჯახის წევრი, მეზობელი ან სხვა ვინმე გაცვლის წინააღმდეგია) დღემდე ჯერ არ მიუმართავთ მოქალაქეებს ასეთი მოთხოვნით. საქმეთა განხილვის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ პირადი საკუთრების სახლში საცხოვრებელი სადგომის გაცვლა უმრავლეს შემთხვევაში სახელმწიფო, საზოგადოებრივი ფონდის ან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის ბინების დაუფლების შენიღბულ ფორმად იყო ხოლმე გამოყენებული.

მაგრამ იბადება კითხვა: თუ მაინც წამოიჭრება პირადი საკუთრების სახლებში მცხოვრებ დამქირავებელთაგან ბინის გაცვლის საკითხი, რომელმა ორგანომ უნდა განიხილოს იგი, დართოს ნება და სანქცია მისცეს რათა მხარეებმა დაიკავონ გაცვლილი სადგომი და ჩაეწერონ? გაცვლის ორგანოები ყოყმანობენ იმაზე, რომ თვითონ განიხილონ და გაცვლის ორდერები გასცენ საცხოვრებელი სადგომის დაკავებაზე პირადი საკუთრების სახლებში, რაც ჩვენის აზრით მთლად უსაფუძვლო არ არის. ალბათ, არც ის უნდა იყოს სწორად მიჩნეული, რომ პირადი საკუთრების სახლებში დამქირავებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის გაცვლა სანოტარო წესით გაფორმდეს. სანოტარო მოქმედებათა ინსტრუქცია ითვალისწინებს პირადი საკუთრების სახლებსა და

ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მრავალბინიან სახლებში გაცვლილობის (და არა გაცვლის) გარიგების დამოწმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ გარიგების მონაწილეა მესაკუთრე და არა დამქირავებელი, ე. ი. როდესაც იცვლება პირადი საკუთრების ობიექტი.

როგორც ცნობილია, გაცვლის უფლება დამქირავებლის სამოქალაქო უფლებაა (პირადი საკუთრების სახლებში ეს უფლება მესაკუთრის ნებითაა შეზღუდული), რომელიც ქირაგნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. ასეთი გაცვლა გაითვალისწინა საქართველოს სსრ საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესებმა და უფრო დასაშვებად მიმაჩნია გაცვლა პირადი საკუთრების სახლებში დამქირავებლებს შორის განიხილოს გაცვლის ბიურომ. ეს მოქმედება არ უნდა დარჩეს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების კონტროლის გარეშე. მითუმეტეს მაშინ, როდესაც ამ წესით გაცვლა ხდება სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

თბილისის მოსახლეობის მექანიკური ზრდის შეზღუდვის, შრომითი რესურსების განაწილებისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1987 წლის 10 თებერვლის დადგენილებით მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანეს გაცვლის წესებში. ამ დადგენილების თანახმად, სხვა ქალაქებიდან ბინების გაცვლისას საცხოვრებელი ფართობი ქალაქ თბილისში უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ საბინაო კოდექსით დაწესებულ სანიტარულ ნორმას. ამ კოდექსის 48-ე მუხლით კი საცხოვრებელი ფართობის ნორმად დადგენილია ერთ სულზე თორმეტი კვადრატული მეტრი. სხვა ნორმა საბინაო კოდექსით დადგენილი არ არის და მოსაზრება, რომ ვითომ უნდა ვიხელმძღვანელოთ საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესებით დაწესებული მისაცემი ნორმით (ცხრიდან თორმეტ კვადრატულ მეტრამდე), ეწინააღმდეგება 10 თებერვლის დადგენილებას, რომელიც საბინაო კოდექსით დაწესებულ ნორმას მოითხოვს.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ დადგენილების აზრი და შინაარსი ბოლომდე ვერ გაიგო ყველა სახალხო სასამართლომ. იყო შემთხვევები, როდესაც გაცვლის ნებართვის საკითხი თბილისში ჩამოსული მოქალაქეებისათვის ისე გადაწყდა, რომ კანონით დადგენილი საცხოვრებელი ფართობის ნორმა არავის გაუთვალისწინებია.

წინა წერილშიც აღვნიშნე და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ საქართველოს სსრ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდება (32-ე პუნქტი) შემოიღო სიახლე, რომელიც ეწინააღმდეგებოდა სსრ კავშირში მაშინ მოქმედ წესს. ამ სიახლით, თუ კოოპერატივის საერთო კრება უარს ეტყვის გამცვლელ პირს კოოპერატივის წევრად მიღებაზე, ეს უარი სასამართლო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1988 წლის 3 თებერვლის პლენუმმა, ჩვენი რესპუბლიკის ეს სიახლე, რომელიც მანამდე სადავოდ ითვლებოდა, სამოქმედოდ შემოიღო ქვეყნის მასშტაბით.

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მეტად სასიამოვნოა.



სისხლის სამართლის სამქებროს 70 წლისთავი

70 წელი შეუსრულდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამქებრო სამსახურს, რომელიც თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე წარმატებით წყვეტს დამნაშავეობასთან ბრძოლის რთულ ამოცანებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან ორი თვის შემდეგ, მუშათა და გლეხთა მილიციის შექმნის დეკრეტის მიღებით ჩაყარა საფუძველი სისხლის სამართლის სამქებროს ფორმირებას. მის უპირველეს მოვალეობას შეადგენდა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესრიგის საიმელო დაცვა, დამსხობილი ექსპლუატატორული კლასების ბაზაზე აღმოცენებული ბანდიტური ჯგუფების, მაწანწალების, მძარცველების, და სხვადასხვა ჯურის ანტიზოგადოებრივი ელემენტების გაუვნებელყოფა და კანონის შესაბამისად მათი დასჯა.

სამოქალაქო ომის დამთავრების და იმპერიული სისხლის სამართლის ინტერვენციის მოგერიების შემდგომ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სახალხო მეურნეობის აღდგენის ხელისშემშლელ ელემენტებთან, ტროლისტებთან, სახალხო დოვლათის გამანადგურებელთან ბრძოლის გააქტიურებას. ამ პერიოდში სისხლის სამართლის სამქებროს მუშაკებს მძიმე საბრძოლო ამოცანების შესრულება მოუხდათ, ხოლო ზოგიერთმა საკუთარი სიცოცხლეც კი გაწირა. მაღლიერებით ვიხსენებთ ამ სახელგანთ სამსახურის პირველ ხელმძღვანელს კონსტანტინე მეღვინეთუხუცესს, ვაჟკაცობისა და მაღალი პროფესიონალური ოსტატობის სამაგალითო თანამშრომლებს კაპიტონ ნაჭყებიას, ალიოშა ჯაფარიძეს, მიხეილ ღვედაშვილს და სხვებს.

დიდი სამამულო ომის და მის შემდეგდროინდელ წლებში სისხლის სამართლის სამქებროს მუშაკები აქტიურად მუშაობდნენ სამხედრო და შრომის დეფერტირების, მოთარეუების, პროვოკაციული ჯორების გამავრცელებელთა წინააღმდეგ, ბევრი მათგანი უმუშაოდ იბრძოდა ფრონტის მოწინავე პოზიციებზე.

ომის დამთავრების შემდეგ განსაკუთრებით გართულდა შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფების გაუვნებელყოფა, რომელთა თარეში და სისასტიკე მასიურ ზასიათს იღებდა რესპუბლიკის მთაგორიან რაიონებში. ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის გენერალ-მაიორ ვარლამ შადურს, რომლის ხელმძღვანელობითაც სისხლის სამართლის სამქებროს ბევრმა მუშაკმა ისახელა თავი.

სისხლის სამართლის სამქებროს ბევრმა მუშაკმა ისახელა თავი.

საბჭოთა ხელისუფლების მტრების, შეიარაღებული ბანდიტების, მძარცველების და სხვა ანტიზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ დაუღწეველ ბრძოლაში იწრობოდა სისხლის სამართლის სამქებრო სამსახური, მისი მუშაკების მებრძოლი სული და შემართება. ეს სამსახური შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში დღეს წარმოადგენს ტექნიკურად აღჭურვილ, მაღალი პროფესიონალიზმის მქონე ადამიანებით დაკომპლექტებულ კოლექტივს.

სისხლის სამართლის სამქებროს საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებაა დანაშაულის პროფილაქტიკა და ფარული დანაშაულის დროული განსნა. მართლაც, ამ მიზნით ჩატარებულმა რეგიონალურ-პროფილაქტიკური ღონისძიებების სისტემაში დადებითი გავლენა მოახდინა რესპუბლიკის საერთო ოპერატიული ვითარების გაუმჯობესებაც.

სკკ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, რადიკალურად უნდა გარდაიქმნას სისხლის სამართლის სამქებრო სამსახურის მუშაობის სტილი და ფორმები. სიახლე ყველა უბანზე იგრძნობა და ინვეწება კადრების პროფესიონალური ოსტატობის ამაღლების პროცესში. მათ შორის აღსანიშნავია მილიციის ოფიცრის თანამდებობაზე ექიმნარკოლოგის დანიშვნა, მოძრავი ბიოლოგიური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის აღჭურვა, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ნარკოლოგიური კაბინეტების შექმნა, ქ. ქუთაისში რეგიონალური სპეციალური ოპერატიულ-სამქებრო ჯგუფის ჩამოყალიბება, ქ. მოსკოვში გასტროლოგიური დამნაშავეების წინააღმდეგ მებრძოლი ქვედანაყოფის ფუნქციონირება და სხვა.

საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიაციისა და საჯაროობის გაფართოების შესაბამისად უმჯობესდება აგრეთვე კონტაქტები შრომით კოლექტივებთან, ტელევიზიის, რადიოს და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან.

საიუბილეო დღეებში მოეწყო სისხლის სამართლის სამქებროს მუშაკთა შესვენარა რუსთავის მეტალურგიული და ქ. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნების შრომით კოლექტივებთან, გულთბილი საუბრები ჩატარდა აგრეთვე ამ სამსახურის ვეტერანებთან, საქა-



როველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ საიუბილეო წახალისებები და ჭილღოები გადახცა რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებროს წარჩინებულ თანამშრომლებს.

განსაკუთრებული სიყვარულითა და მოწიწებით იყო გარემოსილი ის შეხვედრები, რომლებიც მოეწყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ თანამშრომელთა ოჯახის წევრებთან. მეგობრებმა და კოლეგებმა თბილად გაიხსენეს გმირულად დაცემული მუშაკები, მათთან გატარებული დღეები.

ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა დიდი საიუბილეო საღამო, სადაც მისალოცი სიტყვები წარმოთქვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სისხლის სამართლის სამძებროს ხელმძღვანელმა მუშაკებმა, მიწინავე თანამშრომლებმა, ვეტერანებმა, მწერლებმა, სტუდენტებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

საღამოს უამრავი ხალხი დაესწრო და იგი იმ დიდი სიყვარულის, ყურადღებისა და პატივისცემის აღიარებად იქცა, რომლითაც სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკები არიან გარემოსილნი.



საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიაზე

ამასწინათ, ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის გაფართოებულ კოლეგია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქების, რაიონებისა და ტრანსპორტის პროკურორების მონაწილეობით. კოლეგიამ განიხილა საკითხი: „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად პროკურატურის ორგანოების ამოცანები XIX საუკუნის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

მოსვენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ვ. რაჭმაძე, აზრი გამოთქვეს პროკურორებმა: ამიერკავკასიის ტრანსპორტის — რ. ყიფიანმა, ქ. თბილისის — თ. ტულუშმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის — ა. კოჩიევმა, კასპის რაიონის — ლ. ქუთათელაძემ, ხელვაჩაურის რაიონის — დ. დავითაძემ, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის თანაშემწემ — მ. ვაუენინმა, საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსმა — ზ. კვიციანიამ, განყოფილების უფროსმა — ა. ბალუაშვილმა, ქ. სოხუმის პროკურორის მოადგილემ — ი. სანაიამ.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოები მიმდინარე წელს კიდევ უფრო აქტიურად ახორციელებდნენ ღონისძიებებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, სახელმწიფოებრივი ცნობების დემოკრატიული პრინციპების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ახალ რეჟიმზე გადასვლის მიზნით პროკურატურის საქმიანობის ძირეულად გარდასაქმნელად.

განისაზღვრა საპროკურორო ზედამხედველო-

ბის ძირითადი მიმართულებები, კანონების შესრულებაზე ქმედითი კონტროლის განხორციელების ღონისძიებები, უფრო მეტია ორგანიზებულობა, მიზანსწრაფულობა, ამოცანების გადაწყვეტისადმი, გარდაქმნის ოპტიმალური გზების ძიებისადმი შემოქმედებითი მიდგომა; სულ უფრო მეტად მკვიდრდება კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომა.

პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში აქტიურად არის რეალიზებული საჯაროობის პრინციპი. მთელი მონდომება მიმართული იყო მასების ჩასაბმელად კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემების გადაწყვეტაში. ამ მიზნით გამოიყენებოდა მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება.

რესპუბლიკის პროკურატურის მიერ განხორციელებული მრავალი ღონისძიება მიიწონა სსრ კავშირის პროკურატურამ. მათ შორის, არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პროფილაქტიკის პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა, ბუნების დაცვის, საბინაო, შრომისა და ზოგიერთი სხვა კანონმდებლობის დაცვისათვის გაწეული საქმიანობა გავრცელდა დადებითი გამოცდილების სახით. გააქტიურდა ზედამხედველობა კანონიერების დაცვაზე ეკონომიკის სფეროში.

მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, მდგომარეობა კვლავ რთულია: მაღალია დამნაშავეობის დონე, ზოლო ისეთი სახის მძიმე დანაშაულებებს, როგორცაა: განზრახ სხეულის მძიმე დაზიანება, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ქონების ქურდობა, ძარცვა

და ყაჩაღობა — აქვთ ზრდის ტენდენცია.

სახალხო მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს დატაცებები; უყარათობა, მიწერები, უხარისხო პროდუქციის გამოშვება, მიწოდების გეგმებისა და სახელმწიფო დისციპლინის სხვა დარღვევები. ნელა მიმდინარეობს სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცების პროცესები, კვლავ ადგილი აქვს მოქალაქეთა უკანონო განთავისუფლებას.

პროკურატურა, სხვა სამართალდაცვით ორგანოებთან ერთად, ატარებდა ღონისძიებებს ყველა ამ ნეგატიურ მოვლენასთან ბრძოლის გასაძლიერებლად, რის შედეგადაც მრავალი დამტაცებელი, მექრთამე, თვალისამხვევი, თანამდებობის ბოროტად გამოყენებული მიეცა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე საზოგადოებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის სხვა ღონისძიებებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკის პროკურატურა ყოველთვის ვერ ახერხებს მიადწინოს პროკურატურის დაქვემდებარებული ორგანოების ყოველდღიურ აქტივობას, მათი საქმიანობის ქმედითობის ამაღლებას, ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორების მუშაობაში ფორმალისა და ბიუროკრატიზმის, მერყეობისა და არათანმიმდევრულობის, ზოლო ზოგჯერ უმოქმედობის, რაოდენობრივი სტატისტიკური მაჩვენებლებისათვის ამოფარების მისწრაფების აღმოფხვრას. გარდაქმნა ამ დარგში ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს, ხოლო მიღწეული შედეგები ყოველთვის სტაბილური არ არის.

ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისა და სხვათა ზრდის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი დანაშაულის მიჩქმალვის, დანაშაულის შესახებ განცხადებებზე რეაგირებისაგან თავის არიდების, გამოძიების დაბალი ხარისხის ფაქტები. ბევრი დანაშაული წლების განმავლობაში გაუხსნელია. გამოძიების მიხედვით ცული მონაცემები აქვთ: ქ. ფოთის, ახალქალაქის, ლენტეხის, დმანისის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სიღნაღის რაიონების პროკურატურებს, შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებულებს ქ. ფოთში, ახალციხის, მესტიის, ასპინძის, დმანისის, ლანჩხუთის რაიონებში. არ არის აღმოფხვრილი უხეში გაჭიანურების ფაქტები სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დროს, მათი უსაფუძვლო აღძვრა და შეწყვეტა.

დაკავებულთა და დაპატიმრებულთა რიცხვის მკვეთრად შემცირების მიუხედავად, არ არის აღმოფხვრილი მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უსაფუძვლოდ მიცემისა

და დაპატიმრების ცალკეული ფაქტები. თითოეული ასეთი შემთხვევა განიხილება კოლეგიაზე, 1988 წლის ივნისის დამდგვიდან შემოღებულია გამართლების რიტუალი, კერძოდ, პროკურატურის მუშაკები შრომით კოლექტივებში, სადაც მუშაობს რეაბილიტირებული, ოფიციალურად იხდიან ბოდიშს.

რესპუბლიკაში მიცირდება ნასამართლობა. უფრო ფართოდ გამოიყენება ზომები, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ძლიერდება საპროკურორორ ზედამხედველობა სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე, მაგრამ პროკურორთა პროცესუალური დამოუკიდებლობა სასამართლოებში ჯერ კიდევ დაბალია.

შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონიერების მდგომარეობა მტკიცდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი მსჯავრდებულთა რეალური აღზრდისა და გამოსწორების ძირითადი მოთხოვნა, სრულად არ არის გადაჭრილი მსჯავრდებულთა შრომითი გამოყენების პრობლემა.

გაუმჯობესდა მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ორგანიზაცია. ამასთან ერთად, წერილებზე მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული ნაკლოვანება. ადგილი ჰქონდა საჩივრების განხილვისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას.

კადრებთან მუშაობაში მოგვარდა ახალგაზრდა და გამოცდილი მუშაკების ურთიერთთანამშრომლობა. განხორციელდა აუცილებელი საკადრო გადაადგილება რეგორც აპარატში, ასევე ადგილებზე. დაწინაურდნენ ისინი, ვინც უფრო აქტიურია და ვისაც შესწევს უნარი გადაწყვიტოს ახალი ამოცანები. გაუმჯობესებულია მუშაობა კადრების ატესტაციისა და დასაწინაურებელი რეზერვის შექმნისათვის, მაგრამ საკადრო პოლიტიკაში არ არის აღმოფხვრილი პროტექციონიზმის, საგამოძიებო-საპროკურორო კადრების საქმიანობაში უპასუხისმგებლობის, ფორმალისმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები, კერძომსაკუთრული ტენდენციები, რის შედეგადაც უხეშად ირღვევა კანონიერება, ყოველივე ამისათვის პროკურატურის ორგანოების მთელი რიგი თანამშრომლების მკაცრად დაისჯა.

ცალკეული ნაკლოვანებები და სუსტი ადგილები გარკვეულწილად აიხსნება ხარვეზებით საშემსრულებლო დისციპლინის ორგანიზაციაში, საქმის ფაქტობრივი შესრულების სუსტი კონტროლითა და შემოწმებით.

კოლეგიამ დასახა კონკრეტული ზომები, რომლებიც მიმართულია კანონიერებისა და მართლწესრიგის დარღვევების აღმოსაფხვრე-



ლად, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გასაძლიერებლად.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ა. პაპუაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ედიშე-

რაშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. სიღამონიძე, ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. თალაკვაძე.

სსრკ-ის ლტოლპირთა,

საქართველოს სსრ პროკურატურის საორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილების უფროსი.

* * *

საქართველოს სსრ პროკურატურაში დიდხანა ტრადიციად დამკვიდრდა, რომ კოლეგიამ პერიოდულად მოისმინოს ხალხე პროკურატურის სამმართველოებისა და განყოფილებების ანგარიში იმ მუშაობის შესახებ, რასაც ისინი ეწევიან ყოველდღიურად. პროკურატურის ორგანოების მუშაობა კი უპირველესად გამიზნულია სსრკ-ის 27-ე ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, სსრ კავშირის გენერალური პროკურატორის მოთხოვნათა შესასრულებლად.

ამასწინათ კოლეგიის ერთ-ერთ სხდომაზე ასეთი ანგარიშით წარსდგა საქართველოს სსრ პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი კოკი ნარმანია.

კოლეგიაზე ცხადად გამოიკვეთა ის ეფექტური საქმიანობა, რომელსაც განყოფილება ეწევა რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში ოპერატიული აღრიცხვიანობის გაუმჯობესების, სტატისტიკური ანგარიშებისა და საინფორმაციო-ანალიტიკური და მეთოდური მუშაობის თვისობრივად ახლებური ორგანიზაციისათვის. განყოფილების მუშაკები, ყოველწლიურად ავლენენ რა ცენტრალიზებული აღრიცხვიდან მიჩქმალულ დანაშაულებს, სამით ხელს უწყობენ ნეგატიური მოვლენების აღკვეთა-აცილებას და განამტკიცებენ სააღრიცხვო დისციპლინას. აღანიშნავია, რომ განყოფილება,

სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან კოორდინაციაში, ეფექტურად იყენებს დამნაშვეობასა და საგამოძიებო-საპროკურორო მუშაობის სტატისტიკურ მონაცემებს, პრაქტიკულად წვევებს ზემდგომი ორგანოების მიერ დასახულ ამოცანებს.

განსაკუთრებით ბევრი კეთდება საჯაროობის დასადგენად, პროკურატურის ორგანოების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის, აქტიურად გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ყოველთვის კრიტიკულად ფასდება მიღწეული, რადგან გადაუწყვეტელი პრობლემების აღიგებლობის ატმოსფეროა შექმნილი ყოველგვარ დარღვევა-გადაცდომასთან და ა. შ.

მუშაობის ასეთი ეფექტურა ორგანიზაცია შრომის ახალი სტილისა და მეთოდების გახედულად დაწერგვა, ის რომ კოლექტივი ასე ერთსულოვნად და მთლიანად უჭერს მხარს გარდაქმნას, განპირობებულია ქანყოფილების უდიდესი პასუხისმგებლობით, მომთხვენილობით და მაღალი კვალიფიკაციით.

სწორედ ეს იყო მხედველობაში მიღებული, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის სახით მუშად შესრულებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის გაწეული წვლილისათვის საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ კოქი თეოფანეს ძე ნარმანიას გამოუცხადა მაღლობა და დააჯილდოვა იგი ფულადი პრემიით, ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

* * *

საჯაროობა და დემოკრატია ქ. წყალტუბოს პროკურატურის მუშაკთა უპირველესი საქმეა. ისინი ყველაფერს აკეთებენ კანონმდებლობის შემდგომი განმტკიცების, ზამართალდარღვევებთან შეუპოვებელი ბრძოლის და მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დასაცავად, ქალაქის ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად ჩატარებულ ღონისძიებებზე ფართოდ იხილავენ დანაშაულის წარმოშობ მისეზებსა და პრობლემებს, აქტიურად იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებ-

ებს, საზოგადოებრიობას დროულად აცნობენ ზონაში შექმნილ ოპერატიულ მდგომარეობას, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის მიზნით სისტემატიურად იძლევიან განმარტებს ახალი კანონმდებლობის შესახებ და ა. შ.

მუშაობის ეს ნაცადი ფორმა ახალი არ არის ქ. წყალტუბოს პროკურატურისათვის, რომელსაც მუდამ საქმიანი, მჭიდრო კონტაქტი აქვს პარტიულ, საბჭოთა და საკონტროლო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შრომით კოლექტივებთან.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგია ამასწინათ განიხილა და მოიწონა ქ. წყალტუბოს პროკურატურის მუშაობა საჯაროობისა

და დემოკრატიის გაფართოების თვალსაზრისით და იგი მთელს რესპუბლიკაში განაწილდა, როგორც მისხაძი სამაგალითო ინიციატივა.

სწავლული იურისტების მეთოდოლოგიური სემინარი

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება უდიდეს ამოცანებს სახეს სწავლული იურისტების წინაშე. ამ დიდი ისტორიული ფორუმის მიერ მიღებული რეზოლუცია გულისხმობს ისეთი ფართო სამართლებრივი რეფორმის განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში და აძლიერებს სოციალისტური მართლწესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმებს სახალხო ხელისუფლების განვითარების საფუძველზე. ამისთვის კი საჭიროა მნიშვნელოვანად განვამტკიცოთ საბჭოთა სამართალწარმოების ისეთი საწყისების განხორციელების გარანტიები, როგორცაა შეჯიბრებითობა, საჯაროობა, უდანაშაულობის პრეზუმფციის განუხრელი დაცვა, დაუშვებლობა როგორც ბრალდებით გადახრისა, ისე შემწყნარებლობისა იმათ მიმართ, ვინც ხელყო საბჭოთა კანონი.

სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება, პოლიტიკური სისტემის რეფორმა და მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვა, ნათქვამია XIX პარტიული კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, მოითხოვს ახალი და ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას, რომლებმაც უნდა გარდაქმნან მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის დადგენილი პრინციპები, საერთო-სახელმწიფო, საერთო-პარტიული | მნიშვნელობის დონეზე აიყვანონ იურიდიული საყოველთაო სწავლე-

ბა, ხელმისაწვდომი გახადონ იგი ყველგან, ცენტრში თუ ადგილებზე, და რაც მთავარია, მაქსიმალურად დახვეწონ, განავითარონ სოციალისტური დემოკრატიზმის კულტურა.

სწორედ ასეთ აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის მეცნიერ-მუშაკთა გაერთიანებული მეთოდოლოგიური სემინარი რომელიც მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სემინარის თემა იყო „XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის კონცეფცია სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ“.

მეთოდოლოგიური სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა მისმა ხელმძღვანელმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გ. ტყეშელაძემ. დისკუსიაში მონაწილეობდნენ და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს ქართველმა სწავლულმა იურისტებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამართლის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა ს. ჯორბენაძემ, ვ. აბაშაძემ, ვ. მეტრეველმა, რ. შენგელიამ, ბ. სავანელმა, ვ. ერქომაიშვილმა, ო. გამყრელიძემ, დ. ბარათაშვილმა, შ. ჩიკვაშვილმა, მ. კეკელიამ, დ. ფურცელაძემ.

მეთოდოლოგიური სემინარის მუშაობა შეაჯამა გ. ტყეშელაძემ.

იურისტები ესაუბრებიან მურომალეას

საჩხერის რაიონის სამართლადამცავი ორგანოების წარმომადგენლები ხშირად სვდებიან ხოლმე უშუალოდ ადგილებზე რაიონის სხვადასხვა დარგისა და სპეციალობის მუშაკებს, დანტერესებულ პირებს, რათა კანონის ენაზე განუმარტონ ახალი ნორმატიული აქტები, ერთმეორის მიყოლებით რომ მიიღეს შესაბამისმა ზემდგომმა ორგანოებმა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შემდეგ. სწორედ ასეთი აზრითა და შინაარსით იყო დატვირთული თეორიული კონფერენცია საჩხერის სახურხათო კომბინატში, შეხვედრა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებთან და ექვს თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში სოფელ კორბოულის სახაფლო საბჭოში, რომლებმაც

მსმენელთა ფართო დაინტერესება გამოიწვია.

ამ მართლაც საქმიან ღონისძიებებში მონაწილეობდნენ რაიონის პროკურორი კ. ყვიციანი, მისი თანამემწე ი. მოღებაძე, საჩხერის სახალხო მოსამართლე ნ. ზამხახიძე, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი გ. კურტანიძე, სახელმწიფო ნოტარიუსი ვ. კაპანაძე, რაიონული აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე მ. აბრამიშვილი და თბილისელი სტუმარი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ფარქოსაძე. მათ ჭერ თვითონ ისაუბრეს კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო შემდეგ ამომწურავი პასუხები ვასცეს მსმენელთა უამრავ შეკითხვებს.

თამარ შიგშილაშვილი

„ქმნა მართლისა სამართლისა..“

ელზარ ჟიჟინი, თბილისი უნივერსიტეტი

აღსრულდა ესე ამბავი...

შემდეგ საღამოს ბაბუა-შვილიშვილი ჩვეულებრივზე ადრე მიადგა ბიძინას. ბუხრის წინ მოკალათდნენ თუ არა, მასპინძელი საქმეს შეუღდა:

— მაშ, ასე; ადამიანი სოციალური არსებაა. იგი სჩადის დანაშაულს, ესე იგი, დანაშაული, პირველ ყოვლისა, სოციალური მოვლენაა. თუკი დანაშაული სოციალური მოვლენაა და მას ადამიანი სჩადის, ბუნებრივია, დანაშაულის მიზეზის ასახსნელად, თუ რატომ სჩადის მას, ადამიანს უნდა შევხედოთ როგორც სოციალურ არსებას. მართალია, ადამიანი სოციალური არსებაა, ნებისყოფის სუბიექტია, მაგრამ მისი დაბადება არ არის ნებისყოფის სუბიექტის დამატება. ახლადშობილი ბავშვი მოთხოვნის სუბიექტია. ამ მხრივ, მას და ახლადშობილ ცხოველს, ვთქვათ, ხბოს შორის არავითარი განსხვავება არ არის. ნებისყოფა არ გააჩნიათ და ამდენად, არ აქვთ უნარი წინ აღუდგნენ მოთხოვნის იმპულსს. თუმცა, ხბოსგან განსხვავებით ბავშვს უნარი აქვს ნებისყოფის სუბიექტად იქცეს. მაგრამ ამისათვის აუცილებელია იგი გაიზარდოს ადამიანთა შორის, ე. ი. უნდა მოხდეს მისი დროული სოციალიზაცია, თორემ, ხომ ვახსოვთ ბავშვი მგლის ხროვაში რომ გაიზარდა, თითხმეტი წლის ასაკში მისი გონებრივი დონე მგლისას არ აღემატებოდა. ზნეც მგლის ჰქონდა; ორ ფეხზე დადგომაც კი ვერ მოეფიქრებინა და ოთხზე დარბოდა. ის არსება ველარ გაადამიანდა, ე. ი. სოციალიზაციის უნარი დაკარგული ჰქონდა. ამდენად, სოციალიზაცია ადამიანთა შორის აღზრდაა. სოციალიზაციის გავლა ერთ ზრდადასრულებულ ადამიანთანაც შეიძლება, მაგრამ, როგორც წესი, ეს საზოგადოების მაკრო და მიკრო სოციალურ გჯგუფებში ხდება. იბადება კი ახლა, რა თვისება განასხვავებს კაცს ცხოველისაგან, რა არის ეს სოციალიზაციის უნარი?

— აზროვნება. — ჩაუბოლო მაშინამ.

— დიახ, კაცს ცნობიერება აქვს, მას აზროვნება შეუძლია. სწორედ ეს არის დაკავშირებული საგნების და მოვლენების ობიექტივიზაციის უნართან. ამიტომ, ადამიანს შეუძლია

თავის თავს, თავის ნამდვილ და მოსალოდნელ ქცევას შეხედოს როგორც ობიექტურად არსებულ რეალობას. მას აქვს უნარი, შეაფასოს საკუთარი თავი და საკუთარი მოქმედება, თან შეუძლია, საკუთარი მოქმედება წინასწარ გაიზაროს, იმსჯელოს მასზე, შეაფასოს. როგორც კი მას საკუთარი თავის და ქცევის ობიექტივიზაციის უნარი გაუჩნდება, გაუჩნდება შეფასების, კონტროლის, უფრო სწორად, თვითკონტროლის უნარიც. თვითკონტროლის გაქონასთან ერთად იგი იწყებს საკუთარი „მე“—კონცეფციის ჩამოყალიბებას. მეცნიერულად ამაზე უკვე ვილაპარაკეთ... ახლა, ისე, უბრალოდ გავიმეორებ. „მე“ — კონცეფცია არის საკუთარ თავზე ჩამოყალიბებული შეხედულება. როგორც კი ადამიანს ჩამოუყალიბდება „მე“ — კონცეფცია, იგი მისთვის ყველაზე დიდ ღირებულებად იქცევა. ამ ღირებულების ამოღება მისი უპირველესი საზოგადოებრივი ხდება. აქ ერთი რამ არის ნიშანდობლივი. კაცს არ ძალუძს თვით შექმნას საკუთარი ხატი, თვითონ შეიქმნას წარმოდგენა საკუთარ თავზე, ესე იგი, თავად სხვისი დახმარების გარეშე დაინახოს საკუთარი თავი. ე. ი. „მე“ — კონცეფციის შექმნის წყარო საზოგადოებრივი აზრია. მე ჩემს თავს ვაფასებ საზოგადოების თვლით, ის არის საკუთარი თავის შეფასების საზომი. საზოგადოებრივი აზრის თვალთახედვით იქმნება ჩემთვის ჩემი საკუთარი თავის ხატი — კონცეფცია „მე“. თუ ჩემი გონიერება პირის მიმართ შეიქცელება საზოგადოებრივი აზრი, შეიცვლება მისი „მეც“. ამიტომ, საზოგადოებრივი აზრის ცვალებადობას ძალიან მტკივნეულად განიცდიდა კაცი.

— ამიტომ ვიღამთ წლებზე ფეხს, ხალხში თავი არ მოგვეჭრას-თქვა, — დაუდასტურა მაშინამ.

— დიახ! ამიტომ, კაცი ვიდრე რაიმეს იზამს, საზოგადოების თვლით შეაფასებს მოსალოდნელ საქციელს. საზოგადოებრივი აზრი არამარტო „მე“ — კონცეფციის შექმნის წყაროა, არამედ, თვითკონტროლისაც.



— სოციალიზაციის წყაროც! — ჩაუბოძა მამიამ.

— რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი აზრი არის სოციალიზაციის შექმნის წყარო და სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალება. მთავარი არ დაგვიწყდეს: ეს ძალა აქვს არა საზოგადოებრივ აზრს საერთოდ, არა საზოგადოების უმრავლესობის აზრს, არამედ, ეტალონურ სოციალურ ჯგუფში შექმნილ აზრს... უბრალოდ რომ ვთქვათ... პიროვნებისათვის ის ჯგუფი არის ეტალონური, რომლის ღირებულებათა ორიენტაციებს, მსოფლმხედველობას, საზოგადოებრივ აზრს გაითავისებს, ესე იგი, თავის მსოფლმხედველობად და ღირებულებათა ორიენტაციად გაიხდის. ეტალონურ ჯგუფში გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი იძენს სოციალური კონტროლის ძალას. სხვა ჯგუფების, უმრავლესობის, ან, ზოგადასაკაცობრიო საზოგადოებრივი აზრი კონტროლის ძალას შეიძენს, თუ იგი მიღებული იქნება ეტალონურ ჯგუფში, ანდა, არ იქნება მისი საწინააღმდეგო აზრი. ამიტომ ვთქვათ, ქურდებისთვის მთავარი ის კი არ არის, რას ფიქრობს. მათზე უნივერსიტეტის პროფესორა, არამედ, მისივე სამყარო. მისი „მე“ — კონცეფცია ჩამოყალიბდა ქურდების ეტალონურმა ჯგუფმა, და არა, პროფესორამ. ამიტომ, ქურდი ადვილად დაარღვევს კანონს ან საზოგადოებაში გაბატონებულ ზოგიერთ ნორმას, მაგრამ „ქურდულ წესებს“ ვერა... ქურდი ქურდობს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იმათხოვრებს, მექრთამე ქრთამს აიღებს, მაგრამ არ იხულიგნებს... რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ქურდის ეტალონურ ჯგუფში ქურდობის სასარგებლო აზრია გაბატონებული. მათხოვრობა კი — მიუღებელია. მექრთამის ეტალონურ ჯგუფში ქრთამის აღება არ იკიცხება, ხულიგნობა — კი. საზოგადოებრივმა აზრმა, შეიძლება, კაცს დანაშაულის ჩასადენად უბიძგოს, ან — პირიქით. ხომ გახსოვთ, ძაღლის გამო ბიჭი მკვლელად რომ აქცია საზოგადოებრივმა აზრმა, რადგან იქ „სისხლის აღება“ ვაჟკაცობას, ღირსების შეუბღალაობას ნიშნავდა, ამიტომ ბიჭმა „მე“ — კონცეფციის შელახვას სხვისი და საკუთარი სიცოცხლე ანაცვალა. იმ საქმის ძიებისას მოკლულის უფროსი ძმა მოვიდა გამომძიებელთან; ინჟინერი იყო, ფოთში მუშაობდა, თუმცა, არც სოფელთან ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი. „თუ არ დახვრეტ, მაშინ მე უნდა მოვკლა და გამინადგურებდა მთლად ოჯახიო“, — უთხრა გამომძიებელს. ინტელიგენტი კაცი, ხუთი შვილის მამა, სისხლის აღებაზე ქადაგებო, საყვედური უთქვამს გამომძიებელს. ამაზე ძმა აღელვებუ-

ლა. „თქვენ მე ვინ გგონივართ, ქალაქში კი წამოვედი, მაგრამ ღირსება და კაცობა კი არ დამიკარგავსო“. ასეთი ძალა აქვს საზოგადოებრივ აზრს!

— კი, საზოგადოებრივ აზრს, დაუწერელ კანონებს მეტი ძალა აქვთ, ვიდრე თქვენს კანონებს, — თქვა მამიამ.

— არც მთლად ასეა! არ იქურდო, კაცი არ ჰკლა, არ ითაღლითო... ასეთი აკრძალვები მხოლოდ კანონით არ არის გათვალისწინებული. მათ ზნეობაც კრძალავს, იმიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრი კიცხავს.

— კანონით თუ არის ისეთი რამ აკრძალული, რასაც საზოგადოებრივი აზრი მხარს არ უჭერს, — დაინტერესდა გოჩა.

— იშვიათად, მაგრამ, სამწუხაროდ, არის. ამაზეც ვილაპარაკეთ. ადრე ჩვენში არცის გამოსხნა მხოლოდ იმ შემთხვევაში ისჯებოდა თუ გასაყიდად დამზადდნენ ან გამოხდიდნენ შაქრისაგან, პურისაგან, ხორბლისაგან. საკუთარი საჭიროებისათვის თუ გამოხდიდი, არ იკრძალებოდა, ცხადია, ჭაჭისაგან ან ხილისაგან.

— კი, ბატონო! — მხრები აიწურა მამიამ, — შაქრისაგან და სხვა მზა პროდუქტებისგან არ უნდა გამოხადო, მაგრამ... ხელი რომ მომჭრა, ჭაჭას ვერ ვადაყარი. მაგ კანონის შემდგენელმა, ალბათ, არ იცის, რამდენი ნაშრომი უნდა გაატანო ქარს.

— ტყემალი თუ ვაშლი?!

— გლეხი თუ ჰუკუთამყოფელია, გულგრილად ვერ შეხედავს, როგორ უფუჭდება ხილი. კი, ხილს და ტყემალს ვაბარებთ, მაგრამ ხშირად გვეტყვიან, გვგმა შევასრულეთ და მეტს ვედარ მივიღებთო. იმდენი ხილი რომ ჩამოვა ძირს, ლებება, მჟავდება და აფუჭებს ყველაფერს. ისეთი სუნი დგას და იმდენი ბუზი ესევა, ეზოში არ დაგედგომება. უნდა წამოხიკო ეს და ტყემი გადაყარო?

— ასე შერებით?

— არა, ბატონო, არაყს ეხდით ჩუმ-ჩუმად. გამოხდას თავი დაანებე, ერთი ბოთლი თვითნახადი არაყი რომ გქონდეს შინ, უკვე კანონის დამრღვევი და დამნაშავე ხარ. არაყი მხოლოდ დასალევად კი არ გვინდა — ათას საქმეში გვეპირდება.

— ჰო, ასეთ კანონს საზოგადოებრივი აზრი მხარს ვერ დაუჭერს. კანონმა პატიოსანი კაცი, ვთქვათ, მამია დამნაშავედ არ უნდა აქციოს. კანონი უეფექტო იქნება თუ საზოგადოებრივმა აზრმა მხარი არ დაუჭირა. თუ კანონის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრი გაბატონებულია ყველა ეტალონურ ჯგუფში, იგი მკვლად დაბადებულია, არ მოქმედებს. საზოგადოებრივ აზრს დიდი ძალა აქვს. მან, შეიძლება

წარმართოს, მიმართულება მისცეს — ადამიანის საქმიანობას, მის ქმედებას, მან შეიძლება, დანაშაული ჩაადენინოს ვინმეს, ან — პირიქით.

— თუ ასეა, — წამოიძახა მამიამ, — შეე-ქმნათ, ბატონო, სამართლის სასარგებლო აზრი და დანაშაულის პრობლემაც გადაწყდება.

— საზოგადოებრივი აზრის შეცვლა და ჩამოყალიბება რთული საქმეა — დიდ ღროს და, განსაკუთრებით, მისი წარმომშობი ობიექტურ-რეალობის შეცვლას მოითხოვს. საზოგადოების ჭკუფთა უმრავლესობაში კანონის სასარგებლო, ზნეობრივად სასარგებლო აზრია გაბატონებული, მაგრამ რატომ ირჩევს, ვეჭვით, ერთი ახალგაზრდა თავის ეტალონად ერთს და მეორე — სხვას. საქმე ის არის, რომ ზოგჯერ არჩევანიც კი არ არის ხოლმე. სისხლი რომ აიღო, იმ ახალგაზრდას არ აურჩევია გარემო. იგი იქ დაიბადა და გაიზარდა, საცა სოფელმა წინასწარ გადაწყვიტა მისი მოსალოდნელი საქციელი.

— ესე იგი, თანდაყოლილი კარგი და ცუდი ფსიქიკა არ არსებობს?

— თანდაყოლილი ცუდი და კარგი არა, მაგრამ განსხვავებული ფსიქიკა კი არის.

— რა ჰქმნის ამ განსხვავებულობას?

— პირველ ყოვლისა, აღზრდა, სოციალური გარემო. გავლენა შეიძლება იქონიოს ფიზიკურმა ნაკლმა... საერთოდ, ფიზიკურმა მხარემ... ხასიათმა, ტემპერამენტმა, ნიჟიერებამ, შთამომავლობამ, მაგრამ მთავარი მაინც აღზრდაა, სოციალური გარემო, სოციალიზაცია. „ჩვეულებრივი დანაშაული“ ხომ გახსოვთ... გრძელიძე პროფესიონალი ქურდი და ნარკომანი იყო, ეგრეთწოდებულ ქურდულ მსოფლმხედველობას ემორჩილებოდა. თავისი ქცევით ქურდობის გზა შეგნებულად აირჩია, „ფილოსოფიურად“ დაალაგა ყველაფერი, სინამდვილეში ამ გზისკენ სულ სხვა რამემ აქნევინა პირი... პატარობისას დედ-მამა დაინახა სქესობრივი აქტისას, დაეძინა, მაგრამ მის ქვეცნობიერ სამყაროში აისახა საშინელი სურათი — დედამისს მამა აღრჩობდა... ბავშვის სამყაროში ჩაიხედა შიშმა. ეშინია რაღაცის, სიბნელის, ხმაურის, მაგრამ შიშის მიზეზი გაცნობიერებული არა აქვს; ბავშვი ჭირვეულობს, ტირის, დედას ვერ სცილდება. მამას მიაჩნია, რომ ბავშვის უზნეობის მოშლა სიმკაცრით, დაძალებით შეიძლება. მამისადმი შვილის უსაფუძვლო შიშს სიმტკიცით ერთვით. ამასობაში დედა მოუკვდა. ბავშვს გაუქრა თავშესაფარი, მისი ვაგებით მართო დარჩა მტრულ და დაუძლეველ გარემოს პირისპირა. შიშისა და მტრობის განცდათა კომპლექსის გარეშე მას არ შეუძლია გარემოსთან ურთიერთობა. გაუჩნდა მსხვერპ-

ლის ფსიქოლოგია, იწვევდა სხვების მტრობას, ბრძოლას, შიშის გასამართლებელ ურთიერთობებს. ეძებდა თავშესაფარს. სწორედ იმ ხანებში მოჰკრა ყური „ქურდულ კანონებს“, ნელ-ნელა „კანონები“ საკუთარ არაცნობიერ სამყაროს მოარგო. მას, რა თქმა უნდა მილიციელადაც შეეძლო ემუშავა, მაგრამ მისი თვალთახედვის არეში მილიციელის პროფესია არ იყო პოპულარული. ამიტომ, ულაპარაკოდ და განუსჯელად ამოვარდა შესაძლებლობების სფეროდან. თანაც მამის მიმართ შურისძიების ქვეცნობიერი მოთხოვნალებაც ჰქონდა. ქურდობა ხომ ამ მოთხოვნალებსაც უკმაყოფილებდა. მამამისი ხომ სამსახურიდან სწორედ შვილის ქურდობის გამო მოხსნეს.

სუბიაშვილი სხვა გარემოში გაიზარდა, მისი აღზრდლები დედა, მამა, ბებიები, ბაბუები დახვეწილი ინტელიგენტები იყვნენ, ყურადღება არ მოუკლიათ ბავშვისათვის. მას მალე შეეძინა უმცროსი და და იგი თითქმის ყველას მიავიწყდა. ბებუის ამარა დარჩა. რა თქმა უნდა, იგი არ „დაღვიწყებით“, მაგრამ, დის გაჩენამ მას მართლაც მოაკლო ყურადღება, რამაც უკმარისობის მძაფრი განცდა გამოიწვია. ბავშვებს აღზრდლები არ აკლდათ, მაგრამ ყველას ისეთი პროფესია ჰქონდა, რომ ვერ იცოდნენ მათთვის. გოგო უფრო თვინიერი გამოდგა, ბიჭი კი ცელქი. მალე შეიქმნა გარკვეული წარმოდგენა — ნანა კარგი გოგოა, ირაკლი კი — „ცუდი ბიჭი“. მალე იგი ამ დიდ ოჯახში ჩაიკარგა როგორც პიროვნება. ამას დაერთო უფრო მნიშვნელოვანი რამ. დედამისი ოპერის მომღერალი იყო, შვილისთვის არასოდეს ეცალა და ბებიას გადააბარა. ბავშვს იშვიათად ეფერებოდა დედა და ირაკლი ვერ ძლებოდა მშობლიური სიბოროთი. ამ „დეფიციტის“ ანაზღაურებას „საცილოეზში“ ეძებდა. ერთი სიტყვით მისი სოციალიზაცია ვეჭირდა, გაუჩნდა თავის გამოჩენის მძაფრი მისწრაფება ანუ დეფორმირებული პრესტიჟული მოთხოვნა. ძალიან რთული მექანიზმია! ბოლოს მიაღწია ყურადღების შუაგულში მოხვედრილიყო. გახსოვთ, როგორ იქცეოდა სასამართლოზე? გმირს, რაინდს, ვაჟკაცს თამაშობდა. მისი ჭკუით მაშინ სწორედ ასეთი იყო. იგი ისე იქცეოდა, როგორც მისი ეტალონური ჭკუფის საზოგადოებრივი აზრი ითვალისწინებდა. ვანო ბაბუერი კი სოფელში გაზრდილი ბიჭი იყო, ბრტყელტერფა, კოჭლი. ასეთი ნაკლი სოფელში უფრო თვალშისაცემია. დედამისი მსუბუქი ყოფაქცევის იყო. ეს ყველამ, ცხადია, ბიჭმაც იცოდა, სწავლაშიც მოეცარა ხელი. სოფელში დაბრუნება არ უნდოდა, ქალაქი კი ვერ მოეგო. მას მიაჩნდა, რომ ქა-



ლქში დამკვიდრების, ადაპტაციის ერთადერთი საშუალება ქურდობა იყო. იგი დახმარებისთვის არავის მიმართავდა, მათხოვარი ხომ არ ვარო. ქურდობას კი ადვილად მიჰყო ხელი, რადგან ის მისი ეტალონისთვის ვაყვაცობად ითვლებოდა.

— რა გამოდის?! — თქვა მამიამ, — არასწორი აღზრდა მოთხოვნილებათა გაუქუდმართებს იწვევს, ეს კი მათი დაქმეყოფილების დელოკებელ სწრაფვას წარმოშობს. ასეთი მოთხოვნილებანი, ზოგჯერ, უზნეო ან კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაკენ უბიძგებს კაცს... ზოგჯერ და არა ყოველთვის. თუ რას აირჩევს ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცი, დამოკიდებულია მისი ეტალონური ჩვეულის საზოგადოებრივ აზრზე, ასეა ხომ?

— სწორედ ასე... ჩვენს საუბრებს უქმად არ ჩაუვლია, მაგრამ უფრო მკვეთრად წარმოასაჩენდ ერთ მაგალითს კიდევ მოვიყვან... ერთ ხანს არასრულწლოვანთა შრომა-აღმზრდელით დაწესებულებაში დავდიოდი მასალას ვაგროვებდი. იქ ერთ დამნაშავეს დავუხსლოვდი. თანაკლასელის დაჭრისთვის ორი წელი ჰქონდა მისჯილი. საქმეს ვავეცანი, მესამე შემთხვევა ყოფილა. სამივე დანაშაული ერთგვაროვანი იყო. პირველად მეზობლის ბიჭი დაჭრა, დანა დაარტყა მკლავში. საქმე არასრულწლოვანთა კომისიამ განიხილა. მილიციაში აღრიცხვაზე აიყვანეს როგორც ძნელად აღსაზრდელი. ორი თვის შემდეგ უზნელი დაჭრა ფერღში, დანით. ახლა, უკვე, სასამართლომ განიხილა საქმე. პირობითი მსჯავრი გადაუწყვიტეს. მცირე ხნის შემდეგ თანაკლასელს ჩასცა ბეჭეში დანა. სამივე შემთხვევაში დაჭრის მიზეზი ერთიდაიგივე იყო, ამხანაგებს უბრძანებდა დაჩოქილიყვენ და ისე მოეხადათ ბოლოში. ვინც არ თანხმდებოდა, ასე უსწორდებოდა. რა თქმა უნდა, ცხადი იყო, რომ დამნაშავეს სულიერი წონასწორობა დარღვეული უნდა ჰქონოდა. სიმპათიური ახალგაზრდა იყო, ძლიერი, კუნთმავარი... პირობითად ნუკრი წილოსანი დავარქვით. კარგი ოჯახშივილი და უზრუნველყოფილი. სწავლით დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ ნაკითხი იყო, საკმაოდ კარგად ხატავდა, გემოვნებასაც ვერ დაუწუხებდი. რალაც აწუხებდა, თქმა ეწადა, წვალობდა. როგორც იქნა მისი ნდობა მოვიპოვე და გამომიტყადა, თავად არ ვიცი, რატომ მაქვს ასეთი სურვილი სულ მცირე შეცდომის ან უტაქტობის გამო დავჩაგრო ვინმე, ჩემს თავს ველარ ვერევიო. მათი ყოჩობა გონს მიკარგავსო. იმ ბიჭების გარდა, რა თქმა უნდა, სხვაც ჰყავდა დაჭრილი, უბრალოდ, მორჩილები არ იყვნენ. ყოველთვის მსუბუქად ჰრი-

და, გამოზომილიც კი ჰქონდა, როგორ უნდა ექნა ეს, მხოლოდ ბოლოს წაუტდა ხელი, საკმაოდ მძიმედ დაჭრა ის თანაკლასელი. დიდხანს, რამდენიმე თვის მანძილზე ვიარე ნუკრისთან. შეყვარებული ჰყოლია ერთი, მეთერთმეტე კლასელი, მასზე უფროსი. ცხრასართულიანი შენობის სხვენზე ჰქონია თავისი ოთახი. იქ ხედებოდა ხოლმე შეყვარებულს. ერთხელ სქესობრივი აქტის დროს...

მამიამ რალაც ანიშნა და გოჩას გადახედა. — აბა, ვის უნდა ელაპარაკო ასეთ თემაზე, შენს გადამტყებულ ბებერს? — მიუხედა ბიძინა, — ნუ გავიწყდება, რომ თოთხმეტი წლის „ბავშვი“ პასუხს აგებს ქალის გაუბატიურებისათვის. თექვსმეტი წლის ასაკიდან კი ყველაფერზე აგებს პასუხს, მათ შორის, თექვსმეტ წელს მიუღწეველ გოგონასთან ნებაყოფლობითი სქესობრივი ურთიერთობისთვისაც. თუ ეს თემა მისთვის „ჩინური“ იქნა, პასუხი როგორღა უნდა მოვთხოვოთ!

— კი, მაგრამ... აკვანშივე ვასწავლოთ? — წაიქილიკა მამიამ.

— როცა ცოდნის სურვილს გამოავლენს. ეს საერთო კანონია, ოღონდ ცოდნა ბუნებრივი უნდა მივაწოდოთ, ვთქვათ, როგორც რაში გვჭირდება თვალი, ცხვირი, ყური... დავუბრუნდეთ ნუკრის... იმ აქტის დროს კაცობამ უმტყუნა. ბიჭს ელდა ეცა. იმ გოგოსთან შემდეგაც არაფერი გამოუვიდა. იწვალა, სხვა ქალთანაც სცადა, მაგრამ არ იქნა და არა. გაჩნდა საშინელი ეჭვი. იმპოტენტი ვარო და ქალის შიში დასჩემდა, მამაკაცები კი შეიძულა — მათ შეეძლოთ, მას — არა. ამ დროს სადღაც ისიც გაიგო, რომ იმპოტენტები საერთოდ, მამათმავლები ხდებიანო. სულ დაიზაფრა საწყალი; აეკვიტა აზრი, რომ მამათმავალი უნდა გამხდარიყო. ხომ წარმოგიდგენიათ რა დღეში ჩავარდებოდა! საშინელმა გააფთრებამ დარია ხელი. შურისძიება დაეუფლა, ყველა საბაბს იყენებდა, რომ ბიჭები დაეჩაგრა, ამით მათზე მალდა დამდგარიყო და საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ კაცი არ უნდოდა. აქედან წარმოიშვა გამუდმებული კონფლიქტები და დანაშაულობანი.

ორი თვე ვეტრიალეთ იმ მიზეზს, თუ რატომ უნდა მოსგლოდა ასეთი რამ, პირველად რომ დამემართა, იმ დროს, ყურნალიდან ამოჭრილი ინდოელი მოცეკვავე ქალის სურათი დავინახე ტახტთან კედელზე, ამან რატომღაც თავზარი დამცაო, მითხრა მან. აღმოჩნდა, რომ მამამისს უთქვამს მეუღლისათვის, ის ქალი შენ ძალიან გგავსო. ჰოდა, სქესობრივი აქტის დროს ბიჭს შემოვლითი გზით დედა წარმოუდგა თვალწინ. ისიც გახსენებია პატარაობისას, დასთან და



დედასთან ერთად რომ ბანაობდა. ერთი სიტყვით, ნუკრის მშობლებმა რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დაუშვეს შვილის აღზრდისას. ყურადღება არ მიაქციათ იმას, რომ პატარას აინტერესებდა თუ ბავშვი როგორ ჩნდებოდა, რომ გაიზრდებოდა, ვინ იქნებოდა, შემდეგ დედასთან და დასთან ერთად ბანაობდა. სამწუხაროდ, არ ვითვალისწინებთ ხოლმე, რომ ბავშვის ყოფაში მიძინებული ვულკანივით ძეგს სქესობრივი მოთხოვნილება. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია და აქ დამწვებული შეცდომებიც ხშირად საბედისწეროა. როცა ბავშვი სქესობრივ მომწიფებას იწყებს, სოციალურადაც მწიფდება. არაცნობიერ სამყაროში არსებული კავშირები ცნობიერებაში არასდროს არ ამოვა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. ეს კავშირები ხანდახან არაცნობიერადვე იჩენს თავს და ჩვენს ცნობიერებაზე გავლენას ახდენს. როცა ვკითხვ, რამ დააკიდებინა კედელზე ის მღარე ჭარისხის ფოტო-მეტი, რა ვიცი, სისულელე იყო...

— რა ბედი ეწია იმ ბიჭს? — მოუთმენლობამ შეიპყრო გოჩა.

— რაც მანამდე არაცნობიერად ჰქონდა, ცნობიერი გავხადეთ. კერძოდ, თურმე, იმ მომენტში იმიტომ მოსცარვია ხელი, რომ შიში ჰქონია; ეს შიში კი ბავშვობიდან მომდინარეობდა, რადგან რაღაც სწორად ვერ გაიგო, როცა ბანაობისას თვალი გაექცა საპირისპირო სქესის განსხვავებულობისაკენ და იძულებულია ქურდულად დაიკმაყოფილოს ცნობის წადილი. ასე ედება სქესობრივ ინტერესებს აკრძალულის ელფერი... ვთქვათ, ახლა აქ მილიციელი შემოვიდეს, რას იზამთ, შეგეშინდებათ მისი?

— არა, რატომ?

— გუშინ რომ ბანკი გაგძარცვათ და რამდენიმე მილიონი სკივრში გეწყობთ, მაშინ თუ შეგეშინდებოდათ მილიციელის გამოჩენისას.

— შემეშინდებოდა, აბა რა! — თქვა მამიამ.

— შეგეშინდებოდა იმიტომ, რომ აკრძალული რამ გქონდა ჩადენილი. ხომ ხვდები, ახლა, აკრძალულის ჩადენას და შიშს შორის რა კავშირი ყოფილა? ოღონდ, განსხვავება არის. ბანკის გაძარცვა სავსებით ცნობიერი საქციელია და გეცოდინებოდა კიდევ თუ რატომ შეგეშინდებოდა მილიციელს. ახლა, წარმოიდგინე ახალგაზრდა, რომელსაც რატომღაც ეშინია რაღაცის, ვთქვათ, სქესობრივი აქტის. იგი ამ შიშის მიზეზს იქვე დაუწყებს ახსნას და თუ ძალიან მოინდომა, რაღაცას იპოვის, მაგრამ აუცილებლად შეეცდება, რადგან იმჟამად არსებულ მიზეზს დაუწყებს ძებნას და არა თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი წლის წინ ჩადებულ მიზეზს. ჩვენთვის სინტერესოა თუ როგორ

მოქმედებს საზოგადოებრივი აზრი კერძო პირის ქცევის არჩევანზე. ნუკრი რომ ისეთ საზოგადოებაში აღზრდილიყო, სადა მამათმავლობა არ იქნებოდა სამარცხვინო საქციელი, მას ეს შიში სხვანაირად უნდა გაემართლებია. მს. მიკროსამყაროში სხვისი დაჩაგვრა, დაჭრა, ვაჟაკაცობად ითვლება. ისიც ვაჟაკაცობას უმტკიცებდა საკუთარ თავს და სხვას.

— ესე იგი დანაშაულს ორი მიზეზი ჰქონია — ფსიქოლოგიური და სოციალური — დაასვენა მამიამ.

დანაშაულის მიზეზები ფსიქიკურ სფეროშიც არის და სოციალურშიც. ფსიქიკურის და სოციალურის ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნა შეუძლებელია. ჩვენ რომ ვისაუბრებთ ის ფსიქიკურის და აღზრდის, ესე იგი, ადამიანის სოციალიზაციის შედეგია, ამდენად სოციალური ფსიქიკურ პრიზმაშია გატარებული. ასევე, საზოგადოებრივი აზრიც ფსიქიკურია, ოღონდ სოციალურ პრიზმაში გატარებული. საზოგადოებრივ აზრს, ამ სოციალურ ფენომენს, ვერ მოგწყვეტთ ფსიქიკას, რადგან ფსიქიკურ პრიზმაში გატარებული, უკვე ფსიქიკურ ფენომენად იქცევა.

— ახლა კი გავიგე, სადაც მარხია ძაღლის თავი. — თქვა მამიამ.

— ახლა წამოიჭრა სხვა საკითხი, კერძოდ რა უნდა ჰქნას კაცმა, საზოგადოებამ, რომ დანაშაული აღარ მოხდეს. თუმა სინამდვილეში დანაშაულის სრულიად აღმოფხვრა ისევე შეუძლებელია, როგორც ვთქვამთ, ავადმყოფობის უნდა ვიზრუნოთ მის მკვეთრად შემციობაზე, მინიმუმამდე დაყვანაზე. ეს კი შესაძლებელია, მაგრამ მეტად რთულია, კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, ჩვენ კი საჭიროა, მთავარს ჩაეჭიდოთ ხელი. შედეგს მხოლოდ ასე მივალწევთ. ეს მთავარი მიზეზი ორია...

— დანაშაულს ბადებს არასწორი აღზრდა და კანონსაწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრი, — დაასწრო გოჩამ.

— სწორია! — შეაქო ბიძინამ.

— კი, მაგრამ, — ტყეპნით წამოიწყო მამიამ, — იდეალიზმში ხომ არ გადავეართმით? სად არის ეკონომიკა, საერთოდ, ბაზისური მომენტები?

— საქმეც ის არის, რომ საზოგადოებრივი აზრი, ისევე, როგორც ყოველგვარი ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი შეგნება, ზედნაშენური კატეგორიაა, მაგრამ იგი მატერიალურის ანარეკლია და, ამდენად, ყოფიერების შეგნებისეული ასახვაა. თუ არ გახსოვთ, კიდევ ერთხელ წაგიკითხოთ: „საზოგადოებრივი აზრი არის მიკრო და მაკრო სოციალურ ჯგუფებში გაბატონებული შეხედულება გარკვეულ

სოციალურ, სამართლებრივ მოვლენებზე, მის ქმედებასა და სოციალურ-სამართლებრივ ღირებულებაზე. იგი განპირობებულია საზოგადოების საწარმოო წესით, სოციალური და პოლიტიკური წყობით, ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობებით და საზოგადოებრივი შეგნების დონით. საზოგადოებრივი აზრი გველენება სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალებად და წარმოადგენს ქვეყნის მშენებლის შემუშავების და „მე“ — კონცეფციის ჩამოყალიბების და განმტკიცების წყაროს“. ასე, რომ ცხოვრების პირობები, ყოფიერება უშუალოდ არ განაპირობებს გარკვეულ ქვეყნის მიმართულებას, ცნობიერების საშუალებით წარმართავს ადამიანის მოქმედებას. ესე იგი, მატერიალური გაშუალებულია ცნობიერებით და საზოგადოებრივი აზრით. როგორც ხედავ, ჩემი მამია, არ გადავვარდნილობართ იდეალიზმში!

— ძალიან კარგი! — თქვა მამიამ.

— ესე იგი, მთავარია ორი რამ — აღზრდა და კანონის სოლიდარული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. აღზრდისას დაშვებული შეცდომები იწვევს სულიერი წონასწორობის არღვევას და ჩადენილი დანაშაულის დაცვითი შექანის ამოქმედების შედეგია. ამ მდგომარეობიდან დამოუკიდებლად თავს ვერ დაღწევენ, საჭიროა ფსიქონალიზი. ეს კი დაახლოებით ის არის, რაც მე ჩავუტარე გრძელძიეს, სუხიაშვილს, ბაბუერს, წილოსანს...

— რატომ, დაახლოებით?

— იმიტომ, რომ ყველაფრის მოსაყოლად არც მენსიერება მეყოფა და არც დრო. მთავარი იყო გაუცნობიერებლობა, არაცნობიერის, ამდენად, გზაბნეული სულიერი განცდების დალაგება და გაცნობიერება.

— კი მაგრამ დანაშაულის მიზეზი ყოველთვის სულიერი აშლილობაა? ხომ ხდება ხოლმე, რომ...

— გასაგებია, აღარ დაამთავრებინა ბიძინამ, სულიერი აშლილობა დანაშაულის მიზეზი მაშინ არის, როცა მიზეზს ვერ ვაგნებთ ხოლმე. რამდენაჭერ გვიკითხავს გაკვირვებულებს, არაფერი აკლია ცხოვრებაში და ჯიბიგრობსო. უბრალო რამის გულისთვის კაცმა კაცი დაჭრა, ოცდახუთი ჭრილობა მიაყენაო. ან, იმდენი ჭკონდა, შვილიშვილებს ეყოფოდა, მაგრამ ორი კაპიკის გულისთვის თავი წააგოო...

— ესე იგი, აღზრდა არაფერ შუაშია.

— როგორ არა! ასეთ დანაშაულთა მიზეზი სულიერი აშლილობა კი არ არის, არამედ, დაბალი მართლშეგნება. გოჩა, რა არის მაღალი მართლშეგნება?

— მაღალი მართლშეგნების არის ადამიანი, თუ

იციის კანონი, მხარს უჭერს მას და...

— და კანონის შესრულების მზაობა აქვს გამოუმუშავებული. მაღალ მართლშეგნებას სამართლებრივი აღზრდა ქმნის. ჩვენ ვცდილობთ ხოლმე შეიღები აღზარდოთ ეთიკური, ესთეტიკური, სპორტული... თვალსაზრისით, მაგრამ სამართლებრივი აღზრდაც თუ საჭიროა, არ ვუფიქრდებით.

— მე მგონი, ეს ერთიდაიგივეა — ჩაერია მამია, — ეთიკური, ესთეტიკური და, საერთოდ, ზნეობრივი აღზრდა იგივე სამართლებრივი არ არის?!

— სწორია, დანაშაული უზნეო საქციელია. აღზრდა ცალმხრივი არ უნდა იყოს. სამართლებრივი აღზრდა მისი ერთი მხარეა და ამის უფლებელყოფა არ შეიძლება, ამის თქმა მიხდოდა. სამართლებრივი აღზრდა მართლშეგნების ამალეებაა. მაღალი მართლშეგნების პატრონს შემუშავებული აქვს კანონის შესრულების მზაობა, ესე იგი, მართლზომიერი ქცევის განწყობა.

— სკოლაში უკვე ასწავლიან სამართალმცოდნეობას.

— კი, ეს კარგია, მაგრამ საკითხს არ წყვეტს. მხოლოდ სწავლა არ კმარა. კანონის ცოდნა აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი. მაღალი მართლშეგნებისთვის კანონის ცოდნაც საჭიროა, მისი შესრულების მზაობაც. ამის მიღწევა არ არის ადვილი საქმე, რადგან კანონს თავისთავადი სოციალური ღირებულებაც უნდა ჰქონდეს.

— ვერ გავიგე!

— დღეს ჩვენში ზნეობრივი სფეროს სოციალურ ნორმებს უფრო მაღალი ღირებულება აქვს, ვიდრე კანონს. არ არღვევენ ქორწილის, დაკრძალვის, მეზობლობის დადგენილ წესებს! არც თავის ნათესავს გაუარშიყდება ვინმე, შორეულიც რომ იყოს, არც მშობლის საფლავს წაბილწავს ვინმე, მაგრამ კანონის დარღვევა კი მიინცდამაინც არ უჭირთ. ესე იგი, ამ სოციალურ ნორმებს თავისთავადი, მაღალი სოციალური ღირებულება აქვს. აი, სწორედ ასეთი ღირებულება უნდა ჰქონდეს კანონსაც, მაშინ ჩვენს საზოგადოებას მაღალი მართლშეგნება ექნება.

— კი, ბატონო, უნდა ჰქონდეს, მაგრამ რა ნაირად?

— კანონის უშუალო აღქმა კაცს არ შეუძლია. იგი მას აღიქვამს იმ დაწესებულების მეოხებით, ვინც მოწოდებულია, კანონი დაიცვას, მაგალითად, სასამართლო, პროკურატურა, მილიცია და სხვ. ამ ორგანოების თავისთავადი სოციალური ღირებულების ამალეებაა აუცილებელი. მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელი იქ-

ნება, თუკი ამ ორგანოების წარმომადგენელთა ავტორიტეტი არ ამაღლდება, რადგან კაცს ზოგადის შეცნობა შეუძლია მხოლოდ კერძოდან გამომდინარე, რომში ამბობდნენ, ძნელია გაზარდო ახალგაზრდა იმ საზოგადოებაში, სადაც არ სწამთ ექიმის, მასწავლებლის და მოსამართლისო. დღესაც ასეა.

— მერე, სწამს ჩვენში, ვთქვათ, ახალგაზრდას ექიმის, მასწავლებლის და მოსამართლის?

— მაშია, ისეთ კითხვას მისვამ, თითქოს ამ ქვეყნის არ იყო; უჩემოდაც კარგად იცი ყველაფერი. მასწავლებელზე რა რწმენა აქვთ, აგერ, გოჩას უნდა დავეკითხოთ, ექიმის რწმენა აქვთ თუ არა, ეს შენ უკეთ იცი, ხოლო მოსამართლეზე სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ერთობ, ასე ვთქვათ...

— ჰო, გასაგებია! ჩვენში გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი მოსამართლის ავტორიტეტის ამაღლებას ხელს ვერ უწყობს. ეს, ხომ, ისევ თავად მოსამართლეების ბრალია?

— ყველა მოსამართლე რომ პატიოსანი, უმწიკვლო, საქმის მცოდნე იყოს, მისი რწმენაც იქნება, ეს მაშინა შესაძლებელი, როცა ჯეროვნად განხორციელდება კონსტიტუციური დებულება: „მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება“. საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ მოსამართ-

ლეთა არჩევისას ხშირად ირღვევა დემოკრატიულობის პრინციპი. 1975 და 1985 წლებში ორჯერ ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკვლევა და უმრავლესობამ ორივეჯერ აღნიშნა, რომ მოსამართლეს ფაქტობრივად კი არ ირჩევენ, არამედ ნიშნავენო.

— ჰოდა, დიდად არ შემცდარან, — დავთახმა მაშია.

— საზოგადოებრივი აზრი, ასე თუ ისე, სიანამდვილეს ასახავს. ასეთი საზოგადოებრივი აზრი შეიცვლება თუ ობიექტური რეალობა შეიცვლება. სასამართლომ და მოსამართლემ კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავონ სახელმწიფოში. უნდა იყოს სრული გარანტია, რომ კანონს არ დაარღვევს არც ერთი სახელმწიფო ორგანო, რომ მოსამართლე მართლაც დამოუკიდებელი იქნება და მხოლოდ კანონს დამორჩილება.

— მაგის გარანტიას მე ვერ მოგცემ, ძმაო! — ხელები გაასავსევა მაშიამ.

— ამის გარანტიას მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფო იძლევა, — დაბეჯითებით წარმოთქვა ბიძინამ.

დიდხანს მღუშარედ ისხდნენ და ბუხარს ჩასცქეროდნენ.

ცას მტრედისფერი შეჰპარვოდა.



რედაქციისაგან: ამით დასრულდა ე. ყიფიანისა და თ. შავგულიძის ნაშრომის „ქმნა მართლისა სამართლისა...“ საშურონო ვარიანტის გამოკვეთება. ჩვენი შურონლის ფურცლებზე 1986 წლიდან დღემდე 17 ნომერი გაბრძელებებით დაბრძედილმა პუბლიკაციებამ მკითხველთა ინტერესი გამოიწვია. ამას მოწმობს საკრძეციო ფოსტა, ის მრავალი წერილი, რომელიც მივიღეთ ამ საში წლის მანძილზე. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს გამოხატუება მივიღეთ ნაშრომის გამოკვეთების დამთავრებად. ამდენად, მათში ამ სიხლის სრული შეფასება, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ, ჩვენს მკითხველს, მთხოვთ, ვირთვნელად გამოხატოს თავისი მოსაზრება, შენიშვნა, წინადადება, რომლებსაც გაცვროთ მკითხველს და ავტორებზე გათვალისწინებან შემდგომ პუშოგაში.

ველით თქვენს გამოხატუებებს.



ცნობილი სიხლის სამართლის საქმეები

ვან მუეგერენი და ყალბი ვერმეერები

ჯონ უივი

ხაინაციების დასაწყისი: საბჭუბრა

როგორ წარადგინოს „ქრისტე ემაუსში“? ვან მუეგერენმა უკვე შეისწავლა და გააანალიზა ის შექანიზმი, რაც წარმართავდა ფერწერის ბაზარს. მან ბრწყინვალედ იცის იმ ადამიანთა ფსიქოლოგია, რომელთა მისტიფიცირებასაც აპირებს, გადაწყვიტა, რომ როგორც აქამდე, ახლაც მართო ემოქმედა. ეყოლება მოტყუებული შუამავლები, მაგრამ არც ერთი თანამონაწილე.

პირველი მიზანი — რომელიმე აღიარებული ვეტორიტეტის მიერ ხელმოწერილი საბუთის მოპოვება, რომელიც დაადასტურებდა „ქრისტე ემაუსში“ ორიგინალობას. ბუნებრივია, თავისი ჩანადიქრის განხორციელებისათვის ყოველმხრივ კარგია ბრედისი. სწორედ მან აღმოაჩინა სურათი „ქრისტე მართასა და მარიამთან“ (ვერმეერის ერთადერთი ცნობილი სურათი რელიგიურ სიუჟეტზე) ამ სფეროში სწორედ იგი თვის საკუთარ თავს ყველაზე დიდ მცოდნედ; მრავალი წლის მანძილზე სწორედ მას სურდა ვან მუეგერენის გაბიაბრუება, ბრედისი ყველაზე ძლიერია იმ ყოვლისშემძლე ექსპერტთა შორის, რომელთა განადგურებაც სურს ერთხელ და სამუდამოდ.

ცხადია, იმის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ უშუალოდ ვან მუეგერენმა მიმართოს მას, მაშასადამე, საჭიროა შუამავლის მოძებნა, რომელიც ისეთი ვინმე უნდა იყოს, რომ ბრედისმა სერიოზულ პიროვნებად მიიჩნიოს.

თავის დროზე ჰოლანდიაში ვან მუეგერენმა გაიცნო ვინმე დოქტორი გ. ა. ბონი. იგი იყო იურიდიული მრჩეველი, პარლამენტის წევრი და სარგებლობდა აბსოლუტურად პატიოსანი კაცის რეპუტაციით. ეს ადამიანი ხელოვნებით იყო გაბატებული. იგი უთუოდ გამოდგებოდა

როგორც კარგი ცრუმთავი პირი. ვან მუეგერენი გულმოდგინედ შეფუთულ თავის „ქრისტე ემაუსში“ ფრთხილად ათავსებს ყუთში და როკბრიუნდინდან პარიზს მიემგზავრება. იგი აქ ხედება დოქტორ ბონის და მოუთხრობს ორ ისტორიას:

ქალი, სახელად მავრუჟე ერთ-ერთია ძველი ჰოლანდიური ოჯახის სამ მემკვიდრეს შორის. აგერ უკვე ოცი წელია, რაც იგი იტალიაში ცხოვრობს, სადაც დასავლეთ ჰოლანდიაში გვაროვნული სასახლიდან გადმოიტანა სურათების კოლექცია. ეს კოლექცია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ხოლმე, შედგება, არც მეტი, არც ნაკლები, 162 სურათისაგან. ეს ნამუშევრები ეკუთვნის ჰოლბეინის, ელ გრეკოს, რემბრანდტისა და ჰალსის ფუნჯს. მავრუჟემ, რომელსაც კომოსა და ფაშისტური იტალიის მიტოვება უნდა, რჩევისა და დახმარებისათვის ვან მუეგერენს მიმართა. მას ზოგიერთი ნახატის საიდუმლოდ გაყიდვა სურს საფრანგეთში, მაგრამ ფაშისტური იტალიის მთავრობა კრძალავს ხელოვნების ნიმუშების საზღვარგარეთ გატანას, ამიტომ ვან მუეგერენმა იკისრა ჩემად გაიტანოს პირველი ნახატი, რომელიც, როგორც მას მიაჩნია, ვერმეერის ორიგინალია. ხომ არ დათანხმდება დოქტორი ბონი, რათა დაეხმაროს მას უდიდესი დელფტელი ოსტატის შედეგის ჰოლანდიაში დაბრუნების საქმეში?

რალა თქმა უნდა, რომ ეს ისტორია, რომელშიც მოხერხებულად არის გამოყენებული მაშინდელი პოლიტიკური ვითარება, მთლიანად თვით ყალბი სურათის შემქმნელის გამოწვევითაა. მაგრამ, მიუხედავად რომანტიულობისა, მოცემული ისტორია უნაკლოა და თუ სურათის ორიგინალობა აღიარეს, დაწერილებით აღარავინ გამოიძიებს თუ საიდან გაჩნდა იგი.



დოქტორი ბოონი, რომელზეც სურათმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, ხედავს, რომ თუ იგი შუამავლის როლს იკისრებს, პატრიოტულ ვალსაც მოიხდის და იმედლოვლად ხელსაყრელ ფინანსურ ოპერაციასაც ჩაატარებს. იგი შეპირდა, რომ შეხედდება ბრედიუსს და აღუთქვა არ ახსენოს ვან მეეგერენის სახელი, ამასთან, საჭიროდ მოაჩინა ამ სპეციალისტს შედეგების აღმოჩენის სხვა ვერსია უთხრას. სწორედ ამ მეორე ისტორიას, რომელიც აგრეთვე ვან მეეგერენმა უქარნახა, მოუყვება დოქტორი ბოონი ბრედიუსს.

ამ ისტორიაში ბოონი გვევლინება იურიდიულ მრჩეველად ერთი ქალისა, რომელმაც ეს-ესაა მიიღო მემკვიდრეობა მამისაგან — სამხრეთში დასახლებული ფრანგი საქმონისაგან. საქმონის ცოლი, რომელიც აგრეთვე გარდაიცვალა, წარმოშობით ჰოლანდიელი იყო და მზითევში მოიტანა სურათების შესანიშნავი კოლექცია. ქალიშვილი-მემკვიდრე განიცდის ფინანსურ სიძინელებს და სურს ამ სურათების ნაწილის გაყიდვა საიდუმლოდ, რადგან არ დადანაშაულონ საოჯახო მემკვიდრეობის მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებაში. ბოონი ვითომდა ამ კოლექციის დასათვლიერებლად გაემგზავრება სამხრეთში მემკვიდრის სასახლეში. თავდაპირველად ვითომდა იმედები გაუცრუვდება, მაგრამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით შენიშნა ერთ-ერთ კარადაში მიგდებული „ქრისტე ემაუსში“. ეს სურათი გარდაცვლილ საქმონის არ მოსწონდა და ამიტომ იგი უკანასკნელი 40 წლის მანძილზე თვალით არავის უნახავს. ბოონმა ჯერ ხელმოწერას მიაქცია ყურადღება, შემდეგ კი ამ ქმნილების სილამაზით გაოცებულმა, კონსულტაციისათვის მიმართა ვერმეერის სპეციალისტს — ბრედიუსს.

ერის შემოქმედებაზე. ორი დღის განმავლობაში სწავლობს სურათს, რომელმაც უსახლდრო ალტაეებში მოიყვანა. სიუჟეტი, შესრულების მანერა, ხატვის ტექნიკა — ყოველივე ეს აღფრთოვანებს სპეციალისტს: ვერმეერულ ფუნჯის ამობურცული წერტილოვანი მონასმის რელიგიურობით გაჯერებულობა, კარავაუსო სიუჟეტებთან ახლობლობა, პერსონაჟთა სხეულები, რომლებიც გვაგონებენ ოსტატის სხვა ნაწარმოებთა სახეებს. მისი ხელმოწერის უტვევლობა, კოლორისტული გამებისა და კრაველიურის წუნდაუდებლობამ საბოლოოდ დაარწმუნა იგი.

ბრედიუსის ენთუზიაზმი იმდენად დიდია, რომ მასწინვე ფოტოგრაფი მოიწვია, სურათი გადაღებინა და ყოველგვარი სხვა გამოკვლევის გარეშე ფოტოსურათის მეორე მხარეს აწერს მისი ორიგინალობის დამადასტურებელ ასეთ ტექსტს:

„ეს ღიღბული ნაწარმოები ვერმეერის უდიდესი ვერმეერ დელფტელისა აღმოჩნდა, ღვთის წყალობით, მივიწყების ჩრდილიდან, სადაც იმყოფებოდა მრავალი წლის მანძილზე. იგი ისეთი ხასხასა და უბიწოდ ლამაზია, თითქოს ეს-ესაა დაამთავრა მხატვარმა. სურათის სიუჟეტი თითქმის უნიკალურია მთელი მის შემოქმედებისათვის: მასში გაცხადებულია გრძნობათა ისეთი სიღრმე, რომელსაც ვერ მიაგნებთ ვერც ერთ მის სხვა სურათში. ემოციებისაგან თავს ვეღარ ვიკავებდი, როცა პირველად ვიხილე ეს შედეგო, და ბევრს, ვისაც კი ბედნიერება ერგო წილად მისი ნახვისა, ასეთივე განცდა დავუფლა. კომპოზიცია, ექსპრესია, ფერები — ეს ყველაფერი ერთად ქვეშაირიტ სილამაზედ არის თავმოყრილი ამ ყველაზე მაღალი ხელოვნების ქმნილებაში.“

ბრედიუსი
1987 წლის სექტემბერი“.

„უველაზე მაღალი ხელოვნების ქმნილება“

ვაკრობა

1987 წლის 30 აგვისტოს დოქტორი ბოონი წერილს სწერს ბრედიუსს. ისინი შეთანხმდნენ შეხვედრაზე, რომელიც უნდა შემდგარიყო რამდენიმე დღის შემდეგ ხელოვნებათმცოდნის ვილაში მონაკოში. მას შემდეგ, რაც მას მოუთხრეს ზემოაღნიშნული ისტორია, და განსაკუთრებით სურათის ნახვის შემდეგ, ბრედიუსი ისე რეაგირებს, როგორც ამას ვან მეეგერენი ვარაუდობდა. ძველი, ცნობილი სპეციალისტის მღელვარების აღწერა შეუძლებელია: ბედმა ისეთი შემთხვევა არგუნა, რაზედაც ფიქრსაც კი ვეღარ ბედავდა — ახლა კი სამუდამოდ დადასტურდა მთელი მისი თეორიები ვერმე-

მაშ ასე, ამიერიდან ვერმეერის შემოქმედება გამოიდრდა უნიკალური შედეგით. გაოცებას იწვევს სპეციალისტის მიერ გაცემული საბუთის გულდაჯერებული ტონი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ფერწერის ბაზარი ზომ სწორედ ასეთ გულდაჯერებულობაზეა დამყარებული. სუბიექტური მოსაზრება აქ ყველაფერზე მაღლა დგას. ამასთან, ამ ვითარებას კარგად ერწყმის ფინანსური ინტერესიც. ისიც ზომ მართალია, რომ როგორც ხუმრობით არის ნათქვამი: „კოროს მიერ შესრულებული 2500 ტილოდან, 80000 შეერთებულ შტატებშია?“ ხელოვნების ნაწარმოებებით ვაკრობა შე-

მოსავლის იმდენად ხელსაყრელი წყაროა, რომ თუ ექვი არ წარმოიშვა, რასაც მაშინვე გაიზიარებს ხოლმე მრავალი სპეციალისტი, არა-ეინ დაინტერესდება სიყალბის მხილებით. არც ერთი სურათისათვის რომლის ნამდვილობა სადავო არ გამხდარა, სპეციალური მეცნიერული ინსტიტუტი (ქიმიური, რადიოგრაფიული და სხვ.) არ ჩაუტარებიათ. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ვან მეგვერენის ნაწარმოები გაუძღებდა გამოცდას.

ბოონი პარიზიდან ბრედიუსის საბუთით ბრუნდება და სურათს საიმედო ადგილას — ბანკ „ქრელი ლიონში“ ინახავს. ამის შემდეგ იწყებს მყიდველის ძებნას. მოთხოვნილი მაქსიმალური ფასია 90000 ფუნტი (ანუ დაახლოებით 3600 000 ფრანკი). და აი, აქ გამოითქმება ერთი შენიშვნა „ქრისტე ემაუსში“ ორიგინალობასთან დაკავშირებით. ნიუ-იორკელ სურათებით მოვაჭრე დიუ ვენს, მისი წარმომადგენელი პარიზში, რომელიც გაცნო სურათს, 1937 წლის 4 ოქტომბერს თავის პატრონს დეპეშით აცნობებს:

„ლდს ბანკში ვნახე ვერმეერი — დიდი ზომები დაახლოებით 4 ფუნტია 3-ზე — „ვანში ქრისტე ემაუსში“ — თითქოს ეკუთვნოდეს ერთმ კოლექციონერს — დამოწმებულია ბრედიუსის მიერ, რომელიც „ბერლინგტონ მეგვერენის“ ნომრისათვის ამზადებს სტატის — წერტილი — ფასი 90000 ფუნტია — წერტილი — უხეში სიყალბეა“.

საერთო აზრისაგან განსხვავებულ ამ დეპეშას არ გამოხმაურებია და, თუმცა მან ვერ შეძლო ნაწარმოების დისკრედიტირება, მაგრამ მნიშვნელოვნად კი შეაფერხა სურათის გაყიდვა. საჭირო გახდა დალოდინებულიყვენ „ბერლინგტონ მეგვერენში“ ბრედიუსის აღფრთოვანებული სტატის გამოქვეყნებას, რათა დაეწყოთ ახალი მყიდველების ძებნა. ბოლოსდაბოლოს სტატია გამოქვეყნდა:

„ხელოვნების მოყვარულის ცხოვრებაში რა უნდა იყოს იმ მომენტზე მშვენიერი, როცა იგი უცებ აღმოჩნდება უდიდესი ოსტატის მანამდე უცნობი სურათის წინაშე, რომელიც ხელუხლებლად არის შემონახული თავის თავდაპირველ ტილოზე რესტავრაციის არავითარი კვალის გარეშე, თითქოსდა ის ეს-ესაა გამოიტანეს მხატვრის სახელმსნოდან და არ არის აუცილებელი არც მშვენიერი ხელმოწერა „ი. ვ. მეერ (სადაც ასოები „IVM“ განლაგებულია მონოგრაფის სახით), არც თამაში მომცრო ამბულატული მონასმების, შუქთა ათინათებისა და წერტილებისა პურის ნაჭერზე, რომელიც დანარდილულია ქრისტეს პირჯვარით. იმი-სათვის, რომ დავრწმუნდეთ — ჩვენს წინაშე

შედევრი. მე თავს ვერ ვიკავებ რომ არ ვიხმარო ეს სიტყვა — შედევი იან ვერმეერ დელფტელისა. ამასთან, ის არა მარტო ზომებით არის ყველაზე დიდი მის ნახატებს შორის, არამედ თვით ნაწარმოებია გამორჩეული ვერმეერის სხვა ქმნილებებისაგან. ამ სურათის თითოეული დუმი შეუძლებელია ვერმეერის გარდა ვინმეს ეკუთვნოდეს.

სურათის სიუჟეტი ქრისტე და მისი მოწაფეები ემაუსში. მისი ფერები ბრწყინვალეა და მეტად დამახასიათებელი, განსაკუთრებით აღმაფრთოვანებელია ქრისტეს სამოსის ლურჯი ფერი. მარცხენა მოწაფის სამოსი, რომლის სახეც არ ჩანს, შესრულებულია ფაქიზი ნაცრისფერი ტონებით; მარჯვნივ მდგომისა — ყვითელით. ეს არის ვერმეერის ის ცნობილი ყვითელი ფერი, რომელსაც ვხვდებით დრეზდენის გალერეაში არსებულ მის ნახატზე; მაგრამ აქ ის შერბილებულია ისე, რომ შექმნას სრული ჰარმონია სხვა ფერებთან. მოახლე ქალის სამოსი შესრულებულია ჭარბი ყავისფერი და მუქი ნაცრისფერი საღებავებით. ის არის დახატული გასაოცარი ექსპრესიით. მთლიანობაში სიუჟეტის გამომსახველობა ყველაზე შესანიშნავი ღირსება ამ უნიკალური სურათისა. უჩვეულოა ქრისტეს სახე: მშვიდი, სევდიანი, თითქოს იგი ამ მომენტში ფიქრობს მთელ იმ ტანჯვა-წამებაზე, რაც მან, ღვთის შვილმა, განიცადა დედამიწაზე ცხოვრებისას; და მინც მისი სახე საესეა სიკეთით.

მის გამოსახულებაში არის რაღაც, რაც მაგონებს ჩემთვის კარგად ცნობილ ეტიუდს, რომელიც ინახება მილანის ბერის გალერეაში. ეს ეტიუდი, როდესაც ლეონარდო და ვინჩის ეტიუდად იყო მიჩნეული ქრისტეს სახისათვის სურათში „საიდუმლო სერობა“. იესო ემზადება პურის გასატეხად და ამ მომენტში, როგორც ნათქვამია ახალ აღქმასში, მის მოწაფეებს თვალები გაუფართოვდებოდა და იცნობენ ქრისტეს, რომელიც მკვდრეთით აღდგა და ახლა მათ წინაშე ზის. მარჯვნივ მდგომი პროფილში გამოსახული მოწაფის თვალები, რომლებიც ერთდროულად გამოხატავენ ჩუმ აღფრთოვანებასა და გაკვირებას, მიპყრობილია ქრისტესაკენ.

უდიდესი დელფტელი ოსტატის არცერთ სხვა სურათში ვერ ვხედავთ ბიბლიური ტექსტის ასეთ წვდომასა და ღრმა გაგებას. ამასთან, აქ ასახულია უმაღლესი ხელოვნებით გამოხატული ღრმა ადამიანური გრძნობები. რაც შეეხება ღროს, თუ როდის შექმნა ვერმეერმა ეს შედევი, ვფიქრობ, რომ სურათი ეკუთვნის მისი შემოქმედების საწყის პერიოდს და შექმნილია დაახლოებით იმავე დროს (ან, შესაძ-



ლოა, რამდენადმე მოგვიანებით), როცა შეიქმნა ედინბურგში დაუტული სახელგანთქმული სურათი „ქრისტე მართასა და მარიაანთან“.

აქ მოთავსებული რეპროდუქცია მხოლოდ მეტად სუსტ წარმოდგენას შეგიქმნით იმ შუქურ ეფექტზე, რასაც ოსტატი ფერთა შეხამებით იძლევა ამ მომხიბლავ სურათში, ოსტატი, რომელიც ჰოლანდიური სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია.

ბრედისი“.

უზუნუკების ტრიუმფი

ამერიკული დეპეშა მივიწყებულია საბოლოოდ. ბოონს შეუძლია დაბრუნდეს ჰოლანდიაში და კვლავ ეძებოს მყიდველები, მიუხედავად ამისა, მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა შემცირდა 58000 ფუნტამდე (2400 000 ფრანკი). 1937 წლის დეკემბრიდან ქვეყანაში სურათებით ყველაზე მსხვილი მოვაჭრე დ. ა. პოოპენდაიკი, მუზეუმის დირექტორი ბოიმანსი, რომელიც დაოსტატებული იყო ვერმეერის ნაწარმოებების გამოფენის საქმეში და დოქტორი დ. ჰანემა აქტიურად ურთიერთთანამშრომლობენ, რათა ჰოლანდიაში დააბრუნონ „შედევრი, რომელიც ეროვნული განძია“. პოოპენდაიკი დაარწმუნებს ერთ-ერთ მდიდარ მეწარმეს ვან დერ ვორმს, რომელმაც მოთხოვნილი თანხის დიდი ნაწილი გადაიხადა კიდევ. დანარჩენი შეიტანა რემბრანდტის საზოგადოებამ მისი ყველა წევრის თანხმობით. თანხის ნაწილს კი შეადგენდა ცალკეულ პირთა შეწირულობანი, მათ შორის, ბედის ირონიით, თვით ბრედისიც იყო. სურათი „ქრისტე ემაუსში“ ჩაიბარა ბოიმანსის მუზეუმმა, სადაც, ამ შემთხვევასთან დაკავში-

რებით, ემზადებიან დიდი გამოფენის მოსაწყობად.

ვან მეეგერენი შორიდან უყურებს მის მიერ ანოქმედებული ჯოჯოხეთის მანქანის წუნდაუღებელ მუშაობას. მან შეძლო ექსპერტების მოტყუება, დააპიპროტეზა ხელოვნებამცოდნეები და მიიღო ისეთი თანხა, როგორსაც ხშირად როდი იხდიან ხელოვნების ნაწარმოებისათვის. მას ახლა მხოლოდ ისლა დარჩენია, დატკბეს ფართო საზოგადოებრიობის აღტაცებით.

ბოიმანსის მუზეუმში ყველა დეტალი გაითვალისწინეს, ვიდრე სურათს გამოფენდენ, იგი ამისათვის უნდა მომზადდეს, ამასთან იმ ზარზხემით, როგორსაც ეს მოვლენა იმსახურებს. ამ მიზნით მოიწვიეს ჰოლანდიაში სურათების ყველაზე საუკეთესო რესტავრატორი ლიუტცვაიერი. რესტავრატორი ფერწერის დამაგრებისათვის განიზრახავს ტილოს გაწებოვნებას. ეს ოპერაცია საფრთხეს უქმნის ვან მეეგერენის მისტიფიკაციის დამადასტურებელ მომენტებს. მისდა საბედნიეროდ ლიუტცვაიერს, ჩვეულებრივი პროცედურის ნაცვლად, მთელი ტილო არ გაუწებოვანებია —ხელუხლებელი დატოვა ტილოს დაუხატავი გვერდები. ხოლო თავდაპირველი ქვეჩარჩო, რომელიც მან გამოცვალა ახლით, კი არ გაანადგურეს, მუზეუმის სარდაფში შეინახეს. შემდეგ რესტავრატორმა შეასწორა ის ადგილები, რომლებიც ვან მეეგერენის მიერ შეგნებულად იყო რესტავირებული. ყოველივე ამის შემდეგ მან სურათს კიდევ ერთხელ წაუსვა ლაქი. იგი მზად არის და სვამენ სპეციალურად გაკეთებულ უბრწყინვალეს ჩარჩოში. ახლა „ქრისტე ემაუსში“ ბოიმანსის მუზეუმში დაიკავებს საპატიო ადგილს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



გაითხველთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული შეკითხვების კასუსად გაითხველვას განვუმარტავთ, რომ შურნალი „საბჭოთა სამართალი“ ლიმიტირებული არ არის და მისი გამოწევა შეიქლება წლის ნებისმიერ დროს.

ერთი ნომრის ფასია 60 კპპ.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 5, 1988 (на грузинском языке), Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР. Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. тел.: 95-88-49, 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВА ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ბ 40/900



ფანი 60 353

ინდექსი 76185
